ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

პაპუნა კაციტაძე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ანთროპოლოგიის მიმართულება

ეთნიკური და სამოქალაქო იდენტობების თავისებურებანი საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებში

დისერტაცია

ანთროპოლოგიის დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

სამეცნიერო-ხელმძღვანელი,

თსუ ასოცირებული პროფესორი როზეტა გუჯეჯიანი

უნივერსიტეტის გამომცემლობა

2014

შინაარსი

შესავალი 3

თავი I

ეთნოდემოგრაფიული ვითარება თანამედროვე საქართველოში და მისი ისტორიული საფუძვლები. 24

§ 1. აფხაზები საქართველოში 33

§ 2. აზერბაიჯანელები საქართველოში 39

§ 3. სომხები საქართველოში 42

§ 4. ოსები საქართველოში 47

§ 5. ბერძნები საქართველოში 53

§ 6. ასურელები საქართველოში 58

§ 7. რუსები საქართველოში 65

§ 8. ებრაელები საქართველოში 69

§ 9. გერმანელები საქართველოში 72

§ 10. ქურთი-იეზიდები საქართველოში 74

§ 11. ქართველები საქართველოში 78

თავი II

ეთნიკური იდენტობის მარკერები საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებში 88

თავი III

სამოქალაქო იდენტობის საკითხები 99

§ 1. სამოქალაქო იდენტობის ძირითადი მარკერები საქართველოში და მათი ისტორიული საფუძვლები. 101

§ 2. სამოქალაქო იდენტობასთან დაკავშირებული სირთულეები და თავისებურებანი საქართველოში მცხოვრებ ჯგუფებში 116

§ 3. სახელმწიფო პოლიტიკა 137

§ 4. ეთნიკური ჯგუფების დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ.. 147

§ 5. ინტეგრაციის პროცესის პერსპექტივა და რეკომენდაციები. 151

დასკვნა 154

დამოწმებები 156

შესავალი

<u>საკითხის დასმა, საკვლევი პრობლემის აქტუალობა</u>. საქართველო არის მრავალეთნიკური სახელმწიფო, სადაც ქართველების გარდა ათწლეულების და ხშირ შემთხვევაში საუკუნეების მანძილზე ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნოსების წარმომადგენლები. ქვეყანაში ქართველების გარდა ცხოვრობენ აფხაზები, ებრაელები, ოსები, აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, ბერძნები, უკრაინელები, აისორები, ქურთები და სხვები. თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი ენა, ტრადიციები, რელიგია, ისტორიული მეხსიერება და სხვა იდენტიფიკაციური მახასიათებლები, რომელთა შენარჩუნებაზე დამოკიდებულია ამ ეთნოსების, როგორც განსხვავებული ეთნოკულტურული ერთობების არსებობა.

მრავალეთნიკურობა არ არის მხოლოდ თანამედროვე ქართული სახელმწიფოს წინაშე ახლად შექმნილი რეალობა. სხვადასხვა ეთნოსების წარმომადგენლები, როგორებიც არიან სომხები, ებრაელები, ოსები, საუკუნეების მანძილზე პერიოდულად სახლდებოდნენ და ცხოვრობდნენ საქართველოში. ყველა მათგანს აქვს ქართულ ეთნოსთან ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრების გარკვეული ისტორიული გამოცდილება.

ტრადიციულად საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების უფლებები არ იზღუდებოდა და ადგილი არ ჰქონდა ეთნიკური ნიშნით დევნას. ეთნიკური ჯგუფები ფლობდნენ ქართულ ენას, შეეძლოთ შეენარჩუნებინათ საკუთარი რელიგია და კულტურა. XVII საუკუნის ცნობილი ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის ცნობით საქართველოში ადამიანი შეხვდებოდა ”სომხებს, ბერძნებს, ებრაელებს, ოსმალებს, სპარსელებს, თათრებს, მოსკვიტებსა და ევროპელებს. მათ მინიჭებული აქვთ თავისუფლება. აქ (საქართველოში) უფლება გაქვს იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი“ (საქართველოს...2010: 188, შარდენი 1975: 297–298).

მსგავსი ურთიერთდამოკიდებულება არსებობდა XIX საუკუნის საქართველოს მოსახლეობაშიც. ქართველი საზოგადო მოღვაწეები, თერგდალეულები მისაღებად და შესაძლებლად მიიჩნევდნენ ერთ სახელმწიფოში

მრავალეთნიკური სამოქალაო საზოგადოების არსებობას და სახელმწიფოს დემოკრატიული წყობის პირობებში ეს მოვლენა ქვეყნისათვის საფრთხედ არ მიაჩნდათ (ჭავჭავაძე 1928: 9-10)

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემებმა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში იჩინეს თავი. ეთნიკური საკითხი საბჭოთა კავშირის დროს ნაკლებ აქტუალური იყო, ან ხელოვნურად იჩქმალებოდა ცენტრალული ხელისუფლების მიერ. საბჭოთა იდენტობა წარმოადგენდა გარკვეულ სტაბილურობის ინდიკატორს ამ სახელმწიფოში მცხოვრები ეთნოსების ურთიერთობაში. იგი ასუსტებდა და ამცირებდა კონფლიქტებს საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ეთნოსებში სამოქალაქო იდენტობის შესუსტების პარალელურად ძლიერდებოდა ეთნიკური იდენტობები. ეთნოსებმა არჩევანი გააკეთეს ეთნიკურ იდენტობაზე, რადგან იგი წარმოადგენდა საკუთარი განსაკუთრებულობის უკეთ წარმოჩენის და ე.წ. "ჩვენ ჯგუფების" შეკრების, კონსოლიდირების საშუალებას. ამასთანავე, აქცენტის გაკეთება ეთნიკური იდენტობაზე ადეკვატურად ასახავდა ამ პერიოდის რეალურ ვითარებას, როდესაც ცალკეული პოლიტიკური ძალების მიერ პოლიტიკური პროცესებზე ზემოქმედება ეთნიკურ ჯგუფთა ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობით მოტივირდებოდა.

ეთნიკური იდენტობების გაძლიერებამ საბოლოო ჯამში გამოიწვია საბჭოთა იდენტობის გაქრობა, რაც თავის მხრივ გახდა საბჭოთა სახელმწიფოს და მისი საზოგადოების დაშლის ერთ-ერთი მიზეზი, რადგან აღარ არსებოდა მასში შემავალი ქვეყნების მრავალეთნიკური მოსახლეობის გამაერთიანებელი ფაქტორი (ხინჩაგაშვილი 2007: 18).

საქართველო XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გამოეყო საბჭოთა კავშირს და გამოაცხადა დამოუკიდებლობა. 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტით პოსტსაბჭოთა საქართველოში დასრულდა კომუნისტური რეჟიმის მმართველობა და საზოგადოება უფრო თავისუფალი გახდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანა ახალი გამოწვევების

წინაშე დადგა, რომელთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო მრავალეთნიკურ სახელმწიფოში ეთნიკურ ჯგუფებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობების შენარჩუნება. პოსტსაბჭოთა პერიოდში ძველი სამოქალაქო იდენტობის (საბჭოთა კავშირის მოქალაქე) ჩანაცვლება აუცილებელი იყო ახალი სამოქალაქო იდენტობით (საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე), რაც სრულიად ახალ მიდგომებს მოითხოვდა. სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტის და ინტეგრაციული პოლიტიკის არარსებობის პირობებში, შეუძლებელი გახდა სახელმწიფოს მხრიდან ეთნიკური პროცესების კონტროლი და გართულდა ერთიანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის უზრუნველყოფა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საბჭოთა იდენტობა, რომელიც სამოქალაქო იდენტობის ხასიათს ატარებდა, ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში შეცვალა ეთნიკურმა, ეროვნულმა იდენტობამ.

იდენტურობის მახასიათებლებზე კამათი ძირითად ადგილს იკავებს ამ პერიოდის ქართულ და არამარტო ქართულ მედია საშუალებებში. ტერიტორია, ენა, კულტურული იდენტიფიკაციის, უფლებრივი თანასწორობისა და ჯგუფური ლოიალობის პრობლემები წარმოადგენს შეხედულებათა დაპირისპირების ძირითად მიზეზებს (მაისაშვილი 2010: 57).

საქართველოს მრავალეთნიკური საზოგადოება ახლიდან იწყებდა სახელმწიფოს მშენებლობას. ქვეყანაში ეთნიკური პრობლემების ერთ-ერთი მიზეზი იყო არა ეთნიკური მრავალფეროვნება, არამედ ის გარემოება, რომ ქვეყანაში არ არსებობდა ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი მიდგომა ქართული სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების საკითხთან მიმართებაში.

საჭირო იყო საქართველოში მცხოვრები ეთნოსებისათვის ახალი იდენტობის – სამოქალაქო იდენტობის, ინტეგრაციის ახალი პროგრამის, სტრატეგიის პრეზენტაცია, მაგრამ მსგავსი სტრატეგია ბუნებაში არ არსებობდა, ხოლო მისი შექმნა გარკვეულ დროს და ქვეყანაში სტაბილურობას მოითხოვდა. ნათელი გახდა, რომ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებში განსხვავებული შეხედულებები არსებობდა ამ საკითხთან დაკავშირებით. ქვეყანაში თავი იჩინა ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებულმა სხვადასხვა პრობლემამ. აღმოჩნდა, რომ მრავალწლიანი და მრავალსაუკუნოვანი

მშვიდობიანი თანაცხოვრების მიუხედავად, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს სუსტი წარმოდგენა ჰქონდათ ერთმანეთის კულტურის, ტრადიციების, ისტორიის (როგორც ზოგადად საკუთარი, – ისე კონკრეტულად საქართველოში ჩამოსახლების ისტორიის) შესახებ. აღნიშნული მოცემულობა საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პერიოდში მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის იყო, მაგრამ ახალ ვითარებაში, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, საფუძველს უქმნიდა ეთნიკურ ჯგუფებს შორის გაუცხოების და დაძაბულობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას.

შეიქმნა ახალი რეალობა, როდესაც ქართულ ეთნოს და კომპაქტურად ჩასახლებულ, მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებს დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოში ერთად უნდა ეცხოვრათ, ურთიერთობის ახალი, ურთიერთმისაღები ფორმა უნდა ჩამოეყალიბებინათ. ასეთი ურთიერთობის, თანაცხოვრების გამოცდილება კი საბჭოთა რეპრესიული აპარატისაგან გათავისუფლებულ საქართველოს საზოგადოებაში არ არსებობდა. ამას დაემატა ზოგიერთი ეთნოსის წარმომადგენლების (აფხაზები, ოსები) ნეგატიური დამოკიდებულება ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოსადმი. მოვლენების ამგვარი განვითარება მოსალოდნელი იყო იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომ საბჭოთა პერიოდში, განსაკუთრებით 1956 წლის 9 მარტის შემდეგ, როდესაც თბილისში დარბიეს დემონსტრანტები, მოკავშირე რესპუბლიკებში ეროვნული მოძრაობის მზარდი მუხტის შესაფერხებლად კრემლი ახორციელებდა ამ რესპუბლიკებში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებში სეპარატისტული ტენდენციების წახალისების პოლიტიკას. საბჭოთა ხელისუფლების ამგვარ პოლიტიკის შედეგად XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ავტონომიებში (აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის აო), ანუ შესაბამისად, აფხაზეთსა და შიდა ქართლის რეგიონში, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრება რუსეთის ფედერაციას, ამ უკანასკნელის მხარდაჭერით დაიწყო სეპარატისტული მოძრაობები.

ოსი და აფხაზი სამეცნიერო და კულტურული ელიტის წარმომადგენლები ოსურ-რუსული და აფხაზურ-რუსული ბილინგვიზმის მიმდევრები იყვნენ. ამ საზოგადოებისათვის ”არ არსებობდა ქართული ენის, როგორც სახელმწიფო

ენის, ცოდნისა და გამოყენების საჭიროება. იგი უფრო მეტად ასიმილირებული იყო საბჭოთა კავშირის დომინანტურ ერთან – რუსებთან, ვიდრე იმ რესპუბლიკის ეროვნულ უმრავლესობასთან, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, – ქართველებთან" (მაისაშვილი 2010: 57).

1990-იანი წლების დასაწყისი საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ინტეგრაციული პოლიტიკის განხორციელება. ეთნიკური დაპირისპირებები საქართველოს რეგიონებში გადაიზარდა შეიარაღებულ კონფლიქტებში, რის შედეგადაც საქართველომ კონტროლი დაკარგა ორ რეგიონზე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე. აღნიშნული პრობლემა მარტო ქართული სახელმწიფოსათვის არ იყო დამახასიათებელი. XX საუკუნის ბოლო ათწლეულში მსგავსი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ სხვა ყოფილი კომუნისტური სახელმწიფოები, როგორიც არის მოლდოვა, სადაც დაიწყო დნესტრისპირეთის კონფლიქტი, აზერბაიჯანი, სადაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში დაიწყო კონფლიქტი მთიან ყარაბახში. აღსანიშნავია, რომ ყველა დასახელებულ სახელმწიფოში არსებულ კონფლიქტურ ზონებში ცალსახად იკვეთება რუსეთის სახელმწიფოს ნეგატიური როლი აღნიშნული კონფლიქტების დარეგულირების პროცესში, რაც დღემდე გრძელდება.

მიუხედავად გარე ფაქტორისა, რაშიც იგულისხმება რუსეთის მცდელობა ეთნიკურ უმცირესობებში შეენარჩუნებინა საბჭოთა იდენტობა, 1990-91 წლებში განხორციელებული ეთნიკური პოლიტიკა ხელს უწყობდა ეთნიკურ უმცირესობებში მტრის ხატის შექმნას (აბაშიძე თ. 2010: 73).

ამ პერიოდში ქართული ნაციონალიზმისათვის დამახასიათებელი იყო ქართული ეთნოსის განდიდება და სხვა ეთნიკურ უმცირესობებზე მაღლა დაყენება. ამ პროცესს ხელისუფლებაშიც მნიშვნელოვანი დასაყრდენი ჰქონდა (მაისაშვილი 2010: 51).

1992 წლიდან ხელისუფლებაში ედუარდ შევარდნაძის მოსვლის შემდეგ შეწყდა ნაციონალისტური რიტორიკა, მაგრამ მიგრაციის პროცესი, რომლის ძირითადი მიზეზიც კვლავ უმუშევრობა, ქვეყანაში არსებული დიდი მაშტაბის

კორუფცია, რთული სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციასთან დაკავშირებული სირთულეები იყო – არ შემცირებულა.

ახალ პირობებში, ახალ სახელმწიფოში ეთნიკურ ჯგუფებს შორის თანაარსებობასთან დაკავშირებით არსებულ განსხვავებულ მიდგომებს ემატებოდა საშინაო და საგარეო პოლიტიკური პრობლემები. ყოველივე აღნიშნულის შედეგად (ეთნიკური კონფლიქტები, სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები) ქვეყანაში დაიწყო მიგრაციული პროცესები, რაც ძირითადად ქვეყნიდან მოქალაქეთა (მათ შორის ქართველების) გასვლაში გამოიხატებოდა, ამას დაერთო სეპარატისტულ რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების აღრიცხვის პრობლემა, რის შედეგად შეიცვალა მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურა და შესაბამისად – სტატისტიკური მონაცემებიც.

ტრადიციულად მრავალეთნიკური სახელმწიფოსათვის ერთიანობის შენარჩუნების ორი გზა არსებობს

1. ძალისმიერი გზა, რაც გულისხმობს ქვეყანაში მცხოვრებ მოსახლეობაზე ტოტალური კონტროლის განხორციელებას პოლიციური და სამხედრო ძალების მეშვეობით. ამგვარი პრაქტიკა ძირითადად დამახასიათებელი იყო საბჭოთა კავშირისათვის.
2. დემოკრატიული გზა, რაც გულისხმობს ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთკონსენსუსის და ურთიერთპატივისცემის პრინციპების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე მშვიდობიან თანაცხოვრებას. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს, რაც დამატებით სტიმულად შეიძლება იქცეს ერთიანი და მრავალეთნიკური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების გზაზე. მსგავსი პრაქტიკა ძირითადად დამახასიათებელია ე. წ. "დასავლეთის" ქვეყნებისათვის, როგორებიც არიან საფრანგეთი, ესპანეთი, შვეიცარია, აშშ და ა. შ...

თანამედროვე საქართველოში დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნიკური უმცირესობების წარმატებულ სამოქალაქო ინტეგრირებას. ზოგადად ქვეყნის

მოსახლეობაში, იგულისხმება, როგორც ქართველები, – ასევე სხვა ეროვნების საქართველოს მოქალაქეები, სახეზეა სამოქალაქო იდენტობის დაბალი ხარისხი.

როგორც აღინიშნა, საქართველოში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები მრავალი საუკუნის განმავლობაში მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ, მაგრამ სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხი, რაც გულისხმობს ეთნიკურ ჯგუფებში ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებას და, ამავე დროს, სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებას, – განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე ქართული სახელმწიფოსათვის.

ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობასა და უმრავლესობაში (ქართული ეთნოსი) განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს სახელმწიფოს მიმართ, რადგან ეთნიკური უმცირესობებისათვის საქართველო უპირატესად პოლიტიკური სამშობლოა, ხოლო ეთნიკურ ქართველებისათვის – ეთნიკური.

საქართველოს, როგორც მრავალეთნიკური, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისათვის აუცილებელია ერთიანი სამოქალაქო საზოგადოების არსებობა, სადაც ყველა ეთნიკური ჯგუფი თანაბარი უფლებით იქნება წარმოდგენილი. საკითხი მნიშვნელოვანია ქვეყნის დინამიური განვითარებისათვის, შესაბამისად არამარტო ქართველი ეთნოსისათვის, არამედ ყველა ეროვნების საქართველოს მოქალაქისათვის. საქართველოს გარდა პრობლემის მოგვარებით დაინტერესებულია ასევე საერთაშორისო საზოგადოება, რადგან მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში ისეთ ეთნიკურად მრავალფეროვან და სტრატეგიულ რეგიონში, როგორიც კავკასიაა, სადაც სხვადასხვა ქვეყნის და ეკონომიკური, თუ პოლიტიკური ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები იკვეთება, ეთნიკური პრობლემების არსებობა დამატებით სირთულეებს ქმნის.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარდა თანამედროვე საქართველოში სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით ძირითადი გამოწვევეაა ქვეყანაში არსებულ სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში ეთნიკური ჯგუფების ჩართულობის დაბალი ხარისხი. ამის მთავარი მიზეზი

სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემაა რის გამოც, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სუსტად, ან საერთოდ არ არის ინფორმირებული.

არაეფექტური მმართველობის და სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის არარსებობის პირობებში დაბალი იყო ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის მაჩვენებელი, განსაკუთრებით ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. ამ გარემოების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია კომპაქტური ეთნიკური დასახლებების დახურული იზოლაციონისტური ცხოვრების ხასიათი. "ფაქტობრივად, დომინანტ და უმცირესობაში მყოფი ჯგუფები ერთ სოციალურ სივრცეში ორ, ერთმანეთისაგან გაუცხოებულ, ჩაკეტილ, პარალელურ საზოგადოებებს ქმნიან, რომელთა შორისაც სოციალური მობილობის და კომუნიკაციის დონე დაბალი ინტენსივობისაა; და თუკი ამგვარი მობილობის საჭიროება ჩნდება, იგი უფრო ვერტიკალური, იერარქიული ხასიათისაა, ვიდრე ღია და ჰორიზონტალური" (აბაშიძე ზ. 2010; 21).

ასეთ პირობებში ეთნიკური ჯგუფების იზოლაცია მით უფრო, როცა ეს ჯგუფი მრავალრიცხოვანია და კომპაქტურად ცხოვრობს ქვეყნის ტერიტორიაზე, არამარტო აფერხებს ერთიანი სამოქლაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესს, არამედ გარკვეული საფრთხის შემცველია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის.

საბჭოთა კავშირის მოსახლეობაში საბჭოთა იდენტობის ფორმირების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენდა მოკავშირე რესპუბლიკებში რუსული ენის სწავლების მასობრივი დანერგვის პოლიტიკა. ისევე როგორც სსრკ-ს სხვა რესპუბლიკებში – საქართველოში რუსული ენის ცოდნის შემთხვევაში ადამიანს სხვადასხვა სფეროში წარმატების მიღწევის უფრო მეტი პერსპექტივა უჩნდებოდა, რაც მოსახლეობას ამ ენის შესწავლის სტიმულს აძლევდა.

რუსული ენა საქართველოს მოსახლეობაში წლების განმავლობაში გამოიყენებოდა, როგორც კომუნიკაციის საშუალება. ამ ენის ცოდნა არამარტო ხელს უწყობდა ეთნიკურ უმცირესობებს ერთმანეთთან და ქართველებთან

ურთიერთობაში, არამედ საშუალებას აძლევდა მათ დასაქმებულიყვნენ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის იგნორირებას და რუსულით ჩანაცვლებას მოჰყვა გაუცხოება ჩვენსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის, რაც წარმოადგენდა დეზინტეგრაციის ერთ-ერთ მიზეზს.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ სახელმწიფო ენად ქართული ენის გამოცხადებამ საქართველოს არაქართულენოვან მოსახლეობას, რომლებისთვისაც ძირითადი საურთიერთობო ენა რუსული იყო, შეუქმნა დასაქმების, განათლების მიღების და კომუნიკაციის პრობლემა.

2002 წლის მონაცემებით ირკვევა, რომ მიუხედავად ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებისა, ამ ენაზე ეთნიკური უმცირესობების დიდი ნაწილი ვერ საუბრობს და შესაბამისად, რუსული ენა კვლავ რჩება კომუნიკაციის მნიშვნელოვან საშუალებად საქართველოს მრავალეთნიკურ მოსახლეობაში.

2002 წლის აღწერის შედეგებში ცალ-ცალკე არის მოცემული იმ მოქალაქეთა რაოდენობრივი მონაცემები ვისთვისაც ვისთვისაც მშობლიური ენა არის რუსული და იმავე ეთნოსების წევრების რაოდენობა, რომლებმაც ეს ენა იციან როგორც "სხვა ენა". შესაბამისად, მათი შეკრების შედეგად იქმნება ამ ეთნოსებში რუსული ენის ცოდნის საბოლოო მაჩვენებელი.

ზოგადად საქართველოში სხვა ენებთან ერთად რუსულ ენას ფლობს 1 564 488 ადამიანი, რაც არის მთელი მოსახლეობის 35.8% (ქვეყნის მოსახლეობა შეადგენს 4 371 535 ადამიანს), რომელთაგან რუსი ეროვნების წარმომადენელთა გარდა არის:

1. ქართველი – 1 235 786
2. სომეხი – 128 068
3. აზერბაიჯანელი – 75 592
4. აფხაზი – 1 733
5. ოსი – 14 149

6. დანარჩენები – 41 766

ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობა საქართველოში არის 710 362 ადამიანი. მათგან რუსულად საუბარი შეუძლია 328 702 ადამიანს, რაც შეადგენს ეთნიკური უმცირესობების 46.2%-ს. ამ მაჩვენებელს, რომ გამოვაკლოთ რუსული ენის მცოდნე რუსი ეროვნების წარმომადგენლები (67 394 კაცი) საბოლოოდ ვიღებთ 261 308 კაცს, ანუ დარჩენილი ეთნიკური ჯგუფების (642 968 კაცი) 40.6%-ს (საქართველოს... 2003: 119).

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტების და სხვა ეთნიკური უმცირესობებში არსებული დაძაბულობის მიუხედავად, ქვეყანამ შეძლო ახალი კონფლიქტების თავიდან აცილება. 1990-91 წლებში აქცენტი ეთონაციონალური იდენტობის განმტკიცებაზე კეთდებოდა, ხოლო 1992-2003 წლებში თეორიულად დადებითი განწყობა იყო ეთნიკური ჯგუფების მიმართ.

მდგომარეობა გარკვეულწილად შეიცვალა 2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ. დაიწყო ახალი ეტაპი მრავალეთნიკური ქართული საზოგადოების ერთიან სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოყალიბების პროცესში, რაც ითვალისწინებს ქვეყანაში მცხოვრები ერთგვარად მექანიკური ერთობის – ორგანული ერთობად გარდაქმნის განხორციელებას.

2005 წელს პარლამენტმა "ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის" რატიფიკაცია მოახდინა, ხოლო 2007 წლის 1 აპრილს ევროსაბჭოს ეროვნული უმცირესობების შესახებ პირველი სახელმწიფო ანგარიში წარუდგინა. დაიწყო ცალკეული საგანმანათლებლო (სახელწიფო ენის პროგრამა) და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

ახალქალაქიდან რუსული სამხედრო ბაზის გაყვანამ ხელი შეუწყო ჯავახეთის რეგიონზე ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის გაძლიერებას. უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო რეგიონის სოციალ-ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესმა, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს ჯავახეთის მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს.

გარკვეული პროგრესის მიუხედავად, კვლავ არსებობს ქვეყანაში ჯგუფების თანაცხოვრებასთან დაკავშირებული სირთულეები. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს: ქვეყანაში ჯერ კიდევ არამყარი დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობა, ქვეყნის ეკონომიკური სისუსტე, სოციალური თანამშრომლობის დაბალი ხარისხი და გარკვეული გარეშე ზემოქმედებაც, რაშიც იგულისხმება მეზობელი ქვეყნების, – რუსეთის სომხეთის, აზერბაიჯანის ინტერესები და მათი გავლენა საქართველოში კომპაქტურად მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებზე. ”არსებული ეკონიმიკური და სოციალური კავშირები არ წარმოშობს საერთო ეკონომიკური ბაზრის და სოციალური სივრცის განწყობას, კერძო ინტერესთა მკაფიო არტიკულაციას და ამიტომაც ქვეყანაში არსებული რელიგიური და ეთნიკურ ჯგუფების ურთიერთთანამშრომლობა უმეტესად ჯგუფობრივი ცრურწმენების და სტერეოტიპების საფუძველზე წარიმართება” (დუნდუა 2009: 6)

როგორც სამცხე-ჯავახეთში, ასევე ქვემო ქართლში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებში კვლავ აქტუალურია ისეთი საკითხები, როგორიც არის:

ა) სახელმწიფო ენის ცოდნა და განათლება:

ბ) საინფორმაციო იზოლაცია და მედია:

გ) სამოქალაქო პროცესებში ჩართულობა:

დ) ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა:

ე) ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობა:

ვ) რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარება:

ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებული გაუცხოების პირობებში ნაკლებ თვალშისაცემი ხდება თავად ეთნიკურ ჯგუფებს შიგნით არსებული განსხვავებები, დამოკიდებულებები როგორც ერთმანეთის ასევე სხვა ეთნიკურ ჯგუფების და ზოგადად სახელმწიფოს მიმართ. აღნიშნული ფაქტორი არანაკლებ მნიშვნელოვანია საერთო სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის თვალსაზრისით. ეთნიკური ჯგუფების შიგნით განსხვავებულია სამოქალაქო

ინტეგრაციის ხარისხი, რაც განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით, როგორიცაა ურბანული და არაურბანული, კომპაქტური და დისპერსიული დასახლებები, შერეული მოსახლეობა, სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობების ხარისხი სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებთან კონკრეტულ რეგიონში.

სამოქალაქო ინტეგრაცია ეხება ქვეყანაში მცხოვრებ ყველა ეროვნების თუ კონფესიის ადამიანს, ვისაც გააჩნია საქართველოს მოქალაქის სტატუსი. ამ პროცესის შემადგენელი მომენტია საზოგადოებაში მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლება, ცნება "მოქალაქის" გააზრება, უფლებების, სახელმწიფოს მიმართ საკუთარი მოვალეობების და პასუხისმგებლობების გათავისება.

ნაშრომში განხილულია ქართული ეთნოსის, როგორც სამოქალაქო ინტეგრაციული პროცესების უმნიშვნელოვანესი მონაწილის ეთნიკური და სამოქალაქო იდენტობის მახასიათებლები და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეთა მდგომარეობა სამოქალაქო ინტეგრაციული პროცესების ფონზე. ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა საქართველოში მცხოვრები სომხების და აზერბაიჯანელების მდგომარეობის კვლევას. ამ ეთნოსებისადმი განსაკუთრებული ყურადღება განპირობებულია სხვადასხვა მიზეზებით

1. ორივე ეთნოსის წარმომადგენლები საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ როგორც დისპერსიულად – კახეთში, ქართლში, ასევე კომპაქტურად ძირითადად ორ რეგიონში __ სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში და წამოადგენენ ამ ორი რეგიონის მოსახლეობის თითქმის ნახევარს.

2. შედარებით სუსტია მათი სამოქალაქო იტეგრაციის ხარისხი ქართულ სახელმწიფოში და არსებობს სახელმწიფო ენის შესწავლის პრობლემა.

3. მოცემულ ეთნიკურ ჯგუფებში ძირითადად განსახლების ტიპისა და ქვეყანაში ცხოვრების ხანგრძლივობის მიხედვით ფიქსირდება სამოქალაქო ინტეგრაციის განსხვავებული ხარისხი.

სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონები, ამავე დროს ესაზღვრებიან ამ ეთნოსების ისტორიულ სამშობლოებს – სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს. გასათვალისწინებელია, რომ ამ რეგიონებში კომპაქტურად მცხოვრებ სომხურ და აზერბაიჯანულ მოსახლეობას უფრო ინტენსიური კავშირები აქვთ საზღვრის მეორე მხარეს მდებარე მათ ისტორიულ სამშლობლოებთან ვიდრე საქართველოსთან – მათ პოლიტიკურ სამშობლოსთან (აბაშიძე ზ. 2010; 22).

სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობაში დაბალია სამოქალქო აქტივობა, რაც გამოიხატება საკუთარი პრობლემებზე ზრუნვასა და მათი გადაჭრის აქტიური მცდელობების ხანგრძლივი ტრადიციის არარსებობაში. ამის მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოსახლეობა ვერ ხედავს საკუთარ როლს პრობლემის მოგვარებაში. ეთნიკურ უმცირესობებისთვის დამახასიათებელია მაღალი ლოიალურობა ხელისუფლების მიმართ და დაბალი აქტივობა ადგილობრივი არჩევნების დროს (დუნდუა 2009: 152).

ყოველივე აღნიშნულის გამო (მრავალრიცხოვნება, კომპაქტური დასახლება, ისტორიულ სამშობლოსთან მეზობლობა, სამოქალაქო ინტეგრაციის დაბალი ხარისხი), დღევანდელ რეალობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთოდ ყველა და, განსაკუთრებით ამ ორი ეთნოსის წარმომადგენელთა სამოქალაქო ინტეგრირებას ქართულ სახელმწიფოში

დღევანდელ საქართველოში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების დარეგულირების საკითხს, იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ამ ორი ეთნოსის განსახლების ძირითადი არეალი, – აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, წარმოადგენს სეპარატისტულ ტერიტორიებს და ოკუპირებულია მეზობელი სახელმწიფოს მიერ. მიუხედავად ამისა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ორივე ეთნოსის წარმომადგენლები მშვიდობიანად თანაცხოვრობენ ქართველებთან, რაც სამომავლოდ ამ ხალხებს შორის პრობლემების მშვიდობიანი მოგვარების საფუძველს იძლევა. აღნიშნული ეთნოსები სწორედ ამ კუთხით წარმოადგენენ თემის ინტერესის საგანს.

მოცემულ ნაშრომში განხილულია ქვეყანაში მცხოვრები ასურელების მდგომარეობა. საქართველოში ასურელების/ასირიელების ინტეგრაციის ბუნებრივი პროცესი მაღალი ინტენსივობით ხასიათდება, რაც გარკვეულწილად პრობლემას ქმნის ჯგუფში ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით.

განსაკუთრებულია ბერძნების მდგომარეობა საქართველოში, რომელთა უმეტესობა ემიგრირებულია ქვეყნიდან. XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში განსაკუთრებით შემცირდა ბერძნული მოსახლეობის რაოდენობა. მათი ძირითადი ნაწილი ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ საქართველოში დარჩენილთა ყოფა ასევე წარმოადგენს თემის შესწავლის საგანს. საინტერესოა მათი დამოკიდებულება ინტეგრაციული პოლიტიკის და ქართული სახელმწიფოს მიმართ.

თემის ინტერესის საგანს წარმოადგენს საქართველოში მცხოვრები ქურთი-იეზიდების ეთნო-რელიგიური ჯგუფი, რომელიც "ჩაკეტილ" ჯგუფად ითვლება და, ამავე დროს შიდა თავისებურებებით ხასიათდება. საინტერესოა იმის დადგენა, თუ სად გადის ზღვარი მათ სამოქალაქო ინტეგრაციასა და ეთნიკურ თვითმყოფადობას შორის.

საქართველოში მცხოვრები ებრაელები ტრადიციულად ქართველ ეთნოსთან ყველაზე ახლოს მდგომ ჯგუფად მოიაზრება, თუმცა ებრაელებს ამავე დროს, შენარჩუნებული აქვთ მკვეთრად გამოხატული ეთნიკური მახასიათებლები, რელიგია, კულტურა და ეთნიკურობა.

ნაშრომში განხილულია საქართველოში მცხოვრები გერმანელების და რუსების მდგომარეობა. გამორჩეულია გერმანელთა, როგორც ჩამოსახლების და ქართველებთან თანაცხოვრების ისტორია, ასევე მათი როლი საქართველოს საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში. რაც შეეხება თანამედროვე მდგომარეობას გერმანელთა უმეტესობა ფაქტობრივად ემიგრირებულია ქვეყნიდან ან ინტეგრირებულია სამოქალაქო საზოგადოებაში. განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება საქართველოში რუსი დუხობორების ჩამოსახლებისა და განსახლების ისტორია, ამ ჯგუფის წარმომადგენელთა შორის არსებული შიდა ეთნიკური განსხვავებები და საქართველოს

საზოგადოებაში ინტეგრაციის ხარისხი.

საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების კვლევა არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუმცა მოცემული ფორმატი და თემის შინაარსი ამის საშუალებას არ იძლევა, შესაბამისად შერჩეულ იქნა ისეთი უმცირესობები, რომელთა წინაშე არსებული პრობლემები ძირითადი და საერთოა ქვეყანაში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფისათვის.

საქართველოში მცხოვრები ამ ჯგუფების წარმომადგენელთა ეთნიკურ მარკერებზე და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში ჩართულობაზე დაკვირვება საშუალებას მოგვცემს შევქმნათ ქვეყანაში ამ მხრივ არსებული გამოწვევების ზოგადი სურათი.

<u>**თემის მიზანი და ამოცანები.**</u> კვლევის მიზანია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე ეთნიკური პროცესების თავისებურებების გამოვლენა, მსგავსება-განსხვავებების და ზოგადად მათი ბუნების ჩვენება. მნიშვნელოვანია, დადგინდეს რამდენად ერთგვაროვანია ცალკეული ეთნიკური ჯგუფების იდენტიფიკაციური მახასიათებლები და რამდენად ერთსულოვანი დამოკიდებულება არის კონკრეტული ეთნიკურ ჯგუფში საკუთარი ეთნიკური მარკერების სისტემის მიმართ.

მნიშვნელოვანია ასევე იმის გარკვევა, თუ რამდენად ერთგვაროვანია ეთნიკური ჯგუფების დამოკიდებულება სხვა ჯგუფების და იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელშიც უწევთ ცხოვრება. საკვლევი თემის ინტერესის საგანია ეთნიკურ ჯგუფებს შიგნით არსებული იმ ე. წ. "ქვეჯგუფების" როლი სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ადეკვატურ წარმართვაში, რომლებიც სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო (დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობენ შერეულად, ცხოვრობენ ძირითადად ქალაქებში და ა. შ.) მეტად ინტეგრირებულნი არიან საქართველოს საზოგადოებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე იკვეთება შემდეგი ამოცანები:

1. დასადგენია საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებში რამდენად ერთგვაროვანია საკუთარი ეთნიკური მახასიათებლებისადმი დამოკიდებულება;
2. რა გავლენას ახდენს ჯგუფის ეთნიკური იდენტობის მარკერები და შიდაეთნიკური განსხვავებები ჯგუფის ერთიანობასა და დამოკიდებულებებზე სხვა ჯგუფების მიმართ;
3. გასარკვევია რამდენად მოქმედებს ეთნიკური იდენტობის მახასიათებლები და შიდაეთნიკური განსხვავებები ჯგუფის ინტეგრაციის ხარისხზე სამოქალაქო საზოგადოებაში:
4. საინტერესოა რამდენად აისახება დღევანდელ ეთნიკურ ურთიერთობებზე საბჭოთა პოლიტიკური სისტემის დაშლის პირველ წლებში ქვეყანაში არსებული ეთნიკური პრობლემები:
5. საინტერესოა რამდენად თანმიმდევრული ხასიათისაა ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესები, რომლებიც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება:
6. რამდენადაა თანხვედრაში ეს პროცესები ეთნიკური ჯგუფების ინტერესებთან და მოთხოვნილებებთან.
7. გამოსავლენია ის მექანიზმები, რომლებიც ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციის პროცესს უფრო დინამიურს გახდის და შესაბამისად, სამოქალაქო იდენტობის გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

პროცესების მიმდინარეობაზე თვალის გადევნება საგრძნობლად გაიოლდება იმ თვისებების და ღირებულებების შესწავლის შედეგად რომლებიც დამახასიათებელია ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფებისათვის. ამ მიმართულებით კვლევამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს საქართველოში სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში არსებული თავისებურებების გამოვლენას, ინტეგრაციის პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრას და საქართველოში ინტეგრაციული პროცესის პერსპექტივების ახლებურად წარმოჩენას, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახება ამ პროცესის მსვლელობასა და შედეგზე.

ყოველივე აღნიშნულის შესწავლა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პოლიტიკის პერსპექტივაზე ახლებურად დაკვირვების საშუალებას იძლევა. ამ საქმეში მოცემულ ნაშრომს გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია.

<u>მეცნიერული სიახლე</u>. ეთნიკური იდენტობის კვლევა თანამედროვე ეთნოლოგიური მეცნიერებისათვის აქტუალური საკითხია. მოცემულ ნაშრომში, რომელიც ეხება საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებში ეთნიკური და სამოქალაქო იდენტობის მახასიათებლების მნიშვნელობას და მათი ფუნქციური დატვირთვის საკითხს, განხილულია როგორც სხვადასხვა ეთნოსების ეთნიკური და სამოქალაქო იდენტობის მახასიათებლების სტრუქტურები და ამ სტრუქტურებს შორის სხვაობები, ასევე კონკრეტული ეთნოსის შიგნით აღნიშნული მარკერების სტრუქტურაში არსებული განსხვავებები. ნაშრომში საუბარია ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობებში გამოვლენილი მახასიათებლების არსებობის მიზეზებზე, თავისებურებებზე და ისტორიულ საფუძვლებზე. ქვეყანაში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების მეცნიერული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა 2012 წელს გამოკითხული რესპოდენტების მიერ მოწოდებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სოციალ-ეკონომიკური ხასიათის ინფორმაცია.

<u>კვლევის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძვლები</u>. ეთნოლოგიურ მეცნიერებაში გამოყოფენ ორ ძირითად თეორიულ მიდგომას, რომლებიც ეთნიკური იდენტობის ფენომენის განსაზღვრისათვის გამოიყენება. ესენი არის:

1. პრიმორდიალისტური თეორია
2. კონსტრუქტივისტული თეორია

პრიმორდიალისტური თეორიის მიხედვით ეთნოსი არის თავდაპირველი და უცვლელი სახით არსებული ადამიანთა სისხლით ნათესაური ერთობა, მუდმივი ნიშნებით და მახასიათებლებით.

უფრო კონკრეტულად, ეთნოსი არის ადამიანთა თვითდასახელების მქონე ერთობა, რომელიც დაკავშირებულია სამშობლო მიწასთან, აქვს საერთო მითები

წინაპართა შესახებ, საზიარო მახსოვრობა, საზიარო კულტურის ერთი ან მეტი ელემენტი და გარკვეული ხარისხის სოლიდარობა ელიტის შიგნით მაინც (სმითი 2004: 36).

საბჭოთა პერიოდში გავრცელებული იყო ი. ბ. სტალინის მოსაზრება ერის რაობის შესახებ "ერი არის ადამიანთა მყარი ისტორიული ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური წყობისა და ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოვლინებაც კულტურაშია" (სტალინი 1947: 319).

ე. სმითის მიხედვით ერი, ნაცია არის ადამიანთა თვითდასახელების მქონე ერთობა, რომელსაც უკავია სამშობლო მიწა და რომელსაც აქვს საერთო მითები და საზიარო ისტორია, საერთო საჯარო კულტურა, ერთიანი ეკონომიკა და ყველა წევრისათვის საერთო უფლებამოვალეობანი" (სმითი 2004: 36). ერი ყოველგვარი სოციალური კავშირის მიღმა, ბუნებრივ მდგომარეობაში ყალიბდება და მხოლოდ "ბუნებრივი წესრიგის პირობებში არსებობს (სმითი 2004: 84).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პრიმორდიალისტური თეორიის მიხედვით ეთნიკური იდენტობა წარმოდგენილია, როგორც უძველესი დროიდან არსებული ერთგვაროვანი მოცემულობა, ობიექტურად არსებული რეალობა. ეთნოსს გააჩნია მხოლოდ თანდაყოლილი და არა შეძენილი მახასიათებლები, მარკერები, რომელთა მეშვეობით უწყვეტ კავშირშია პირველსაწყისთან.

კონსტრუქტივისტული თეორია XX საუკუნეში ჩამოყალიბდა. აღნიშნული თეორიის ფართოდ გავრცელება დაკავშირებულია ერნსტ გელნერის სახელთან.

კონსტრუქტივისტების შეხედულებით, ეთნოსი არის ხელოვნური წარმონაქმნი, კონსტრუქცია, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლის ინტელექტუალური საქმიანობის შედეგს (ერიქსონი 1996: 135).

მეორე მოსაზრებით, ეთნოსი არის ინტელექტუალური კონსტრუქცია შექმნილი მეცნიერების და პოლიტიკოსების მიერ, რომლებიც განათლების სისტემის და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ფართო ქსელის

მეშვეობით ახდენენ საკუთარი იდეების მასებისთვის გადაცემას და აქტიურ ზეგავლენას მათზე (გელნერი 1991: 53).

კონსტრუქტივიზმი ეთნოსს შეისწავლის როგორც სხვადასხვა ცალკეული პიროვნებების (კულტურული და სახელისუფლებო ელიტების) მიერ შექმნილ ხელოვნურ წარმონაქმნს, კონსტრუქციას. მათი აზრით ეთნოსი ეთნიკური ელიტის მიერ ეთნიკური ტრადიციების ხელოვნური შექმნის და ჩანერგვის შედეგად შექმნილი ერთობაა. ეთნიკური იდენტიფიკაცია ამ თეორიის მიხედვით არის გამოგონილი, წარმოსახვითი ერთობების კონსტრუირების, ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც ეფუძნება მათში ბუნებრივი ურთიერთკავშირის, ერთიანი კულტურის, საერთო წარმოშობის და საერთო ისტორიული წარსულის რწმენას (ტიშკოვი 1997: 123).

თანამედროვე ქართულში ერი და ნაცია იდენტური ცნებებია (პატარიძე 1999: 26). შესაბამისად, ერი უნდა მივიჩნიოთ არა, როგორც სისხლიერი, ბუნებრივი კატეგორია, არამედ თვითშემეცნებითი მოვლენა, "რომელსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს ერთ ტერიტორიულ ერთეულზე სახელმწიფოებრივი მოწყობა, დედაენა (უფრო სწორად საერთო სალიტერატურო, სახელმწიფო, ეროვნული, საღვთისმეტყველო ენა), საერთო ზნე-ჩვეულებები და კულტურა. ამასთანავე, ამა თუ იმ ერის ჩამოყალიბება-განვითარების საქმეში ხშირად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო წარმომავლობის შეგნებას" (თოფჩიშვილი 2008: 114).

კონსტრუქტივიზმში ერი, ნაცია მოიაზრება როგორც წარმოსახვითი პოლიტიკური საზოგადოება, რომელიც წარმოისახება მისთვის თანმხლები საზღვრებით და სუვერენულობით (ანდერსონი 2003: 21). ბ. ანდერსონის შეხედულებით, კაპიტალიზმისა და ბეჭდვითი ტექნოლოგიის შერწყმამ ხელი შეუწყო წარმოსახვითი საზოგადოების ახალი ფორმის გაჩენას, რომელმაც თავისი საბაზო მორფოლოგიით საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ერის წარმოშობას (ანდერსონი 2003: 76).

მიხაკო წერეთელი თვლიდა, რომ "ერი არის ერთი სოციალური სუპერ-ორგანიზმი ანუ ჰიპერ-ორგანიზმი, შემდგარი ერთგვარ ანუ მრავალ-გვარ ეთნიურ და სოციალურ მასალისაგან, რომელსაც შეუძლია ჟამთა ვითარებაში შექმნას

ერთი გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება თავის შემადგენელ ერთეულთა, ერთი საზოგადოება ყველა თავისი ორგანოებითა ენითა, სარწმუნოებითა, მეცნიერებითა, ზნეობითა, ხელოვნებითა, სიმართლითა და პოლიტიკითა, საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიითა, ტიპითა და თვითშეგნებითა, სრულის ინდივიდუალობითა" (წერეთელი 1910: 131).

"ერი" თანამედროვე გაგებით XIX საუკუნიდან იხმარება საკმაოდ ფართოდ, რისი მიზეზიც XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში ცნობიერების და კულტურის სფეროში განხორციელებული ცვლილებებია. ამ პერიოდიდან "ერი" მოიაზრება, როგორც საერთო ბედისა და საერთო ისტორიულ ქარტეხილებში განვლილი ხალხის ერთობა (პატარიძე 1999: 30).

XVIII-XIX საუკუნეებში ინდუსტრიულ-ტექნოლოგიურმა პროგრესმა გაზარდა მოთხოვნა განათლებაზე, რის გამოც სახელმწიფოებისათვის განათლება გახდა ერთ-ერთი პრიორიტეტული ზრუნვის საგანი და, შესაბამისად, – საყოველთაო და საზოგადოების ყველა ფენისათვის ხელმისაწვდომი. შეიქმნა ინდივიდთა ერთობლიობა რომლებსაც, საერთო, საჯარო განათლების სისტემის საფუძველზე აერთიანებთ კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეობის განცდა. ამგვარად, კონსტრუქტივისტებში ერი, ნაცია წარმოადგენს პოლიტიკურ კატეგორიას, რომელიც კავშირშია მოქალაქეობასთან და რომლის ჩამოყალიბებაც ხდება ელიტების ინტელექტუალური და შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კონსტრუქტივისტების აზრით ეროვნული იდენტობა არის წარმოსახვითი პოლიტიკური საზოგადოებაში ერთიანობის, სხვებისაგან გამორჩეულობის სუბიექტური განცდა, რომელიც ელიტების (ხელისუფლება, ეკლესიის მესვეურები, ინტელიგენცია და ა. შ.) მიერ შექმნილი მარკერების მეშვეობით ყალიბდება კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში გარკვეული მიზნების მისაღწევად.

ძირითადი განსხვავება ამ ორ მიდგომას შორის არის ის, რომ პრიმორდიალისტები ეთნიკური იდენტობის ბუნებრიობას უსვამენ ხაზს, ხოლო

კონსტრუქტივისტები მის ხელოვნურობაზე საუბრობენ და გარე ფაქტორების ზემოქმედებაზე ამახვილებენ ყურადღებას. შესაბამისად, პრიმორდიალისტებისთვის ეთნიკური იდენტობა არის გარკვეული მოცემულობა ხოლო კონსტრუქტივისტებისათვის ელიტების შემოქმედების შედეგი.

საქართველოში დღეს მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები მრავალეთნიკურ საზოგადოებაში სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებისაკენ არის მიმართული. მოცემული ორი თეორიული მიმდინარეობიდან კონსტრუქტივისტული მიდგომა ქვეყანაში სამოქალაქო ინტეგრაციასა და სამოქალაქო იდენტობასთან დაკავშირებული გამოწვევების შესწავლის უფრო ადეკვატური საშუალებას წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე ნაშრომი ეყრდნობა სწორედ კონსტრუქტივისტულ თეორიას.

კვლევაში წარმოდგენილ მსჯელობას გააჩნია გარკვეული მეთოდოლოგიური საფუძველი. მოცემულ ნაშრომში გამოყოფილია შემდეგი პუნქტები

1. საკითხის თეორიული ანალიზი: შესწავლილი იქნა ქართველი და უცხოელი ავტორების კვლევები საქართველოში ეთნიკური პროცესების შესახებ და გაანალიზებული იქნა თემატიკასთან დაკავშირებით არსებული სტატისტიკური მასალა;
2. თვისებრივი სოციოლოგიური კვლევა: განხორციელდა კონკრეტული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა ინტერვიუირება. რესპოდენტები ისე იქნენ შერჩეულნი, რომ გარდა საკუთარი შეხედულებებისა, ფლობდნენ მნიშვნელოვან ინფორმაციას საკუთარი ჯგუფის და ქვეყანაში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების შესახებ;
3. შედარებითი ანალიზი: სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესზე დაკვირვების მიზნით მოცემულია ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებში დამოკიდებულება ეთნიკური და სამოქალაქო იდენტობის მახასიათებლების მიმართ.
4. ინტერვიუირებისათვის განხორციელდა სპეციალური კითხვარების დამუშავება საკვლევი თემის შინაარსიდან გამომდინარე.

თავი I

ეთნოდემოგრაფიული ვითარება თანამედროვე საქართველოში

და მისი ისტორიული საფუძვლები

ამიერკავკასია საუკნეების განმავლობაში წარმოადგენდა სხვადასხვა ძლიერი სახელმწიფოებისათვის მიმზიდველ რეგიონს თავისი სტრატეგიული (ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სავაჭრო გზები) მდებარეობის გამო. საუკუნეების განმავლობაში ამიერკავკასიის ხალხებს ძირითადად სამხრეთით მყოფი დამპყრობლებისაგან უხდებოდათ თავის დაცვა ვინაიდან ჩრდილოეთის მხრიდან კავკასიონის მაღალმთიანი ქედით იყვნენ შემოსაზღვრულნი და აქ არსებული ვიწრო გასასვლელების და უღელტეხილების კონტროლი შედარებით მარტივი იყო ვიდრე სამხრეთით ვრცელ დაბლობებზე არსებული საზღვრების. საქართველოს ტერიტორიაზე საუკუნეების განმავლობაში სახლდებოდნენ სხვადასხვა ეთნოსების წარმომადგენლები, რომლებიც ეკონომიკური თუ პოლიტიკური მიზეზების გამო იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ საკუთარი სამშობლო. ცალკეულ შემთხვევებში უცხოელთა ჩამოსახლების ინიციატორი ქათული პოლიტიკური ერთეულების მესვეურნი იყვნენ, რომელთაც ძირითადად ეკონომიკური ინტერესი (ომიანობის შედეგად დაცარიელებული სოფლების აღორძინება) ამოძრავებდათ.

მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ცვლილებები განხორციელდა XIX-XX საუკუნეში. ქვეყანაში წლების მანძილზე მიმდინარეობდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მაშტაბური და კომპაქტური ჩამოსახლება, რასაც წინა საუკუნეებში ადგილი არ ჰქონდა. პროცესი დაიწყო XIX საუკუნეში საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს და განსაკუთრებით ინტენსიური და მაშტაბური ხასიათი მიიღო XX საუკუნეში საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებთა ადამიანების რაოდენობისა და ეთნიკური შემადგენლობის შესახებ ინფორმაციას ვიღებთ მოსახლეობის აღწერის მონაცემებიდან, რომლებიც XIX-XXI საუკუნეებში ხორციელდებოდა ქვეყნის ტერიტორიაზე ჯერ რუსეთის იმპერიის და საბჭოთა კავშირის დროს,

ხოლო ბოლოს საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში. ნაშრომში გამოყენებულია იმ აღწერის მასალები, რომლებიც ნათლად აჩვენებენ ქვეყანაში მიმდინარე ეთნოდემოგრაფიული პროცესების დინამიკას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღწერების მონაცემები, რომლებიც ჩატარდა 1800, 1832, 1865, 1886, 1897, 1926, 1939, 1989 და 2002 წლებში.

1801 წელს რუსეთის იმპერიამ მოახდინა საქართველოს ანექსია. განსხვავებით მუსულმანი დამპყრობლებისაგან რუსეთის იმპერია მართლმადიდებლური სახელმწიფო იყო რის გამოც ქართველი მეფე-მთავრები ორიენტირებულნი იყვნენ სწორედ ამ ქვეყანასთან დაახლოებაზე, მაგრამ რეალურად საქართველოში რუსეთის ხელისუფლება კოლონიურ პოლიტიკას ეწეოდა და მოქმედებდა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. საქართველოში შეიცვალა მართვის სისტემა. სამეფო ხელისუფლება გაუქმდა და ქვეყანა დაიყო თბილისის და ქუთაისის გუბერიებად. ქვეყანაში შემოიღეს რუსული კანონები.

ამ პირობებში დაიწყო საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ქალაქებში ასევე – რეგიონებში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მასობრივი ჩამოსახლების პროცესი. საქართველოში დიდი რაოდენობით და კომპაქტურად სახლდებოდნენ სომხები, ბერძნები, ოსები. XIX საუკუნეში აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიქმნა სომხური და ბერძნული სოფლები, რამაც იქ არსებული დემოგრაფიული სურათის შეცვლაზე მოახდინა გავლენა. ჩამოსახლებულებულთა ხარჯზე იმატა ასევე ებრაელების და გერმანელების რაოდენობამ. საქართველოში ასევე ჩნდებიან პოლონელები, ქურთები, ლეკები, ესტონელები, უკრაინელები, ლატვიელები (ჯაოშვილი 1984: 114).

არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით შესაძლებელია ამ პროცესებისათვის თვალის გადევნება. აღწერის მონაცემებში მოცემულია ეთნიკური ჯგუფების თანმიმდევრობა სიდიდის მიხედვით და შესაბამისად შეიძლება თვალის გადევნება თუ როგორ იცვლება მათი პროცენტული წილი საქართველოს ტერიტორიაზე ყოველი ახალი აღწერის დროს.

1800 წელს საქართველოში ცხოვრობდა 784,7 ათასი კაცი, რომელთაგან

1. ქართველი იყო 622,6 ათასი (79,4%);
2. აფხაზი – 52 ათასი (6,6%);

3. სომეხი 47 ათასი (6,0%);
4. თათარ-თურქი – 30 ათასი (3,8%);
5. ოსი – 29,3 ათასი (3,7%);
6. ებრაელი 3,3 ათასი (0,4%);
7. ბერძენი 0,5 ათასი (0,1%) (ჯაოშვილი 1984: 79).

აღნიშნული მონაცემებიდან ირკვევა, რომ ამ პერიოდში აფხაზები სიდიდით მეორე ეთნიკური ჯგუფია საქართველოში.

ეთნიკური სურათი იცვლება უკვე 1832 წლისათვის. რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო სამთავროების ანექსიის შემდეგ იზრდება მოსახლეობის რაოდენობა როგორც ბუნებრივი მატების გზით ასევე ჩამოსახლებულთა ხარჯზე. ამ პერიოდში ფიქსირდება მოსახლეობის ზრდა 113,7 %-ით და საერთო ჯამში ვიღებთ 893 ათას კაცს. მათგან

1. ქართველების წილი მთელს მოსახლეობაში შემცირებულია 3,5%-ით და აღწევს 677, 1 ათას კაცამდე;
2. სიდიდით მეორე ეთნიკური ჯგუფი არიან სომხები – 84,0 ათასი კაცი, შესაბამისად, გაიზარდა მათი პროცენტული წილი მთელს მოსახლეობაში (9,4%);
3. აფხაზების რაოდენობაა 56,6 ათასი კაცი (6,3%);
4. ოსები – 32,3 ათასი კაცი (3,6%);
5. თათარ-თურქები – 27,0 ათასი კაცი (3,0%);
6. ბერძნები 7,0 ათასი კაცი (0,8%);
7. ებრაელები 4,0 ათასი კაცი (0,5%);
8. დანარჩენი მოსახლეობა 4,1 ათასი კაცი (0,5%) (ჯაოშვილი 1984: 79).

როგორც ირკვევა ყველაზე მეტი ზრდა (14-ჯერ) დაფიქსირდა ბერძენ მოსახლეობაში, ხოლო სომხური მოსახლეობის მატება 178,7%-ია, რაც რუსეთსა და თურქეთს შორის 1828-29 წლების ომის შემდეგ ბერძნული და სომხური მოსახლეობის თურქეთიდან საქართველოში მასობრივი ჩამოსახლების გამო მოხდა. XIX საუკუნეში სომხების მასობრივი ჩამოსახლების შედეგად მკვეთრად შეიცვალა ეთნიკური სურათი სამცხე ჯავახეთის რეგიონში (თოფჩიშვილი 2013-ბ: 47). 1829-1831 წლებში, რუსეთის ხელისუფლებამ 25 ათასამდე სომეხი დაასახლა

ძირითადად მესხეთ ჯავახეთჯის რეგიონში (ჯაოშვილი 1984: 80).

მსგავსი ტენდენციები გრძელდება XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც. საქართველოში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ჩამოსახლების პარალელურად მცირდება ქართული ეთნიკური ჯგუფის ხვედრითი წილი მთელს მოსახლეობაში (ცხრილი №2). 1865 წლის აღწერის მონაცემებით საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს 1 289,2 ათასი ადამიანი

1. ქართველთა რაოდენობაა 950,6 ათასი კაცი (73,8%);
2. სიდიდით მეორე ეთნიკური ჯგუფი კვლავ სომხები არიან – 122,6 ათასი კაცი (9,5%);
3. აფხაზი – 60.0 ათასი (4,6%);
4. აზერბაიჯანელი – 51,5 ათასი (4,0%);
5. ოსი – 45,5 ათასი (3,6%);
6. რუსი – 25,9 ათასი (2,0%);
7. ბერძენი – 12,0 ათასი (0,9%);
8. ებრაელი 7,8 ათასი (0,6%);
9. გერმანელი – 4,2 ათასი (0,3%);
10. სხვა ეროვნების წარმომადგენელი 9,1 ათასი კაცი (0,7%) (ჯაოშვილი 1984: 112).

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოში სხვადასხვა ქვეყნებიდან, მათ შორის ევროპის ქვეყნებიდან ასახლებენ მიგრანტებს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა რუსების ჩამოსახლების პროცესი, რამაც მომდევნო წლებში კიდევ უფრო ფართო მაშტაბი მიიღო.

1886 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, ცლილებები ეთნიკურ შემადგენლობაში კიდევ უფრო მზარდი ხასიათის არის:

1. ქართველი – 1 118,1 ათასი (72%);
2. სომეხი – 172, 9 ათასი (10,5%);
3. ოსი – 71,0 ათასი (4,3%);
4. აზერბაიჯანელი 62,6 ათასი (3,8%);
5. რუსი 42,5 ათასი (2,6%);
6. აფხაზი – 38,0 ათასი (2,3%);

7. ებრაელი – 11,7 ათასი (0,7%);
8. გერმანელი 5,5 ათასი (0,3%);
9. სხვა ეთნიკური ჯგუფი სულ 20,8 ათასი (1,3%) (ჯაოშვილი 1984: 112).

ქართველების პროცენტული მაჩვენებელი მთელს მოსახლეობაში კვლავ კლებულობს. აღსანიშნავია, რომ 1886 წლის აღწერის დავთრებში ქართველ მაჰმადიანებს თურქებად წერენ (თოფჩიშვილი 2013-ბ: 28). თითქმის ორმაგდება ოსების, ბერძნების, რუსების და სომხების რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ თითქმის განახევრებულია აფხაზთა რაოდენობა, რისი მიზეზიც XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ე. წ. მუჰაჯირობა იყო, როდესაც აფხაზები რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ მასობრივად გადაასახლა ოსმალეთში.

მომდევნო წლებში კვლავ სახეზეა ქართველების პროცენტული მაჩვენებლის კლება, მაგრამ სხვა ეთნიკური ჯგუფების მასობრივ გადასახლებებს, როგორც წინა შემთხვევებში იყო ადგილი არ ჰქონია. გამონაკლისია მხოლოდ რუსი ეროვნების მოსახლეობა, რომელთა რაოდენობა 1897 წლისათვის თითქმის ორნახევარჯერ გაიზარდა და 101,0 ათასით განისაზღვრა (მოსახლეობის 5.3%).

სულ XIX საუკუნის მეორე ნახევარში კერძოდ კი 1865-1897 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფებიდან ქართველების რაოდენობა გაიზარდა 140%-ით (1 331,3 ათასი), სომხების – 160,7%-ით (197,0 ათასი), აზერბაიჯანელების 157,5%-ით (81,1 ათასი), რუსების 390,0%-ით (101,0 ათასი), ოსების – 179,1%-ით (81,5 ათასი) (ჯაოშვილი 1984: 112).

საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა მასობრივი ჩამოსახლება გრძელდებოდა XX საუკუნეში და უკვე საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ამ პროცესმა ახალი მასშტაბები შეიძინა.

1921 წლის 21 თებერვალს ბოლშევიკურმა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაცვლად შეიქმნდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკა, რომელიც 1922 წლის 12 მარტს გაერთიანდა ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ

საბჭოთა რესპუბლიკაში, ხოლო ეს უკანასკნელი ამავე წლის 30 დეკემბერს გახდა საბჭოთა კავშირშის წევრი. ამგვარად, საქართველო კვლავ კარგავს დამოუკიდებლობას და ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, მათ შორის მიგრაციული პროცესები, კრემლის მიერ იმართება.

1926 წლის აღწერის მონაცემების თანახმად საქართველოში ცხოვრობდა 2 677 233 კაცი, აქედან:

1. 1 788 186 ქართველი (66,8%);
2. 307 018 სომეხი (11,4%);
3. 143 951 აზერბაიჯანელი (5,3%);
4. 113 298 ოსი (4,2%);
5. 96 085 რუსი (3,5%);
6. 56 847 აფხაზი (2,1%);
7. ბერძენი 54 054 (2,0%);
8. ებრაელი 30 159 (1,1%);
9. უკრაინელი 14 356 (0,5%);
10. დანარჩენი მოსახლეობა – 2,7 % (ჯაოშვილი 1984: 139).

მოსახლეობის ზრდა ჩამოსახლებულების ხარჯზე გრძელდებოდა მომდევნო წლებშიც. გასაბჭოების შემდეგ საქართველოში დიდი რაოდენობით ჩამოასახლეს რუსები, უკრაინელები და ბელორუსები, რისი ერთ-ერთი მიზეზიც იყო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაწილში 1933 წელს მომხდარი შიმშილი (ჯაოშვილი 1996: 313). შესაბამისად, 1939 წელს ჩატარებული აღწერის დროს ეთნიკურ ჯგუფებში დაფიქსირდა შემდეგი მაჩვენებელი:

1. ქართველები – 2 173 574 (61,4%);
2. სომხები – 414 182 (11,7%);
3. რუსების რაოდენობა გასამმაგდა – 307 988 (8,7%);
4. აზერბაიჯანელები – 187 621 (5,3%);
5. ოსები – 148 680 (4,2%);
6. ბერძნები – 84 960 (2,4%);
7. აფხაზების რაოდენობა შემცირებულია – 56 640 (1,6%);
8. ისევე როგორც რუსების შემთხვევაში, გასამმაგდა უკრაინელების

რაოდენობაც – 46 020 (1.3%);

9. ებრაელების რაოდენობა არის 42 480 (1,2%) (ჯაოშვილი 1984: 139).

ამის შემდეგ საქართველოში სხვა ეთნიკური ჯგუფების ამ მაშტაბით ჩამოსახლების შემთხვევები აღარ ფიქსირდება, რასაც მომდევნო წლების სტატისტიკური აღწერის შედეგებიც ადასტურებს.

ეთნიკური უმცირესობების საკითხისადმი მიმართ საბჭოთა კავშირში არსებობდა სპეციფიკური მიდგომები. ეთნიკური მრავალფეროვნება გარკვეულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული, ხოლო ამ პროცესებს ხელისუფლება აკონტროლებდა სხვადასხვა მეთოდებით, როგორც ძალისმიერით, ასევე მშვიდობიანი მეთოდებით. ამ უკანასკნელთა შორის გამოიყენებოდა ერთგვარი, ტერიტორიული დაყოფის პოლიტიკური პრინციპი. სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფები მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე იღებდნენ განსხვავებული ხარისხის პოლიტიკურ სტატუსს (ავტონომიური ოლქი, ავტონომიური რესპუბლიკა), შესაბამისად ყველა ამ ძალისხმევის გათვალისწინებით ეთნოსებს შორის არსებული პრობლემები გარკვეულ ჩარჩოებში იყო მოქცეული.

საბჭოთა კავშირში შედიოდა თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკა, რომელთა ტერიტორიებზეც არსებობდა ეთნიკური და რელიგიური ნიშნით შექმნილი ავტონომიური პოლიტიკური ერთეულები. საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა სამი ავტონომიური ერთეული: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ერთის მხრივ ჩანს, რომ სხვადასხვა ეთნოსებს ჰქონდათ საშუალება საკუთარი ეთნო-კულტურული მახასიათებლების სრული განვითარებისათვის. მიუხედავად ამისა საბჭოთა კავშირში ძირითადი იდენტობა იყო სამოქალაქო იდენტობა. ყველანი იყვნენ ერთი სახელმწიფოს მოქალაქენი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოიშალა ის ეკონომიკური კავშირები რომელიც არსებობდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, შეიქმნა ახალი პოლიტიკური საზღვრები, რამაც ასევე გაართულა მოსახლეობის გადაადგილება. ახალი რეალობა უარყოფითად აისახა არამარტო ქართული მოსახლეობის, არამედ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობაზე.

ქვეყნის მოსახლეობის დემოგრაფიული სურათის ცვლილების მიზეზი ქვეყანაში არსებული რთული სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა იყო, რის გამოც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო და სამუშაოს საძებნელად ან/და საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში წასულიყო.

2002 წლის აღწერის მონაცემებში მოსახლეობის კლების მიზეზებად დასახელებულია არაკონტროლირებადი ტერიტორიების არსებობა, დაბალი შობადობა და სიკვდილიანობის მაღალი დონე, აგრეთვე საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების წევრების მიერ ქვეყნის დატოვება, რომელთა უმეტესობას რუსი ეროვნების წარმომადგენლები შეადგენდნენ. გასათვალისწინებელია, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იმყოფება რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, 2002 წლის მონაცემებით მათი რაოდენობა ჯამში შეადგენს 230 ათას ადამიანს (საქართველოს... 2003: 41).

2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით საქართველოს ფაქტობრივი მოსახლეობის რაოდენობა, ანუ აღწერის მომენტში ქვეყანაში მცხოვრებთა რაოდენომა არის 4355.7 ათასი კაცი, ხოლო მუდმივი მოსახლეობის რაოდენობამ (მუდმივია მოსახლეობა რომელიც მუდმივად ცხოვრობს ქვეყანაში მიუხედავად იმისა აღწერის მომენტში იმყოფება მისამართზე თუ არა (საქართველოს... 2003: 12)) შეადგინა 4371,5 ათასი კაცი (საქართველოს... 2003. 41). აღნიშნული მაჩვენებელი 19,1%-ით (1 029 306) ნაკლები არის 1989 წლის მაჩვენებელზე (5 400 841). მოსახლეობის კლების დინამიკაზე აისახა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების რაოდენობის შემცირება და შეიცვალა ასევე მათი პროცენტული წილი ქვეყნის მოსახლეობაში.

საქართველოს ტერიტორიაზე ქართველების რაოდენობა 1989 წლიდან შემცირდა 126 220 ადამიანით და 2002 წელს შეადგინა 3 661 173, მაგრამ მათი ხვედრითი წილი ქვეყნის მთელს მოსახლეობაში გაიზარდა თითქმის 14 პროცენტით და ადრე არსებული 70,1%-ის ნაცვლად გახდა 83,8%. ამის მიზეზი იყო როგორც ქვეყნიდან მოსახლეობის, მათ შორის ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების მიგრაცია, ასევე არაკონტროლირებად ტერიტორიებზე

მოსახლეობის აღწერის შეუძლებლობა, რის შედეგად აღნიშნული მაჩვენებელი დაფიქსირდა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

2002 წელს საქართველოში ცხოვრობდა 284 761 აზერბაიჯანელი (1989 წელს – 307 556), რომელთა ხვედრითი წილი ქვეყნის მთელს მოსახლეობაში გაიზარდა 0,8%-ით და შეადგინა 6,5%, სომხების რაოდენობა იყო 248 929 კაცი (1989 წელს – 437 211), შესაბამისად მათი ხვედრითი წილი მოსახლეობაში შემცირდა 2,4%-ით და გახდა 5,7%. თითქმის 5-ჯერ შემცირებულია რუსების რაოდენობა – 67 671 (1989 წელს 341 172), ხოლო მათი ხვედრითი წილი არის 1,5% ნაცვლად 1989 დაფიქსირებული 6,3%-ისა. სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ოსების რაოდენობა არის 38 028 კაცი (1989 წელს – 164 055), მოსახლეობაში მათი ხვედრითი წილი შემცირებულია 2,1%-ით და შეადგენს 0,9%-ს. აფხაზების რაოდენობა დაანგარიშებულია ასევე მხოლოდ სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და შეადგინა 3 527 კაცი (1989 წელს – 95 853), მთელი მოსახლეობის 0,1%. ქურთი-იეზიდების რაოდენობა ასევე შემცირებულია და შეადგენს 20 843 ადამიანს (1989 წელს – 33 331) მათი ხვედრითი წილი მოსახლეობაში კი არის 0,5%. მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოში მცხოვრები ბერძნების რაოდენობა, რაც შეადგენს 15 166 ადამიანს (1989 წელს – 100 324), ხოლო მათი ხვედრითი წილი მოსახლეობაში შეადგენს 0,3%-ს. 2002 წელს ასევე მკვეთრად შემცირებულია უკრაინელების და ებრაელების რაოდენობა და შეადგენს შესაბამისად 7 039 (1989 წელს – 52 443) და 3 772-ს (1989 წელს – 24 720). რაც შეეხება სხვა ეთნიკურ ჯგუფებს აღწერის მონაცემების მიხედვით საქართველოში ცხოვრობს 651 გერმანელი (1989 წელს – 1 546), 455 თათარი (1989 წელ – 4 099), 542 ბელორუსი (1989 წელს 8 595), 441 თურქი (ოსმანი) (1989წ. – 1 375), 870 პოლონელი (1989წ. – 2 014), 1 2071 ჩეჩენი (1989წ. – 609), 864 მოლდოველი (1989წ. – 2842), 472 ბოშა (1989წ. – 1744), 3 299 ასირიელი (1989წ. – 6 206) და 4 651 სხვა ეროვნების წარმომადგენელი (1989წ. – 27 753).

აღნიშნული მონაცემები იძლევა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობასა და ეთნიკურ სურათზე არსებული ცვლილებებზე

დაკვირვების საშუალებას. ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან პერმანენტული და მასობრივი ხასიათი ჰქონდა საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა ჩამოსახლებას. პროცესი შეჩერდა XX საუკუნის მეორე ნახევარში, ხოლო XX საუკუნის ბოლოს კი პირიქით დაიწყო როგორც ქართველების ასევე სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადენლების ქვეყნიდან გადინება, რისი მიზეზიც იყო, როგორც ეკონომიკური ხასიათის ასევე ეთნიკური ხასიათის პრობლემების არსებობა ქვეყანაში.

§1. აფხაზები საქართველოში

აფხაზების რაოდენობა 1989 წლის აღწერის მიხედვით საქარველოში შეადგენდა 95.9 ათას კაცს. აქედან აფხაზეთში ცხოვრობდა 93.3 ათასი კაცი, ხოლო სულ საბჭოთა კავშირში 105 ათასი. მრავალრიცხოვანი აფხაზური დიასპორა არსებობს (400 ათასი კაცი) ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (თურქეთში, სირიაში, იორდანიაში და სხვ.), ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში (ანჩაბაძე 2008: 46).

2002 წლის აღწერის მონაცემებით აფხაზების რაოდენობა საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე შეადგენს 3527 ადამიანს. მათგან მამაკაცია 1524, ხოლო ქალი 2003.

აქედან ყველაზე მეტი აფხაზი ცხოვრობს აჭარაში – 1558 კაცი (ბათუმში 800 ადამიანი), აფხაზების დიდი ნაწილი ცხოვრობს თბილისში – 471 კაცი, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში – 423, იმერეთში – 388 (საქართველოს... 2003: 113).

მეცნიერებს შორის დღესაც არ არის საერთო აზრი აფხაზთა წარმოშობასთან დაკავშირებით. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ საქმე გვაქვს არაადგილობრივი წარმოშობის (ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებულ) ეთნკურ ჯგუფთან, რომელმაც შეავიწროვა ადგილობრივი მოსახლეობა და დაიკავა აფხაზეთის ტერიტორია (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ჯანაშია, დ. მუსხელიშვილი, გ. ჟორჟოლიანი, ს. ბახია-ოქრუაშვილი).

მეცნიერთა მეორე ჯგუფის აზრით აფხაზები წარმოადგენენ ქართული ეთნოსის ისეთივე ნაწილს როგორც ქართლელები, კახელები და სხვა ქართველები და მათ ეთნიკური სახე იცვალეს XVII საუკუნეში ჩრდილოკავკასიელი ტომების – "აფსუების" ჩამოსახლების შედეგად, რომელთაც დაიმორჩილეს ადგილობრივი მოსახლეობა, ისარგებლეს რა ქართული სახელმწიფოს სისუსტით და მოახდინეს მათი ასიმილაცია (გ. გასვიანი, პ. ინგოროყვა, თ. მიბჩუანი).

თუმცა არსებობს კიდევ მოსაზრება, რომ აფხაზები არიან აფხაზეთის ავტოქტონური მოსახლეობა (ზ. ანჩაბაძე, გ. ანჩაბაძე, შ. ინალ-იფა, ც. ბჟანია.).

საქართველოში, კერძოდ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზების წინაპრების (აფსილები და აბაზგები) შემოსვლა ივარაუდება ახ. წ. I-II საუკუნეებში (ანჩაბაძე 2008: 48).

VIII საუკუნის ბოლოს აფხაზთა მთავარმა ლეონ II-მ დაიკავა მთელი დასავლეთ საქართველო და საფუძველი ჩაუყარა აფხაზთა სამეფოს. ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი წერს "ძმისწულმან ლეონ აფხაზთა ერისთავმან მეორემან ლეონ დაიპყრე სრულად ეგრისი და იწოდა მეფედ აფხაზთა" (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 127). ასე შეიქმნა აფხაზთა სამეფო, რომელიც მოიცავდა მთელს დასავლეთ საქართველოს. სამეფოს დედაქალაქი იყო ქუთაისი, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობას შესაბამისად ქართველები შეადგენდნენ. ამ გარემოებამ განაპირობა აფხაზთა სამეფოს აქტიურობა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის პროცესში (ანჩაბაძე 1959: 108).

დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შემდეგ გაფართოვდა ტერმინ "აფხაზი"-ს და "აფხაზეთი"-ს მნიშვნელობა. ამიერიდან ამ სახელით მოიხსენიებოდა ქართულ წყაროებში დასავლეთ საქართველო და მისი მოსახლეობა. აფხაზი და ქართველი გახდა სინონიმები (ლორთქიფანიზე 1999 158).

ერთიანი აფხაზეთის სამეფოში, აფხაზურ და ქართველ მოსახლეობას შორის ინტენსიური თანაცხოვრების შედეგად კულტურული ზღვარი

მცირდებოდა და საერთო სოციალ-ეკონომიკურ გარემოში, ერთიანი სახელმწიფო იდეოლოგიის პირობებში, ქართული ქრისტიანული კულტურის ფართოდ გავრცელების გათვალისწინებით (იგულისხმება წირვა-ლოცვა ქართულად, რაც ქართული ენის გავრცელებასაც უწყობდა ხელს) აფხაზებსა და ქართველებს შორის "იშლებოდა რელიგიური და სოციალური ზღვარი" (ბახია-ოქრუაშვილი 2000: 15).

აფხაზურ-ქართული ერთიანობა ნ. ბერძენიშვილის აზრით იყო არა ურთიერთდაპყრობის და დაპირისპირების არამედ ქართულ კულტურულ სამყაროში აფხაზთა “თანდათანი მშვიდობიანი შემოსვლის” შედეგი (ანჩაბაძე 2008: 50).

XV საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ აფხაზეთი ჯერ იმერეთის სამეფოში, ხოლო შემდეგ მხოლოდ ოდიშის სამთავროში რჩებოდა. მოგვიანებით კი XVII საუკუნიდან გამოეყო ოდიშის სამთავროს. მიუხედავად ამისა აფხაზეთში ქართული ენა და კულტურას აფხაზეთის სამთავროშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ”ეკლესიურად აფხაზეთი მთელს დასავლეთ საქართველოსთან ერთად (იმერეთი-სამეგრელო-გურია) ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენდა ერთი საეკლესიო ქართული ენით. ქართული ენა იყო სამთავრობო დაწესებულებათა და მწიგნობრობის ენა” (თოფჩიშვილი 2008: 62).

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოიმატა ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებულთა რიცხვმაც, რომლებიც მართალია ენათესავებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, მაგრამ განსხვავდებოდნენ კულტურით, ტრადიციებით. XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება ადიღეური მოდგმის ჩრდლოკავკასიელი ტომების პერმანენტული თავდასხმები ოდიშის სამთავროზე. მომხდურები თანდათან იკავებენ აფხაზეთის ტერიტორიას. ჩამოსახლებულთა მოძალების შედეგად ოდიშის სამთავროს საზღვარმა სამხრეთისაკენ გადაინაცვლა მდ. ენგურამდე (ანჩაბაძე 1976: 69).

მომხდურთა და ადგილობრივთა შორის განსხვავებაზე მიუთითებს ასტრახანის გუბერნატორი ვ. ტატიშევი, რომელიც წერდა, რომ სამეგრელოს

ჩრდილოეთ ნაწილში, რომელსაც თურქები და ყაბარდოელები აფხაზეთად მოიხსენიებენ, ხოლო ძველი რუსები ”ობეზ”-ს უწოდებდნენ ყუბანელები სახლდებიან (მუსხელიშვილი 1999: 138).

"აფხაზეთის ძველ და ახალ მკვიდრებს შორის ზღვარი იმიტომ ევლება, რომ ძველი აფხაზები ქრისტიანები, მიწათმოქმედნი და ქართული ფეოდალური საზოგადოების, სოციალური სფეროს, კულტურის განუყოფელი ნაწილი იყვნენ. მაშინ, როდესაც ახალი აფხაზები (გვიანი სუასაუკუნეები XV-ის შემდეგ უწოდებს მათ ახლებს) წარმართები (ქრისტიანობიდან მიქცეულები), მეჯოგეები და თემური ცხოვრების მიმდევრები იყვნენ" (თოფჩიშვილი 2007: 375).

დროთა განმავლობაში ქართულ-აფხაზურ ეთნოსში, რომელიც ამ ტერიტორიაზე დარჩა მთიელთა ჩამოსახლებით იმძლავრა ადიღეურ-უბიხურ-აბაზურმა ელემენტმა. "მოხდა ჩამოსახლებული და დამხვდური ეთნიკური აფხაზური მოსახლეობის ყოფითი კულტურის სინთეზი (ბახია-ოქრუაშვილი 2000: 19)

1810 წელს აფხაზეთის სამთავრო შედის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ხოლო 1864 წელს სამთავრო გაუქმდა და შეიქმნა სოხუმის ოლქი (პაიჭაძე 1999: 217).

XIX საუკუნის დასაწყისში, კერძოდ კი 1800 წლისათვის აფხაზების რაოდენობა შეადგენდა 52 ათას ადამიანს. 1832 წლისათვის ფიქსირდება მცირე მატება – 56,6 ათასი კაცი (ჯაოშვილი 1984: 79).

1865 წელს ჩატარებული აღწერის შედეგად დადგინდა, რომ აფხაზების რაოდენობა 60 ათას ადამიანს აღწევდა. შემდეგ ფიქსირდება მკვეთრი კლება მოსახლეობის რაოდენობის და 1886 წლის აღწერის შედეგად დადგინდა რომ აფხაზების რაოდენობა აღწევს დაახლოებით 38 ათას ადამიანს (ჯაოშვილი 1984: 112). ამის მიზეზი აფხაზების მიმართ მეფის რუსეთის მხრიდან განხორციელებული დემოგრაფიული პოლიტიკა იყო. 1866 წელს აფხაზეთში მეფის ჯარებმა დიდი ამბოხება ჩაახშვეს და 1867 წლიდან აფხაზთა დასჯის მიზნით, ქართულ-აფხაზური საზოგადოების პროტესტის მიუხედავად დაიწყო მათი თურქეთში გადასახლების პროცესი ე.წ. "მუჰაჯირობა", რომელიც

განმეორდა 70-იან წლებში (პაიჭაძე 1999: 229).

აფხაზებთან დაკავშირებით გარკვეული ცვლილებები განხორციელდა კულტურული თვალსაზრისით. XIX საუკუნემდე აფხაზებს არ ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა და ურთიერთობისთვის იყენებდნენ ქართულ ანბანს (ახალაძე 1999: 372). ქართული, როგორც სალიტერატურო ენა აფხაზებში IX-XIXსაუკუნეებში გამოიყენებოდა (ბღაჟბა 1967: 34).

თანამედროვე აფხაზური ანბანის შექმნა უკავშირდება რუსი მეცნიერის **პ. უსლარის** მოღვაწეობას. მეცნიერის ქართულ ანბანს არსებული ანბანებიდან ყველაზე სრულყოფილად და კავკასიელი ხალხებისთვის მოსახერხებელად თვლიდა, მაგრამ განმარტავდა, რომ ქართული ანბანის გავრცელებას (დამწერლობის გავრცელებამ) შეიძლება სირთულეები გამოეწვია, რადგან მისი აზრით ამ ხალხების დიდ ნაწილს ქართველებთან თითქმის არავითარი შეხება ჰქონდათ და მჭიდრო კავშირში იყვნენ რუსებთან. იგი რუსული ანბანის შრიფტის გავრეცლების აუცილებლობას ჩრდილო კავკასიელ ხალხებში მათი რუსული ენისადმი დიდი მოთხოვნილებით ხსნიდა (ბღაჟბა 1967: 41).

საბოლოოდ რუსულ შრიფტზე დაფუძნებული თანამედროვე აფხაზური ანბანი 1865 წელს გამოიცა თბილისში (პაიჭაძე 1999: 231).

1918-1921 წლებში აფხაზეთი შედიოდა ავტონომიის სტატუსით შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში, რასაც მხარს უჭერდა აფხაზეთის სახალხო საბჭო (თოიძე 1999: 292).

ხოლო რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციიდან ცოტა ხნის შემდეგ 1931 წელს, იმავე სტატუსით შევიდა საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში. 1921-31 წლებში ფორმალურად ინარჩუნებდა სუვერენული რესპუბლიკის სტატუსს, თუმცა ფაქტობრივად წარმოადგენდა ავტონომიას საქართველოს შემადგენლობაში.

XX აფხაზების რაოდენობა კვლავ მატულობდ და უკვე 1926 წლისათვის შეადგინა 56 847 კაცი (ჯაოშვილი 1984: 139).

XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს აფხაზეთში არსებობდა 20-ზე

მეტი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულება და უმაღლესი სასწავლებელი. როგორებიცაა აფხაზური სახელმწიფო უნივერსიტეტი, ენის აფხაზური ინსტიტუტი, ექსპერიმენტალური თერაპიისა და პათოლოგიის ინსტიტუტე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმები და ა.შ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სხვა სახელმწიფო საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო დაწესებულებებში სწავლობდნენ აფხაზი ეროვნების მოქალაქეები.

ავტონომიაში ფუნქციონირებდა სახელმწიფო ეროვნული თეატრი, სახელმწიფო მუზეუმი, სახელმწიფო სახალხო ბიბლიოთეკა, მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა კავშირების განყოფილებები, სიმფონიური ორკესტრი, სახელმწიფო კაპელა და ა.შ.

ეროვნულ აფხაზურ ენაზე მიმდინარეობდა ტელე-მაუწყებლობა, გამოიცემოდა გაზეთები და ჟურნალები, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში ლიდერი იყო მშობლიურ ენაზე წიგნების და ბროშურების გამოცემით.

აფხაზები ფართოდ იყვნენ ასევე საქართველოს ხელისუფლებაში წარმოდგენილი,–მინისტრის მოადგილის, მინისტრის, უზენაესი სასამართლის თავჯდომარის მოადგილის და სხვა მნიშვნელოვან სახელისუფლებო პოსტებზე. აფხაზები რიცხობრივად დომინირებდნენ თვით ავტონომიის ხელმძღვანელ ორგანოებში, მაშინ როცა მოსახლეობის 18%-ს შეადგენდნენ. გ. ჟორჟოლიანის ცნობით 12 სამინისტროდან და 8 სახელმწიფო კომიტეტების ხელმძღვანელიდან 13 იყო აფხაზი, 8 საქალაქო და რაიონულ პროკურატურაში 5-ს ხელმძღვანელობდა აფხაზი 3-ს ქართველი (ჟორჟოლიანი 1999: 427).

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 1990-იან წლებში ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირება დაიწყო აფხაზებსა და ქართველებს შორის, რაც ომში გადაიზარდა და 1993 ქართული სამხედრო შენაერთების მარცხით დასრულდა, ხოლო 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის ფედერაციამ მოახდინა აფხაზეთის ოკუპაცია.

§2. აზერბაიჯანელები საქართველოში.

2002 აღწერის მიხედვით საქართველოში ცხოვრობს 284 761 აზერბაიჯანელი, რაც არის 1989 წელს დაფიქსირებული რაოდენობის (307 556 კაცი) 92.6%. აზერბაიჯანელები შეადენენ საქართველოს მოსახლეობის 6.5%, რაც 0.8%-ით მეტია 1989 წელს დაფიქსირებულ მაჩვნებელზე (5.7%) (საქართველოს... 2003: 110).

აზერბაიჯანელების უმეტესი ნაწილი — ცხოვრობს ქვემო ქართლის რეგიონში 224 606 მოქალაქე, რაც შეადგენს რეგიონის მოსახლეობის (497 530 კაცი) 45.1%-ს. საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით აზერბაიჯანელები დიდი რაოდენობით ცხოვრობენ კახეთში (40 036 კაცი,), სადაც შეადგენენ მოსახლეობის (407 182 კაცი) 9.8%, ხოლო დედაქალაქში მათი რაოდენობა არის 10 942 ადამიანი. კონკრეტულად ქვემო ქართლში აზერბაიჯანელები დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ბოლნისის რაიონში — 49 023 კაცი (რაიონის მოსახლეობის 65.9%), გარდაბნის რაიონში — 49 993 კაცი (რაიონის მოსახლეობის 43.7%), დმანისის რაიონში — 18716 კაცი (მოსახლეობის 66.7%), მარნეულის რაიონში — 98 245 კაცი (მოსახლეობის 83.1%) (საქართველოს... 2003: 116).

აზერბაიჯანელების საერთო რაოდენობის 19.2% ქალაქად ცხოვრობს, დანარჩენი სოფლად (ჯანიაშვილი 2008: 111).

აზერბაიჯანელების საქართველოში ჩამოსახლების ისტორია იწყება XVII საუკუნის პირველ ნახევარში, როცა შაჰ-აბასმა საქართველოს ორ პროვინციაში კერძოდ – ქვემო ქართლსა და კაკ-ენისელში, შესაბამისად – ბორჩალოს მუსლიმი ტომები და წახურელები ჩამოასახლა. თურქული ტომების ჩამოსახლება გაგრძელდა XVIII საუკუნეშიც. ამ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოსახლდა ჰასანლუს ტომის ნაწილი, რომლებიც ძირითადად კახეთში (თელავთან 5 სოფელში) და ქვემო ქართლში (მარნეული, გარდაბანი) დასახლდნენ (ჯანიაშვილი 2008: 112).

მოსახლეობისაგან დაცლილი ტერიტორიების ასათვისებლად ქართველი მმართველები ხშირად თავად ასახლებდნენ თურქული მოდგმის ტომებს

საქართველოს ტერიტორიაზე და აღარ აძლევდნენ ქვეყნიდან წასვლის საშუალებას (ჯანიაშვილი 2008: 113)

XVIII საუკუნეში ვახუშტის ცნობით “სამშვილდეს ქუეით ქციის ჰრამი ნაჰიდურამდე...ნაჰიდურს ქუეით, ქციის ამიერ და იმიერ კიდესა სახლობენ ელნი მოჰმადიანნი, მოხარკენი და მოლაშქრენი მეფისა” (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 324).

ჩამოსახლებულები ქართველი მეფეების მორჩილებაში რჩებოდნენ და დაწესებულ ხარკსაც იხდიდნენ. ვახუშტის ცნობით "ალგეთს შესართავს ჩრდილოდ იალღუჯამდე, მტკურის პირას სახლობენ ელნი მოჰმადიანნი, მთესვენლი ბრინჯისა, ბამბისა და ყოვლისა თესლ-მარცვლეულისა, აკეთებენ აბრეშუმსა მოხარკენი არიან მეფისა, სავსენი ყოვლითა პირუტყვითა" (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 328)

საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებიდან 280 650 ადამიანი არის მაჰმადიანი. ქვეყანაში ასევე ცხოვრობენ მართლმადიდებელი (2 647 კაცი) აზერბაიჯანელები. მცირე რაოდენობით არიან გრიგორიანი (147 კაცი) და კათოლიკე (59 კაცი) აზერბაიჯანელებიც (საქართველოს... 2003: 132).

ქვემო ქართლის აზერბაიჯანელების ძირითადი შემოსავლის წყაროა საშუალო და მცირე ბიზნესი. ისინი ძირითადად ჩართულნი არიან სოფლის მეურნეობაში, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე განვითარებულად ითვლება საქართელოში, მათი პროდუქციით, რომელიც მაღალი ხარისხით გამოირჩევა ძირითადად მარაგდება დედაქალაქი (კომახია 2008ა: 127).

როგორც აღწერის მონაცემებიდან ჩანს მუსულმანური რელიგია წარმოადგენს საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების მნიშვნელოვან ეთნოკულტურულ მახასაიათებელს, მაგრამ ამავე დროს აზერბაიჯანელების ფოლკლორში იკვეთება მათი განსაკუთრებული ტოლერანტული დამოკიდებულება ქრისტიანების მიმართ, რის მიზეზს წარმოადგენს ოფიციალური ისლამის მიერ ქრისტეს მოციქულად აღიარება და საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების ქრისტიანებთან ხანგრძლივი თანაცხოვრების

გამოცდილება, რასაც ემატება ასევე მათში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენები ქრისტეს ცხოვრებასა და ქრისტიანულ საიდუმლოებებზე (ჯანიაშვილი 2008ა: 123).

აზერბაიჯანელებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება უფროსებისადმი პატივისცემას, როგორც ოჯახში ასევე საზოგადოებაში. "თუ უფროსი მოდის და შენ ზიხარ, აუცილებლად უნდა ადგე და შესთავაზო ადგილი უფროსს, ასევე ქალს. ეს მახასიათებელი ეროვნული ხასიათის ნაწილია და შენარჩუნებულია, როგორც ქალაქში ასევე სოფლად მცხოვრებ აზერბაიჯანელებში. ქალი საერთოდ მსუბუქ საქმეებს ასრულებს, მაგრამ ზოგ სოფლებში, მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ აზერბაიჯანელებში, სადაც შემორჩენილია ფეოდალური ურთიერთობების ელემენტები, პირიქითაც ხდება (სულეიმანოვი 2012).

საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები განიცდიან ქართული კულტურის გავლენას. "მაგალითად, ჩვენი თამადა და თამადა ყაზახის რაიონში (აზერბაიჯანშია) ერთიდაიგივე არ არიან. როდესაც ადათწესების შესრულების პროცესი მიმდინარეობს ჩანს, რომ ესენი საქართველოს აზერბაიჯანელები არიან (სულეიმანოვი 2012). იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს სომხებზე. საქართველოს სომხებს ძალიან ბევრი რამ აღებული აქვთ ქართული კულტურიდან და განსხვავდებიან სომხეთში მცხოვრები სომხებისაგან.

საქართველოს აზერბაიჯანელების ყოფა ცალკეულ რეგიონებში არ განსხვავდება მათი ქართველი თანამემამულეების მდგომარეობისაგან. მსგავსებები თვალსაჩინოა განსაკუთრებით ყოფით დონეზე, თითქმის ისევე, როგორც გორელები და კასპელები ატარებენ ჩვეულებრივ ნადიმს (სულეიმანოვი 2012).

საქართველოში ფუნქციონირებს აზერბაიჯანული კულტურის სახლი, აზერბაიჯანელი საზოგადო მოღვაწეების (მირზა ფათალი ახუნდოვის, ნარიმან ნარიმანოვის, ჯალილ მამედყულიზადეს) სახლ-მუზეუმები. აზერბაიჯანელთა კულტურულ თვითმყოფადობაზე ზრუნავენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც. თბილისში მოქმედებს აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი, თბილისის სახელმწიფო აზერბაიჯანული თეატრი (კომახია 2008ა: 128).

საქართველოში გამოდის აზერბაიჯანული ჟურნალ-გაზეთები, მათ შორის გაზეთი "გურჯისტანი". ფუნქციონირებს აზერბაიჯანული ანსამბლები. დამოუკიდებლობის პერიოდში, რუსთავში, თბილისში, მარნეულში, ბოლნისის რაიონში, გახსნილია კულტურის ცენტრები, იმ მიზნით, რომ განვითარდეს აზერბაიჯანული მოსახლეობის კულტურა. საქართველოს ყველა რეგიონში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს აქვთ საკუთარი კულტურის შენარჩუნების სრული შესაძლებლობა (სულეიმანოვი 2012).

2010 წელს მუსულმანური დღესასწაული "ნოვრუზ-ბაირამი" სახელმწიფო დღესასწაულად გამოცხადდა (რეინტეგრაციის... 2010: 38).

§3. სომხები საქართველოში

2002 წლის აღწერის მონაცემებით საქართველოში ცხოვრობს 248 929 (1989 წელს დაფიქსირებული რაოდენობის 56.9%) სომეხი ეროვნების მოქალაქე, რაც შეადგენს ქვეყნის მთელი მოსახლეობის 5,7%, მაშინ როცა 1989 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემებით საქართველოში ამ ეთნოსის წარმომადგენელთა რაოდენობა იყო 437 211 კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის 8,1% (საქართველოს მოსახლეობა 1989 წელს შეადგენდა 5 400 841 კაცს). სომხების უმეტესი ნაწილი ცხოვრობს თბილისში (82 586 კაცი) და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (113 347 კაცი). ასევე დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ბათუმში (8 848 კაცი), იმერეთში, კახეთში და საქართველოს სხვა რეგიონებში (საქართველოს... 2003: 110-115).

სამცხე-ჯავახეთის მთელი მოსახლეობა 2002 წლის აღწერის მიხედვით შეადგენს 207 598 კაცს. სომხები უმრავლესობას წარმოადგენენ ორ რაიონში ახალქალაქის რაიონში – 57 516 კაცი (რაიონის მთელი მოსახლეობის 94%) და ნინოწმინდის რაიონში – 32 857 კაცი (რაიონის მოსახლეობის 96%). ასევე დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ახალციხის რაიონში 16 873 კაცი (მოსახლეობის 36%) (საქართველოს... 2003: 115).

სომხეთი საქართველოს უძველესი სამხრეთი მეზობელი იყო და შესაბამისად სამხრეთიდან მომავალი დამპყრობლები ჯერ სომხეთში შედიოდნენ, რის გამოც საქართველო სომხებისათვის ერთგვარ თავშესაფარს წარმოადგენდა.

”სრულებით ბუნებრივია, რომ ისინი სახლდებოდნენ განსაკუთრებით იმ კუთხეში, რომელიც სომხეთის მოსაზღვრე იყო და სადაც თავისუფალი სამოსახლო ადგილი მოიპოვებოდა. ამიტომ არც გასაკვირველია, რომ ისინი შემოიხიზნებოდნენ ხოლმე სწორედ ქვემო-ქართლში, რომელიც ჩრდილოეთით ერევნის მთებს ეკრა. ე.წ. სომხითში. ლორეში, ტაშირში და სხვაგან” (ჯავახიშვილი 1998: 28).

საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული სომეხი ლტოლვილები ხშირ შემთხვევაში რჩებოდნენ აქ საცხოვრებლად და ქართული სახელმწიფოს, თუ სახელმწიფოების ქვეშევრდომები ხდებოდნენ. სომხების ჩამოსახლებას ხელს უწყობდნენ ქართველი ხელისუფალნი, განსაკუთრებით ქალაქებში, მათ შორის თბილისში სადაც სომეხ ვაჭარ-ხელოსანთა სიმრავლე ქვეყნის ეკონომიკისათვის იყო მნიშვნელოვანი. ფეოდალური საქართველოს ქალაქებისათვის აუცილებელი იყო ებრაელ და სომეხ ვაჭარ-ხელოსანთა არსებობა, რაც განაპირობებდა ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას (ლომსაძე 1975: 342). მაჰმადიანური სახელმწიფობის მხრიდან არსებული საფრთხეების პირობებში ქართველი მეფეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სომეხთა ჩამოსახლებას, რომელთა შრომისმოყვარეობა და ქართველებთან კულტურულ-რელიგიური სიახლოვე ქართული სახელმწიფოებრიობისათვის აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენდა (მაისურაძე 1999: 113).

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში – სურამში, ცხინვალში, ონში და სხვა სავაჭრო გზებზე მდებარე პუნქტებში ქართველებისა და ებრაელების გვერდით მრავლად სახლობდნენ სომხებიც. ამ ცნობებში ჩანს, რომ სომხური მოსახლეობა, როგორც აღმოსავლეთ ისე – დასავლეთ საქართველოს ქალაქებში მრავლად იყო და მათი ძირითადი საქმიანობა ვაჭრობა იყო, შესაბამისად სავაჭროდ მოსახერხებელ გზებზე მდებარე ქალაქებში განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მათი რაოდენობა (ვახუშტი

ბატონიშვილი 1973: 57,76,80,81,154,156,157).

XVIII საუკუნეში სომხები ძირითადად განსახლებულნი არიან ისეთ პუნქტებში, როგორებიცაა სურამი სადაც არიან ქართველები, სომხები და ებრაელები, ქუთაისი_"იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი". იგივეა მდგომარეოებაა საჩხერეში, ჩიხორში, სამცხეში__ბარალეთში, გოკიაში, აწყურში. დაახლოებით იგივე სურათია გორში, სადაც ქართველები და სომხები ასევე ერთად ცხოვრობენ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 367,377,662,669,670756,760,761).

ჩამორჩენილ და მათთვის უცხო ყიზილბაშურ, თუ ოსმალურ კულტურასთან მეზობლობის პირობებში, ქართულ კულტურულ გარემოში მოხვედრილი სომხები ადვილად ქართველდებოდნენ, თუმცა ძირითადად შემთხვევებში ინარჩუნებდნენ საკუთარ რელიგიას. "გაქართველებული სომხისთვის კი ცალკე სომხური კოლონია მიუღებელი იყო: პირიქით, ის ძირითად სომხური კოლექტივისაგანაც განსხვავდებოდა და ქართული სამყაროს შვილად მიიჩნევდა თავს, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიური კუთვნილება მას ყოველთვის ახსენებდა თავის ეთნიკური წარმომავლობას" (მაისურაძე 1999: 205-206).

XVIII საუკუნეში მცხოვრები სომხები, როგორც ბატონიშვილი აღნიშნავს „ქცვა-ზნით" უკვე გაქართველებულნი იყვნენ. ეს განსაკუთრებით შეეხება ქვემო ქართლის და თბილისის სომხობას (ქც. 1973: 37,41). ქვეყანაში მცხოვრები სომხების დიდი ნაწილის სასაუბრო და სამწერლო ენა ძირითადად ქართული იყო (მაისურაძე 1999: 312).

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ერეკლე II-მ ერევნიდან (1780წელს) და ყარაბაღიდან (1787 წელს) 7000 მდე სომეხი შემოასახლა, რომელთა ნაწილი მერე განჯას გადასახლდა (ლომსაძე 1975: 342).

ამგვარი მდგომარეობა იყო საქართველოში XIX საუკუნემდე. 1800 წელს საქართველოში მცხოვრებთაგან სომხები სიდიდით მესამე ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენდნენ და მათი რაოდენობა იყო – 47 ათასი, – საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქართული სამეფო-სამთავროების მთელი მოსახლეობის 6,0% (ჯაოშვილი 1984: 79).

XIX საუკუნის საქართველოში სომხების პერმანენტული და კომპაქტური ჩამოსახლების პროცესი ქვეყანაში რუსეთის ხელისუფლების დამკვიდრებისთანავე დაიწყო და მას თავად ხელისუფლება ახორციელებდა. საქართველოში სომხების დასახლების მიზეზად სახელდებოდა მათი ლოიალური დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ, ხელისუფლებას ისინი საიმედოდ მიაჩნდათ და ამასთანავე ამ პროცესს ასევე ვაჭრობის განვითარებისათვის უნდა შეეწყო ხელი (ჯავახიშვილი 1998: 10).

სომხები სახლდებოდნენ საქართველოს ქალაქებსა და რეგიონებში. XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში იქმნება კომპაქტური დასახლებები. 1826-1828 წლებში რუსეთ-ირანის ომის დროს სომხების დიდი რაოდენობა შემოასახლეს საქართველოში ირანიდან, მათი ნაწილი ქვემო ქართლში დასახლდა (ლომსაძე 1975344). რეგიონში იქმნება სომხების კომპაქტური დასახლებები, როცა 1828-1829 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ მოხდა მოსახლეობის გაცვლითი გადასახლება. ადგილობრივი მაჰმადიანი ქართველები ხელისუფლებამ აიძულა თურქეთში გადასახლებულიყვნენ, ხოლო მათ მაგივრად კი არზრუმიდან 30000 სომეხი ჩაასახლეს (ჯავახიშვილი 19988). სამცხე-ჯავახეთში სომხების ჩასახლებით ხელისუფლებას სურდა ოსმალეთის საზღვართან ერგული მოსახლეობა ჰყოლოდა, რომელიც საზღვარს დაიცავდა და ამასთან შეძლებდა მხარეში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას (ლომსაძე 1975: 347).

სომხების ჩასახლების პროცესი მიმდინარეობდა ბორჩალოში, ჯავახეთში და შავი ზღვის სანაპიროზე. აფხაზეთში ამ ქმედებას მეფის მოხელეები სათანადო არგუმენტებით ამართლებდნენ. მათი აზრით, ვინაიდან შავი ზღვის სანაპირო პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ტერიტორია იყო იმ პერიოდისათვის აქ სომხები უნდა ჩასახლებულიყვნენ, რადგან ეს უკანასკნელნი, როგორც სამეურნეო კულტურის კარგი მცოდნენი აფხაზეთში ამგვარი კულტურის განვითარებას შეძლებდნენ, ამასთან, რუსებისაგან განსხვავებით, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ აქაურ ჰავას სომხები და ბერძნები ითვლებოდა, რომ შეჩვეულნი იყვნენ ასეთ პირობებს და გაუძლებდნენ (იგულისხმებოდა თურქეთიდან ჩამოსახლებულები) შესაბამისად, ამ კუთხეს ააყვავებდნენ, რაც შემდეგ სხვების

დასახლებასაც შესაძლებელს გახდიდა (ჯავახიშვილი 1998: 11).

XIX საუკუნის ბოლოსათვის, კერძოდ კი 1897 წელს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სომხების რაოდენობა იყო 197,0 ათასი კაცი, რაც საუკუნის დასაწყისში არსებულ მაჩვენებელს 4-ჯერ აღემატება (ჯაოშვილი 1984: 112).

XX საუკუნის დასაწყისში თურქეთში სომხური მოსახლეობის დევნის შედეგად დაიწყო ახალი ლტოლვილების შემოსვლა. I მსოფლიო ომის დროს რუსეთისადმი სომხების მხარდაჭერის გამო ოსმალეთის იმპერიაში განხორციელდა სომხური მოსახლეობის მაშტაბური დევნა, რასაც დიდი მსხვერპლი მოყვა სომხურ მოსახლეობაში. შესაბამისად, ამიერკავკასიასა და კერძოდ საქართველოში სომეხი ლტოლვილების ახალი ნაკადი შემოვიდა (ჯავახიშილი 1998: 15).

1926 წლის აღწერის მონაცემების თანახმად საქართველოში, ცხოვრობდა 307 018 სომეხი. მომდევნო წლებში სომხების მაშტაბურ ჩამოსახლებას საქართველოში არ ჰქონია ადგილი, რაზეც მეტყველებს 1939 წლის აღწერის მონაცემები სადაც მათი რაოდენობა რესპუბლიკის მაშტაბით არის 414 182 ადამიანი (ჯაოშვილი 1984: 139).

კომპაქტურად ჩასახლებული სომეხი მოსახლეობა ადრე ჩამოსახლებულებისაგან (იგულისხმება XIX საუკუნემდე ჩამოსახლებულები) განსხვავებით ქართულ ენას არ ფლობდა და ქართული ენის შესწავლის საჭიროებასაც ნაკლებად გრძნობდა.

საქართველოში მცხოვრები სომხების ძირითადი ნაწილი გრიგორიანული რელიგიოუს მიმდევარია – 166 950 კაცი. მრავლად არიან მართლმადიდებელი (57 649 კაცი) და კათოლიკე (21 478 კაცი) სომხები. მცირე რაოდენობით არიან ასევე მაჰმადიანებიც (218 კაცი) (საქართველოს... 2003: 132).

სომხებს შენარჩუნებული აქვთ საკუთარი კულტურა და ტრადიციები, თუმცა თბილისში მცხოვრები სომხების ტრადიციები მეტნაკლებად განსხვავდება სომხეთში, სპარსეთსა, თუ ევროპაში მცხოვრები სომხების ტრადიციებისაგან. საქართველოს სომხების ზოგიერთი ხალხური დღესასწაული საბჭოთა პერიოდში უფრო ოჯახის დონეზე აღინიშნებოდა, ხოლო დღეს უფრო

საჯარო გახდა. მაგალითად, ქორწილის ტრადიციები, რომელიც ქალაქშიც არის შენარჩუნებული, საეკლესიო დღესასწაულები – ჯანგირუმი, ვართავაზი (ავაქიანი 2012).

დედაქალაქისაგან განსხვავებით უფრო მარტივია ტრადიციების შენარჩუნება რეგიონში, სოფლად კომპაქტურად მაცხოვრებლებში, რადგან ქალაქი უფრო მოდერნიზებულია და ეთნოსთაშორისი ურთიერთობების ინტენსივობა გაცილებით მაღალ დონეზეა ვიდრე სოფელში. შესაბამისად, გლობალიზაციის პროცესი ახალი ტრადიციების დანერგვას უწყობს ხელს რაც ქალაქში უფრო მარტივად ხდება. ტრადიციებს უფრო სოფლად ინარჩუნებენ, რაშიც გარკვეულ როლს თამაშობს, ის რომ დახურული ტიპის საზოგადოებაში ცხოვრობენ. საქართველოს სომხებს ქრისტიანული ტრადიციების გარდა შენარჩუნებული აქვთ ასევე წინქრისტიანული დღესასწაულებიც, რომელთაგან დღესაც ძალიან პოპულარულია "ვარდავარი" (სტეპანიანი 2012).

საქართველოში არსებობს სომხური პრესა, თეატრი, სომხურენოვანი სკოლები, საკვირაო სკოლები. თბილისში არსებობს სომეხი მწერლების და საზოგადო მოღვაწეების პანთეონი. თბილისში ფუნქციონირებს სომხური ფოლკლორული ანსამბლები თეატრალური წრეები (ეთნოსები 2008110). რეინტეგრაციის სამინისტროს 2010 წლის ანგარიშიდან ირკვევა რომ საქართველოში სულ არსებული 2,131 საჯარო სკოლიდან სომხური არის 116 სკოლა (რეინტეგრაციის... 2010: 11).

§4. ოსები საქართველოში

2002 წელს საქართველოს სახელმწიფოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობდა 38 028 ოსი ეროვნების მოქალაქე. (აქედან ოკუპირებულ ახალგორის რაიონში 1110 კაცი). ოსები განსახლებულნი არიან საქართველოს ყველა რეგიონში. მათი დიდი ნაწილი (35.1%) ცხოვრობს შიდა ქართლში – 13 383, კახეთში – 6109 კაცი, მცხეთა-მთიანეთში – 3977, ქვემო ქართლში – 2184. ოსების საერთო რაოდენობის თითქმის მესამედი ცხოვრობს თბილისში – 10 268 კაცი (27%) (საქართველოს... 2003: 113).

ქართლში ოსები ძირითადად ცხოვრობენ კასპის რაიონში, ქარელის რაიონში, გორის რაიონში, ხაშურის რაიონში, მცხეთა-მთიანეთის მხარეში (გაგლოევი 2012).

აღსანიშნავია, რომ ოსებს XX საუკუნემდე ერთიანი სახელწოდება არ გააჩნდათ. აღმოსავლეთ ოსეთის მცხოვრებნი თავს "ირონს" უწოდებდნენ, ხოლო დასავლეთით დიგორის ხეობის მცხოვრებნი თავს დიგორონს უწოდებდნენ, ხოლო სახელწოდება "ოსი" გავრცელებულია ქართული ენიდან, ამ სახელით მათ მხოლოდ ქართველები მოიხსენიებდნენ (საქართველოს... 2010: 190).

„არცერთი საისტორიო წყაროთი არ მტკიცდება, რომ ირანულენოვანი ტომები პირველი ათასწლეულის I ნახევარში კავკასიის მთიანეთში ცხოვრობდნენ. ცნობილია, რომ დღევანდელ ოსთა წინაპრებად მიჩნეული ალანები მხოლოდ ძვ.წ. I-საუკუნიდან დასახლდნენ აზოვისპირეთსა და სამხრეთ ურალს შორის. ასე რომ არა მარტო I ათასწლეული I ნახევარში, არამედ ძვ.წ. I საუკუნეშიც კი გამორიცხულია ოსთა წინაპარი ე.წ. ალანების ჩრდილოეთ კავკასიის მთა-მთისწინეთში მკვიდრობა" (თოფჩიშვილი 1997: 15).

კავკასიაში ოსების თავდაპირველი განსახლების ადგილს წარმოადგენდა მთავარი წყალგამყოფი ქედის ცენტრალური მონაკვეთის ჩრდილოეთი ნაწილი. ფაქტობრივად ალან-ოსების მუდმივი განსახლების ადგილი ჩრდილოეთ კავკასია იყო.

ამ კუთხით ოსების შესახებ საინტერესო ცნობები აქვს ჯუანშერს, რომლის მიხედვით ვახტანგ გორგასლის ბავშვობაში ოსებმა დაარბიეს ქართლი, რანი, მოვაკანი და „განვლეს კარი დარუბანდისა, რამეთუ თვით გზა სცეს დარუბანდელთა და შევიდეს ოვსეთს გამარჯვებულნი". (ოსეთი ჩრდილოეთ კავკასიაში იხსენიება, ანუ ყოველთვის ჩრდილოეთ კავკასიაში დარუბანდს იქით მდებარეობდა). ოსებმა ამ ლაშქრობისას ვახტანგის და დაატყვევეს. მოგვიანებით ვახტანგმა აღკვეთა ოსთა თარეში, „განვლო კარი დარიალანისა" და დაიმორჩილა ისინი (ჯუანშერი 1955: 151).

თითქმის გვიანშუასაუკუნეებამდე, მცირე მაშტაბით, მაგრამ მაინც ადგილი ჰქონდა ქართლში ოსთა ჩამოსახლების შემთხვევებს. ვახუშტი ბატონიშვილის

ცნობით 853 წელს ბუღა თურქმა „დარიალანით გამოიყვანნა ოვსნი ვითარ სახლი სამი ათასი, და დასხნა იგინი დმანისს, და ენება ზაფხულის შესვლა ოვსეთად" (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 256).

ამის შემდეგ ოსები ისტორიულ წყაროებში ძირითადად ჩანან, როგორც რომელიმე ქართველი მეფე-მთავრის მოკავშირეები. დიდგორის ომში ოსები ქართვლების მხარდამხარ იბრძვიან სელჩუკების წინააღმდეგ.

ხშირია დინასტიური ქორწინებებიც ქართველ და ოს მმართველებს შორის. გიორგი III-ს მეუღლე და თამარის დედა ბორდოხან დედოფალი "ოვსთა მეფის ქალი იყო" (ქ.ც.1973: 176). თამარის მეუღლე იყო ოსი უფლისწული დავით სოსლანი, სახელოვანი სარდალი და პიროვნება, საქართველოს მეფე. ამ დროს მთელი კავკასია, მათ შორის ოსეთიც საქართველოს გავლენის სფეროში იყო მოქცეული.

ოსები ყველა ისტორიული დოკუმენტის მიხედვით არიან საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებული ეთნოსი ჩრდილოეთ კავკასიიდან (სონღულაშვილი 2002: 198)

საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე პრივინცია დვალეთში ოსური დასახლებები XV საუკუნიდან ჩდება, რასაც დროთა განმავლობაში (XVI-XVIIსს.) ადგილობრივი ქართული ტომის – დვალების ასიმილაცია მოყვა (თოფჩიშვილი 2007: 54).

ვახუშტი ბატონიშვილი არ თვლის დვალებს ოსებად და განმარტავს, რომ ეს სახელი ამ მხარეს მოგვიანებით ეწოდა. იგი ამბობს დუალთა და აწ ოსეთად წოდებულისა" (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 370).

ამ მხარეში XV საუკუნიდან იწყება ოსების შემოსვლა. XVI ს-ში "განხორციელდა ოსების მნიშვნელოვანი შემოსახლება დვალეთში და ეთნიკურად ოსური ამ დროიდან იქცა" (თოფჩიშვილი 1999 10). XVII ს-ში დვალების ასიმილაცია ფაქტობრივად დასრულდა, თუმცა ზოგ ხეობაში მაგალითად, ზახაში საკმაოდ დიდხანს შემორჩა ორეროვნება. ზახელები კარგად ფლობდნენ ქართულს რისი მიზეზიც უნდა იყოს მათი საქართველოსთან

ხანგრძლივი ეთნოკულტურული კავშირები და ქართველი სასულიერო პირების მოღვაწეობა ზახის ეკლესიებში სადაც წირვა-ლოცვა ქართულად მიმდინარეობდა (თოფჩიშვილი 2007: 94)

ვახუშტის დროს (XVIII საუკუნის I ნახევარი) დვალეთი უკვე ოსებით არის დასახლებული. აქ "მსახლობელნი არიან ოსნი"-ო წერს ავტორი (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 363)

რაც შეეხება ქართულ მოსახლეობას – დვალებს, ოსების მხრიდან თავდასხმების და ქართული სახელმწიფოს სისუსტის შედეგად იძულებულნი გახდნენ საქართველოს სხვა კუთხეებში ჩასახლებულიყვნენ, (რაჭაში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში), ხოლო ის მცირე ნაწილი, რომელიც დარჩა დვალეთში აითქვიფა ოს მოსახლეობაში – გაოსდა (თოფჩიშვილი 2007: 95).

სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ოსთა ჩამოსახლება შიდა ქართლში. მათი გამუდმებული თავდასხმების გამო ქართლის მთიელები ტოვებდნენ სოფლებს და ბარში მიდიოდნენ, სადაც მოსახლეობა შემცირებული იყო მტრის შემოსევების შედეგად (თოფჩიშვილი 2007: 98).

რაც შეეხება დღევანდელ საქართველოს ტერიტორიას აქ ოსური დასახლებები უკვე XVII საუკუნეში ჩნდება. კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, კერძოდ მთიან ქართლში (XVII-XVIIIსს.) ვინაიდან ამ პერიოდში დასუსტებული ქვეყანა (საქართველო XV ს-ში დაიშალა სამეფო სამთავროებად) ვეღარ აკონტროლებდა ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსასვლელებს – კასრის კარს და დარიალს (თოფჩიშვილი 2007: 99).

ვახუშტი ბატონიშვილი საუბრობს, ოსების ქართლში ჩამოსახლების მიზეზებზე

"ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი "შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარსა შინა კაცნი შემცირებულან" (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 364).

მიუხედავად ქვეყანაში არსებული სირთულეებისა ქართველი მეფეები ეკლესიასთან ერთად ახერხებდნენ ქართულ-ოსური ურთიერთობების გასაუმჯობესებლად გზების გამონახვას. ვახუშტის ცნობით ნიქოზის ეპისკოპოსის საწმყოში შედიოდა დვალეთი გლოლა-ღებითურთ და მწყემსია კავკასიანთაო. შიდა ქართლის ბარის მოსახლეობაში ვახუშტის დროს ოსები ჯერ არ ჩანან. "თამარაშენი, მცირე ქალაქი. მსახლობელნი სომეხნი, ურიანი და ქართველნი" (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 370).

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ოსების რაოდენობა XVIII ს-ის დასასრულს 2130 კომლს (15 000-მდე სული) შეადგენდა (თოფჩიშვილი 2007: 57).

XIX საუკუნეში მათი რაოდენობა თანდათან იზრდება შიდა ქართლის ტერიტორიაზე, კახეთში და ქვემო ქართლში (ჯაოშვილი 1996: 316).

პარალელურად ქართველები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ოსურ მოსახლეობაში განათლების და კულტურის განვითარებაში. 1745 წელს რუსეთში მოღვაწე ქართველმა სასულიერო პირებმა დააარსეს ე.წ. "ოსეთის სასულიერო კომისია", რომელიც თავიდან მხოლოდ ქართველებისაგან შედგებოდა და რომლის მიზანიც ჩრდილო ოსეთის ჩართვით ქართულ-რუსული კავშირურთიერთობების გაღრმავება იყო. ამ მიზნით ოსეთში ქრისტიანობის ქადაგება დაიწყო. გარდა ამისა 1764 წელს ქართველმა მისიონერებმა ქ. მოზდოკში პირველი სკოლა გახსნეს ოსი ბავშვებისათვის (სონღულაშვილი 2002 5).

აღსანიშნავია, რომ პირველი ოსური ანბანი შეიქმნა ქართული გრაფიკის საფუძველზე XIX საუკუნეში. მისი ავტორი იოანე იაღლუზიძე (გაბარათი) (1775-1830) იყო, რომელიც 1820 წლიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში მოსწავლე ოს ბავშვებს ქართულ და ოსურ ენებს ასწავლიდა. რუსულ გრაფიკაზე დაფუძნებული ოსური ანბანი კი პირველად რუსმა მეცნიერმა ანდრია შეგრენმა შეადგინა (თოფჩიშვილი 2007: 57)

ტერმინი ”სამხრეთ ოსეთი” ჩნდება XIX საუკუნეში, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია. 1830 წელს გაზეთ "ტიფლისკიე

ვედომოსტი"-ში გაჩნდა ეს სახელწოდება, ხოლო მოგვიანებით უკვე იგი გამოიყენებოდა ე.წ. "პოლიტიკურ ლექსიკონში" ანუ კავკასიის რუს მმართველთა ოფიციალურ დოკუმენტებში (თოთაძე 2006: 34).

XX საუკუნის პირველ მეოთხედში განსაკუთრებით გამწვავდა ქართულ-ოსური ურთიერთობები. საქართველოს პირველ რესპუბლიკასთან ბრძოლაში (1918-1921წწ.) შიდა ქართლის ოსები იქცნენ ამჯერად უკვე ბოლშევიკური რუსეთის დასაყრდენ ძალად. 1918-1920 წლებში შიდა ქართლში მოხდა რამდენიმე სასტიკი აჯანყება, რომელშიც სეპარატისტებთან ერთად ზოგჯერ ქართული მოსახლეობაც მონაწილეობდა (თოიძე 1991: 25). მართალია, საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ მოახერხა და ჩაახშო ეს ამბოხებები, მაგრამ ქართველებსა და ოსებს შორის დაპირისპირება ამით არ ამოწურულა.

1922 წელს საქართველოს ანექსიის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (თოფჩიშვილი 2007: 57).

1926-89 წლებში გახშირდა ოსების მთიდან გადმოსახლების შემთხვევები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ამ პერიოდში ცხინვალში ოსების რაოდენობა გაიზარდა 30-ჯერ, ხოლო ქართველების 3-ჯერ. ოსური სოფლები დაარსდა თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთების ხეობებში, ბორჯომის, ქარელის, ხაშურის და გორის რაიონებში (ჯაოშვილი 1996: 316).

1990-იან წლების დასაწყისში ადგილი ჰქონდა ქართულ-ოსურ დაპირისპირებას ეთნიკურ ნიადაგზე, რაც შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს შორის ომის შემდეგ რუსეთის ფედერაციამ მოახდინა ცხინვალის რეგიონის, ე. წ. ”სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის” ოკუპაცია.

საქართველოში მცხოვრები ოსების ძირითადი ნაწილი მართლმადიდებელიაა – 36 186 კაცი, თუმცა მცირე რაოდენობით არიან კათოლიკე (40 ადამიანი), გრიგორიანი (37 ადამიანი) და მაჰმადიანი (89 კაცი) ოსებიც (საქართველოს... 2003: 132).

ოსებში ტრადიციები და კულტურა, თქმლებები, ლეგენდები ოჯახების, მშობლების, თაობების მეშვეობით გადაეცემა. ტრადიციულ ტანსაცმელს

მხოლოდ გამოსვლებისას იცვამენ როგორც ანსაბმლის წევრები. რაიონებში, სოფლებში შემორჩენილია ძირითადი დამოკიდებულებები, როგორიცაა დიდი პატივისცემა უფროსების და ქალის მიმართ. "ეს წარმოადგენგენს ჩვენი საზოგადოების საფუძველთა საფუძველს, რაზეც დგას საერთოდ ოსის წოდება და ამაზე ვერანაირი სიმდიდრე ვერ ახდენს გავლენას" (გაგლოევი 2012).

ოსური დღესასწაულებიდან გამორჩეული მნიშვნელობისაა "ვასტერჯი" – წმინდა გიორგის დღესასწაული, რომელიც ოსებისათვის ყველაზე დიდი დღესასწაულია. აქვთ ოჯახური დღესასწაულები, რომლებსაც ოჯახურ წრეში აღნიშნავენ. ცნობილია ტრადიციული ოსური რიტუალი "ვაცამონგის" საპატიო თასი (ორსახელურიანი დიდი ზომის თასი, რომელიც განსაკუთრებული სადღეგრძელოსთვის გამოიყენება), რომელიც ტრადიციულად თაობიდან თაობას საუკუნეების განმავლობაში გადაეცემა და გამოიყენება როგორც ღვინისათვის და საერთოდ ლუდისათვის (გაგლოევი 2012).

საქართველოში მცხოვრებმა ოსებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქვეყნის განვითარებაში და ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარებაში. ესენი არიან სხვადასხვა პრემიების ლაურეატები, დამსახურებული არტისტები, განსაკუთრებით სპორტში ოლიმპიური ჩემპიონი ლერი ხაბელოვი, ვლადიმერ გუცაევი, კეტაშვილი, გურამ ცხოვრებოვი (გაგლოევი 2012).

მე-11 სკოლის ბაზაზე არსებობს ოსური საკვირაო სკოლა, სადაც მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა შეისწავლონ ოსური ენა, კულტურა, ისტორია, ფოლკლორი, კავკასიური ცეკვები და სიმღერები (რეინტეგრაციის...2010: 12).

§5. ბერძნები საქართველოში

საქართველოს ტერიტორიაზე ბერძნული მოსახლეობა XIX საუკუნის დასაწყისისათვის უკვე ცხოვრობდა. 1800 წლის აღწერის მონაცემებით ქვეყანაში 500-მდე ბერძენია დაფიქსირებული (ჯაოშვილი 1984:79). XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ერეკლე II-ის მცდელობის შედეგად ჩნდება ბერძენთა დასახლებები. ერეკლემ ანატოლიიდან, არზრუმისა,

ყარსის და ოსმალეთის სხვა მცირეაზიული პროვინციებიდან ბერძნები ახტალაში და ალავერდში სამთამადნო წარმოების განვითერების მიზნით მოიწვია (გარაყანიძე 1990: 39-40).

XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში იზრდება ბეძნების რაოდენობა თურქეთიდან ჩამოსახლებულთა ხარჯზე. საქართველოს ბერძნებში გავრცელებული ზეპირი გადმოცემით (იორდანოვი 2012) 1813 წელს ბერძენთა 120 ოჯახი დასახლდა წინწყაროში (თეთრიწყაროს რ-ნი) (გარაყანიძე 1990:52). ისტორიულად დადასტურებული ბერძნული ახალშენებიდან ყველაზე ადრინდელად ითვლება წალკის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელი ბეშთაშენი, რომელიც 1829 წელს არზრუმიდან წამოსულმა ბერძნებმა დააარსეს (გარაყანიძე 1990:53). 1829-30 წლებში ჩნდებიან ბერძნები-ურუმები, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქული ვილაიეთებიდან იყვნენ (გარაყანიძე 1990:57). 1830 წელს თრიალეთში დასახლდა 7 ათასამდე ბერძენი და მათ აქ შექმნეს 18 სოფელი (ჯაოშვილი 1996:318). 1830-იან წლებში ამ ტერიტორიაზე (წალკის ველზე) თურქეთიდან (გიუმიშხანედან) დიდი რაოდენობით გადმოსახლებული ბერძნები ჩნდებიან ბერძენთა ნაწილი ასევე სახლდება სამცხეში და ჯავახეთში. ეს უკანასკნელნი სომხურ გარემოში ასიმილირდნენ სომხებთან. სამცხე-ჯავახეთში ბერძნები მისდევდნენ ხვნა-თესვას და მესაქონლეობას (საქართველოს... 2010:186; ლომსაძე 1975:337). უკვე 1832 წლისათვის ბერძენთა რაოდენობა საქართველოში 7000 სულს აღწევდა (ჯაოშვილი 1984: 79).

ყარსის ვილაიეთიდან XIX საუკუნის 50-იან წლებში წამოსული ბერძნები სახლდებიან დმანისის ტერიტორიებზე (გარაყანიძე 1990:58). ბერძენთა კომპაქტური დასახლებები ჩნდება ქვემო ქართლში, წალკის რაიონში. საქართველოს ზღვისპირა ტერიტორიებზე ბერძნები უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდებიან, მათ შორის აჭარაში და აფხაზეთში.

XIX საუკუნის 60-იან წლებში თურქეთიდან ჩამოსახლებული ბერძნები მასიურად სახლდებიან აფხაზეთში, სოხუმის მახლობლად სოფლებში, სადაც მათი ძირითადი საქმიანობა არის თამბაქოს გაშენება (ჯაოშვილი 1996:318). ანატოლიელი ბერძნები, როგორც “სანდო ელემენტი” ჩაასახლეს აფხაზეთიდან

გასახლებული აფხაზების ნასახლარებზე და ასე შეიქმნა აფხაზეთში ბერძნული სოფლები: გეორგიევსკოე, ალექსანდროვსკოე, ოლგინსკოე, სადაც მცხოვრები ბერძნები იყვნენ კალატოზები, ქვისმთლელები, წვრილი ვაჭრები და მეთამბაქოები იყვნენ, ხოლო ამავე პერიოდში ბერძნების 200 ოჯახი დასახლდა ბორჯომის მიდამოებში, სოფ. ჩიხისჯვარსა და მიქელწმინდაში (გარაყანიძე 1990: 58-62).

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს აფხაზეთში კვლავ გაიზარდა ბერძენთა რაოდენობა, ხოლო აჭარაში ბერძენთა ჩასახლება 1881 წლიდან იწყება. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთსა და აჭარაში მცხოვრები ბერძნების უმეტესობა მეტყველებდა ბერძნულ ენაზე და არა ამ ენის პონტოურ დიალექზე და ასევე გამოირჩეოდნენ განათლების და კულტურის მაღალი დონით (გარაყანიძე 1990: 63,65,67).

საქართველოს ტერიტორიაზე ბერძნული მოსახლეობის ხვედრითი წილი XIX საუკუნის ბოლოს 2,0% იყო და 1897 წელს უკვე 38,5 ათას სულს შეადგენდა (ჯაოშვილი 1984:112). XIX საუკუნეში საქართველოში დასახლებული ბერძნების უმეტესობა სოფლის მცხოვრებლები იყვნენ, მეცხოველეები, მიწათმოქმედები და მეთამბაქოები. ქალაქში დასახლებულების დამახასიათებელი პროფესია იყო ხელოსნობა და კომერცია (გარაყანიძე 1990: 40).

XX საუკუნის საქართველოში კვლავ გრძელდებოდა ბერძნული მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა. 1926-89 წლებში მათი რაოდენობა გაიზარდა 85,6%-ით. ბერძნების 60% ქალაქებში ცხოვრობდა. ძირითადად თბილისში (22 ათასი), ბათუმში (2,7 ათასი), სოხუმში (7,3 ათასი), რუსთავში (4 ათასი), მარნეულში (2,4 ათასი). წალკის რაიონში ყველაზე მეტი ბერძენი ცხოვრობდა (27,1 ათასი) (ჯაოშვილი 1996: 318).

1989 წელს მათი რაოდენობა – 100 324 სულს შეადგენდა, თუმცა ამის შემდეგ ფიქსირდება მათი რაოდენობის მკვეთრი კლება ემიგრაციის ხარჯზე. ამჟამად საქართველოში ბერძნების რაოდენობა საგრძნობლად არის შემცირებული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1992 წელს, როდესაც

გაიხსნა საზღვრები და დაიწყო მასობრივი ემიგრაცია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების, მათ შორის იყვნენ ბერძნებიც.

ბერძნები ძირითადად საბერძნეთში, კვიპროსზე და სამხრეთ რუსეთში მიემგზავრებოდნენ სადაც მათ ნათესავები ჰყავდათ. XX საუკუნის ბოლოს საქართველოდან ბერძენთა ემიგრაცია სხვადასხვა მიზეზებით იყო განპირობებული. ეს არ იყო მხოლოდ არამხოლოდ პატრიოტული გრძნობები. "რომ გითხრათ, რომ პატრიოტული გრძნობები იყო და ამიტომ მიდიოდნენ სამშობლოში, მე მაგალითად ჩემზე დიდი პატრიოტი საბერძნეთის და ჩემი ერის არამგონია ვინმე იყოს, იმიტომ, რომ ბავშვობიდან ასე ვიზრდებოდი, ვუყურებდი, მესმოდა, მამაჩემი იყო ძალიან დიდი პატრიოტი და ჩემი ოცნება იყო საბერძნეთის ნახვა. როგორც კი გაიხსნა საზღვარი წავედი ვნახე, ძალიან დიდი ემოციები იყო და ა. შ., მაგრამ მე არ წავედი საცხოვრებლად, ხოლო ვისთვისაც არ იყო საბერძნეთი მნიშვნელოვანი, ანუ გინდა ყოფილიყო გინდა არა, ბევრი ასეთი კატეგორიის ხალხი წავიდა საბერძნეთში" (მიტიტანიდი 2012).

ემიგრაციის მიზეზებად სახელდება ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, სოციალური პრობლემები და კრიმინოგენული სიტუაცია. ბერძნების ქვეყნიდან, კონკრეტულად წალკის რაიონიდან მიგრაციას ხელი შეუწყო ასევე 90-იანი წლების ბოლოს წალკაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან მოსახლეობის ჩასახლებამ. "25 სოფელი იყო დაცარიელებული, დარჩა სახლები, მაგრამ იქ არ იყო ხალხი. წალკაში იყო 13 სომხური სოფელი, 2-3 პატარა აზერბაიჯანული სოფელი, ერთი ქართული სოფელი და ბუნებრივია ხელისუფლება ცდილობდა წალკაში სიტუაციის სტაბილიზაციას და ამის გამო ჩაასახლეს ე. წ. ეკომიგრანტები აჭარიდან და სვანეთიდან. მოკლე დროში ამ სახლებში ჩამოსახლებული იქნა 12 ათასი ადამიანი, რაიმე სახელმწიფო პროგრამის გარეშე. იქ გადასახლდნენ არამარტო პედაგოგები, ექიმები, უბრალო გლეხები, არამედ კრიმინალებიც, ბნელი წარსულის ადამიანები. ეს სახლები ცარიელი იყო მაგრამ პატრონებს ეკუთვნოდათ, იყო შემთხვევები, რომ ორას დოლარად მეზობლები შეუშვებდნენ ცარიელ სახლში ადამიანებს. 2 000 სახლი იქნა დაკავებული ე. წ. ეკო-მიგრანტების მიერ. მათგან შეიძლება 500-1000 ადამიანი მართლაც ეკომიგრანტი

იყო, მაგრამ არა ყველა, ზოგს დარჩა სახლები ძველ სამოსახლოზეც. პრინციპში ეს იყო სწორი პოლიტიკა სახელმწიფოს მხრიდან, მაგრამ მიდგომა, მეთოდები იყო არასწორი. არ იყო სახელმწიფო პროგრამა, პროცესი არ ხორციელდებოდა ცივილური მეთოდებით" (იორდანოვი 2012).

ვინაიდან საქართველოში მცხოვრებ ბერძნებს ნათესავები ყავდათ საბერძნეთში, რომლებიც ეხმარებოდნენ მატერიალურად აქ მყოფ ოჯახებს, ხშირი იყო ბერძნებზე ყაჩაღური თავდასხმები, მკვლელობები. მართალია, ამ პრობლემამ საქართველოდან ბერძნების მაშტაბურ ემიგრირებაზე დიდი გავლენა მოახდინა, მაგრამ ბერძნები არ მიიჩნევენ მას ეთნიკური ხასიათის პრობლემად. მათში გავრცელებული მოსაზრებით საქართველოში ანტიბერძნული განწყობები არასოდეს ყოფილა. ისინი თვლიან, რომ ქართველებთან ყველაზე უფრო ახლოს არიან არა მარტო როგორც მართლმადიდებლები, არამედ ხასიათის, ისტორიის, მენტალიტეტის გათვალისწინებით. კრიმინოგენული მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა 2005 წლიდან, მაგრამ წალკის რაიონში 37 ათასიდან 800 კაცია დარჩენილი. მართალია, იქ აღარ არის უსაფრთხოების მხრივ პრობლემები და სიმშვიდეა, მაგრამ მოსახლეობას პრობლემები აქვს ინფორმაციისადმი წვდომის მხრივ (იორდანოვი 2012).

2002 წლის მონაცემების მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს 15 166 ბერძენი. მათგან მესამედი – 3 792 თბილისშია. დიდი რაოდენობით ბერძენი ცხოვრობს აჭარაში (2 168 კაცი). ბერძნები ცხოვრობენ საქართველოს სხვა რეგიონებში კახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, ქვემო ქართლში (საქართველოს... 2003: 113).

საქართველოში ცნობილი ბერძნებიდან გამორჩეული ფიგურაა მსოფლიოში აღიარებული ცნობილი დირიჟორი ოდისეი დიმიტრიადი, რომელიც 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის დროს მთავარი დირიჟორი იყო. მას დიდ პატივს სცემდნენ როგორც საქართველოში და საბჭოთა კავშირში ასევე საბერძნეთში. მიუხედავად საბერძნეთის მხრიდან შემოთავაზებისა, რომ გადასულიყო იქ საცხოვრებლად მან საქართველოში ცხოვრება ამჯობინა. სპორცმენებიდან ცნობილია მოჭიდავე კახი კახიაშვილი სამგზის ოლიმპიური და

რვაგზის მსოფლიო ჩემპიონი, რომელიც დედით ბერძენია. ბათუმში და თბილისში იყვნენ ცნობილი ბერძენი ექიმები, ქირურგები (მიტიტანიდი 2012).

ბერძული ტრადიციების და ადათ-წესების შენარჩუნებაში რელიგიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოში მცხოვრები ბერძნები აღნიშნავენ იმ რელიგიურ დღესასწაულებს, რომლებიც საქართველოში არის გავრცელებული. მარიამობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაული, რომელიც დღესაც აღინიშნება საქართველოში მცხოვრებ ბერძნებში. "ახალწელსა და სხვა დღესასწაულებს ისე არ ელოდებოდა ხალხი, როგორც მარიამობის დღეს. ქობულეთში არის სოფლები დაგვა, კვირიკე, სადაც მთელი სოფელი ერთიანად გამოდიოდა და აღნიშნავდა ამ დღესასწაულს საბჭოთა პერიოდშიც კი. აუცილებლად დილამდე იყო ის დღესასწაული და გრძელდებოდა ორი დღეც კი, რასაც ერთვოდა ბერძნული სიმღერები, ცეკვები და ა. შ. ლიტურგიაც ეკლესიასთან ბერძნულად ტარდებოდა, არ იყო მოქმედი ეკლესია მაგრამ მაინც იყო სოფელში ადამიანი, რომელმაც იცოდა წესები და ა. შ." (მიტიტანიდი 2012).

საქართველოს ბერძნები ქართული დღესასწაულების გარდა აღნიშნავენ საბერძნეთის ეროვნულ დღესასწაულებს, საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღეს – 25, რელიგიურ დღესასწაულებს. ადათ-წესები ბერზნებს თითქმის იგივე აქვთ, რაც ქართველებს, რადგან ქართველებთან მრავალწლიანი თანაცხოვრების შედეგად გათავისებული აქვთ ქართული ტრადიციები (იორდანოვი 2012).

§ 6. ასურელები საქართველოში.

"ასურელი" ქართული და სომხური ტრადიციის მიხედვით ნიშნავს "სირიელს" ანუ ქრისტიან არამეელს (წერეთელი 1976ა: 155).

ასურელების საკუთარი სახელწოდებაა "ათურაი", "სურაი", "ქალდაი". ასურელები არიან სემიტური მოდგმის ხალხი, ითვლებიან არამეელების შთამომავლებად და ძირითადად ცხოვრობენ სირიაში, თურქეთში და ირანში (სე 1997: 240).

ასურელები ცნობლინი არიან სხვა სახელწოდებითაც (ნესტორიანელები, იაკობიტები, ქალდეველები რაც ძირითადად დაკავშირებულია მათ

კონფესიონალურ დაყოფასთან. ასურელები უმეტესწილად ქრისტიანები არიან. თუმცა მათ შორის არიან იუდეველი ასურელები, რომლებიც უმთავრესად ისრაელში ცხოვრობენ, ასევე ისლამის მიმდევრები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან სირიაში, ანტილიბანის მთებში მდებარე ორ სოფელში – ბახასა და ჯუბადინში (სე 1997: 240).

ტერმინების "სირიელის" და "ასურელის" ქართულში შემოსვლას კ. წერეთელი უკავშირებს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას, როდესაც დაიწყო ბერძნული და სირიული საეკლესიო და სხვა ხასიათის თხზულებების ქართულად თარგმნა და ამასთან, გასათვალისწინებელია სირიელი საეკლესიო მოღვაწეების როლი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაში (წერეთელი 1976-ბ: 177).

ასირიელების რაოდენობა საქართველოში 2002 წლის მონაცემებით შეადგენს 3 299 კაცს, რაც თითქმის ნახევარია 1989 წლის მაჩვენებლის (6 206 კაცი 1989 წელს). სახეზეა მოსახლეობის კლების დინამიკა რაც შეადგენს -53,2%-ს. ასურელთა წილი საქართველოს მთელს მოსახლეობაში კი ისევე როგორც 1989 წელს 2002 წელსაც 1,1%-ია (საქართველოს... 2003: 110).

საქართველოში ასურელთა გამოჩენის შესახებ ინფორმაცია ქართლის ცხოვრებაშია დაცული. ლეონტი მროველი ქართლის მოსახლეობაში ასურელებსაც ასახელებს (ლეონტი მროველი 1955: 16). "ამის შემდეგ მათი კვალი აღარ შეინიშნება, თუ არ ჩავთვლით "სირიელ (იგივე "ასურელ") მამათა" სხვადასხვა რეგიონში დამკვიდრებას (მღებრიშვილი 1999:153). "ასურელმა მამებმა" დიდი კულტურული როლი ითამაშეს საქართველოს ისტორიაში და სახელს უკავშირდება საქართველოში სამონასტრო ცხოვრების დამკვიდრება (კეკელიძე 1956: 19).

არსებობს ვარაუდი რომ XVIII საუკუნეში ერეკლე II-ის მეფობის პერიოდში ასურელები პირველად ჩამოსახლდნენ საქართველოში. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ასურელი კათალიკოსის მარშიმუნის და ეპისკოპოს ესაიას წერილები ერეკლე მეორისადმი (წერეთელი 1976ა: 155).

XIX საუკუნის I ნახევრიდან დაიწყო ასურელების მიგრაცია მშობლიური ადგილებიდან. დღეს ემიგრირებული ასურელები მთელ მსოფლიოში არიან

გაფანტულნი. მათი ერთი ნაწილი საქართველოშიც დამკვიდრდა. 1827 წელს თურქეთიდან, ურმიის რაიონის ორის ოფლიდან (ორმედღაჯი და თაქურდებაი) ლტოლვილი ასურელები ჯერ ერევნის გუბერნიაში ხოლო შემდეგ თბილისში დასახლებულან (მღებრიშვილი 1999: 153).

ასურელების დიდი რაოდენობით ჩამოსახლება რუსეთის იმპერიაში მოხდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში 1828 წლის თუქმანჩაის საზავო ხელშეკრულების შემდეგ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ყარაიაზის თემში დასახლება დაიწყო ცალკეულმა ასირიელმა, რომლებიც თავიდან ქირაზე მუშაობდნენ, ხოლო მოგვიანებით მეურნეობისათვის მიწებიც გადაეცათ (სონღულაშვილი 2001: 43).

ასურელების ყველაზე მრავალრიცხოვანი დასახლებაა სოფელ ქანდაში, სადაც 1867 წლიდან სახლდებიან ასირიელები, როცა ეს სოფელი მუხრან-ბატონის საკუთრება იყო და ისინი 1900 წლამდე ხიზნებად ითვლებოდნენ, ხოლო 1900 წელს მდიდარმა ასირიელმა – უსტა ალავერდიმ შეიძინა ეს სოფელი და 1917წლამდე ყველა გადასახადს ის იხდიდა (სონღულაშვილი 2001: 43).

ქადნაში თავდაპირველად 20 ოჯახი დასახლებულა, ამათგან ყველაზე ადრე სამი გვარი – ბითბალოვი, ბითჩემიანოვი და ბითელიავი. 1983 წელს ქანდაში ცხოვრობდა ასირიელთა 250 კომლი. ისინი ქანდაში დასახლებისთანავე დაეპატრონენ ახლო ეკლესიებს და ეკლესიებთან მიმდებარე სახნავ-სათეს მიწებს (მღებრიშვილი 1999: 153).

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ჩამოსული ასურელები ძირითადად ქალაქებში სახლდებიან (ჯაოშვილი 1996:320). პროცესი ასეთივე მაშტაბური იყო პირველი მსოფლიო ომის დროსაც. ასურელების კომპაქტური დასახლებები არის სომხეთში და რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარეში (არმავირის მახლობლად) (ქსე 1975: 661).

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ირანიდან საქართველოში ქრისტიანი ასურელები რუსეთის ჯარს მოყვნენ, ხოლო 1916 წელს ქვეყანაში სახლდებიან ვანის ვილაიეთიდან ანუ თურქეთიდან წამოსული ასურელი ლტოლვილები (წერეთელი 1976ა: 155).

ასურელთა ჩამოსახლების ფაქტს საქართველოში საბჭოთა პერიოდშიც ჰქონდა ადგილი. 1922 წლის ზაფხულში ბათუმის და ახალქალაქის მაზრებში თურქეთის ტერიტორიიდან შემოვიდნენ სომეხი და ასირიელი ლტოლვილები (სონღულაშვილი 2001: 43).

დღეს საქართველოში ასურელები ცხოვრობენ სოფელ ქანდაში (მცხეთის რაიონი), ვასილევკაში (გარდაბნის რაიონი), ასევე ცხოვრობენ ქალაქებში – თბილისში, ქუთაისში, სამტრედიაში, ზესტაფონში) (სე 1997: 240).

საქართველოში მცხოვრებ ასურელებში გავრცელებულია ახალი არამეული ენა, რომელზეც XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან იქმნებოდა სხვადასხვა ლიტერატურა. აქ გვხვდება ამ ენის აღმოსავლური დიალქტების მთელი ჯგუფი (ურმიული, სალამასური, ჯილუ, ვანური, ბოტანი) (წერეთელი 1976ა: 155).

მაგალითად თბილისის ერთ უბანში – ვაკეში მცხოვრები ასურელები საუბრობენ ჯილუს დიალექტზე, კუკიაზე – ვანის დიალექტზე, გარდაბანში საუბრობენ ბოტანის დიალექტზე (საქართველოს რესპუბლიკა 2006: 8).

აღსანიშნავია, რომ ვანის დიალექტი, რომელზეც მეტყველებენ ასურელების ნაწილი, რომელთა წინაპრები თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ვანის ვილაიეთიდან ჩამოსახლდნენ, ბოლო დრომდე არ იყო ცნობილი (სონღულაშვილი 2001: 43).

საქართველოში მცხოვრები არამეელების (ასურელების) დიდი ნაწილისათვის სირიული დამწერლობა ცნობილი არ არის და მშობლიურ ტექსტებს (წერილებს, ლექსებს, ზღაპრებს) როგორც წესი ქართული ასოებით გადმოსცემენ, ანუ ქართულ ანბანს იყენებენ საკუთარ ენაზე წერისას (წერეთელი 1976ა: 155).

საქართველოში მცხოვრები ასურელები (გარდაბნის რაიონის სოფელ ძველ ქანდაში მცხოვრებთა გარდა, რომლებიც ქართულად მეტყველებენ) ძირითადად ფლობენ რუსულ ენას. ქართულ ენოვანი ასურელები განათლებას ქართულ სკოლებში იღებენ, ხოლო რუსულენოვანი მოსახლეობა – რუსულ სკოლებში. ასურელები ასურულ ენას ოჯახში სწავლობენ, მაგრამ ბოლო

წლებში ეკლესიასთან არსებულ საკვირაო სკოლებშიც აქვთ ამის შესაძლებლობა (საქართველოს რესპუბლიკა 2006: 8).

საქართველოში მყოფი ასირიელები ნაწილი კათოლიკე, უმეტესი ნაწილი კი მართლმადიდებელია. 1928 წელს თბილისში ფუნქციონირებდა 4 ასირიული ეკლესია. სოფლად მცხოვრებ კათოლიკებს ყოველ რელიგიურ დღესასწაულზე, ნათლობასა და მიცვალებულთათვის წესის აგების დროს თავისი ხარჯით თბილისიდან მოყავდათ მღვდელი რელიგიური რიტურლების შესასრულებლად (სონღულაშვილი 2001: 45).

ასურელები მონაწილეობდნენ მეზობელ ქართველთა ხალხურ და რელიგიურ დღესასწაულებში. ადგილი ჰქონდა შერეულ ქორწინებებს ქართველებსა და აისორებს შორის, ასრულებდნენ ქრისტიანული რელიგიის მიხედვით დაწესებულ დღესასწაულებს და რიტუალებს (მღებრიშვილი 1999: 154). ასურული დღესასწაულები ძირითადად ქრისტიანული დღესასწაულებია, როგორიცაა აღდგომა, შობა, მარიამობა, არის მარეზი, ბანზაიას – წმინდა ზაიას დღესასწაული, მარორას დღესასწაული. სოფელ ქანდაში არის წმინდა მარეზის სახელობის ეკლესია და წელიწადსი ორჯერ იანვარში და ივლისში აღინიშნება ამ წმინდანის სახელობის დღესასწაული. გარდაბანში არის პატარა ეკლესია წმინდა აბრაამის სახელობის სადაც აღდგომიდან ასი დღის შემდეგ აღინიშნება მარორას დღესასწაული. ეროვნული დღესასწაულებიდან ასურელები 7 აგვისტოს აღნიშნავენ ასურელი წამებულის დღეს, ხოლო პირველ აპრილს აღნიშნავენ ასურელთა ახალ წელს, რომელიც სათვისტომომ აღადგინა 20 წლის წინ. წელს ასურელებმა აღნიშნეს 6762 წელი (ადამოვი 2012).

ასირიელების სხვადასხვა ჯგუფებს ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებული ტრადიციები ჰქონდათ, რისი ერთ-ერთი მიზეზიც საცხოვრებელი გარემო და სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ურთიერთობის ინტენსივობა უნდა იყოს.

ასირიელებიდან მთიულებში გავრცელებული იყო ქალის ყიდვა-გაყიდვის ტრადიცია, როცა ქალი ოქროზე იყიდებოდა და შემდეგ მთლიანად ქმარზე იყო დამოკიდებული. მთიულებისაგან განსხვავებით ეს ტრადიცია არ იყო გავრცელებული ურმიელებსა და სალამასელებს შორის. ასირიელები ქორწილში იწვევდნენ ნაცნობებსა და უცნობებს. აწყობდნენ ხალხმრავალ წვეულებებს.

თრადიციის თანახმად სტუმრები ფულს აგროვებდნენ ოჯახის სასარგებლოდ. ყოველი სტუმარი ცდილობდა მეტი თანხა გაეღო საჩუქრის სახით, რადგან დიდი თანხის გადამხდელი გამორჩეული პატივისცემით სარგებლობდა. ფულის შეგროვებას ასირიულად "საბახტა" ეწოდებოდა. შესაწირავის სახით გროვდებოდა 500-700 მანეთი, ზოგჯერ 1000 მანეთამდე. ქორწილის დროს მიღებული იყო აზარტული თამაშები, განსაკუთრებით ბანქო (სონღულაშვილი 2001: 45).

სოფლად მცხოვრები ასირიელების (მაგალითად, სოფელ ქანდაში) ძირითადი საქმიანობა სოფლის მეურნეობა, მიწათმოქმედება, მესაქონლეობა იყო, ხოლო თბილისში ისინი ძირითადად კუსტარული წარმოებით იყვნენ დაკავებულები, როგორიცაა კალათების დამზადება, ზოგიც ავეჯით ვაჭრობდა, 13-25 წლის ახალგაზრდები ფეხსაცმელების მწმენდავები იყვნენ, ქალები წინდებს ქსოვდნენ, ძაფს ართავდნენ და ა. შ. (სონღულაშვილი 2001: 44).

სოფლის მეურნეობის გარდა სოფლად მცხოვრები აისორები კარგად ფლობდნენ სახლის მშენებლობის საქმეს. ასურელებში იყვნენ კალატოზები, მლესავები, დურგლები. მათ შეეძლოთ სახლის კედლების მხატვრულად გაფორმება, რაშიც ხშირად "ვეფხისტყაოსანის" ცნობილ ილუსტრაციებს იყენებდნენ (მღებრიშვილი 1999: 54).

ასირიელების ყოფითი ურთიერთობებში მძლავრობდა პატრიარქალური გადმონაშთები. ასირიელები იყოფოდნენ გვარებად და შესაბამისად ყოველ გვარს თავისი ხელმძღვანელი (მალიქი) ჰყავდა, რომელიც თავის მხრივ ითვლებოდა ტომის ყველა წევრის ხელისუფლად. ერთ-ერთი ასეთი მალიქი იმყოფებოდა თბილისში, მაგრამ მისი ავტორიტეტი შედარებით უმნიშვნელო იყო. ამ ფაქტის მიზეზად ა. სონღულაშვილს მოჰყავს ის გარემოება, რომ თბილისელი ასირიელები ხელისუფლები დახმარების იმედზე უფრო იყვნენ, რაც თავის მხრივ მალიქის ავტორიტეტს და გავლენას აკნინებდა (სონღულაშვილი 2001: 45).

ამ შემთხვევაში იკვეთება პროცესი, სადაც იკვეთება ეთნიკური იდენტობის ფაქტორის და სამოქალაქო იდენტობის ფაქორის გადაკვეთის მომენტი, რომლის შედეგად სამოქალაქო იდენტობა (ამ შემთხვევაში სახელმწიფო ინსტიტუტების მეშვეობით) ძლიერდება ეთნიკურის დასუსტების თანადროულად, რასაც

ურბანულ დასახლებებში უფრო აქვს ადგილი ვიდრე სოფლად, რადგან ქალაქში, როგორც წესი სოფელთან შედარებით უფრო ინტენსიურია ეთნიკური ურთიერთობები.

საბჭოთა ხელისუფლება ასირიელებს ყოფდა მთიულებად, ურმიელებად და სალამასურელებად. ამასთან, ურმიელები და სალამასურელები კულტურის დონით შედარებით მაღლა იდგნენ, ვიდრე მთიელები, მათი ძირითადი საქმიანობა კი თბილისში სამშენებლო სამუშაოები იყო, რაც თავის მხრივ სეზონური ხასთს ატარებდა და მხოლოდ 5-6 თვეს გრძელდებოდა (სონღულაშვილი 2001: 44).

ასურელები ცნობილნი იყვნენ, როგორც კარგი მშენებლები. მათ ჰქონდათ საკუთარი "მშენებელთა ორგანიზაცია", სადაც ხელოსნები და ოსტატები იყვენენ გაერთიანებულნი. 1927 წელს ამ ორგანიზაციასი გაწევრიანებული იყო 269 ადამიანი. მათ შორის თბილისში – 183, ბორჯომში – 8, ახალციხეში – 4, ქუთაისში – 4, ჭიათურაში – 3, ბათუმში – 8, შიდა ქართლში – 3 (სონღულაშვილი 2001: 44).

ასურელებს აქვთ საკუთარი ენა, ტრადიციები, გადმოცემები (ზღაპრები, არაკები, ანდაზები). მათ გააჩნიათ საკუთარი პროზაული და პოეტური ნაწარმოებები. საქართველოში ცხოვროდნენ ასირიელი პოეტები, რომლებიც მშობლიურ ენაზე წერდნენ. მათ შორის არიან ფრიდონ ათურაია, დავით ილიანი და სხვ. თბილისში გამოდიოდა ასურული ჟურნალი და გაზეთი სადაც იბეჭდებოდა სხვასთან ერთად იბეჭდებოდა ქართული ლიტერატურის თარგმანებიც. ამ მხრივ აღნსანიშნავია სირიულ ენოვანი ორკვირეული ჟურნალი "მადინხა" ("აღმოსავლეთი"), რომელიც 1913-1914 წლებში იბეჭდებოდა და გაზეთი "ქორხვა დმადინხა" ("აღმოსავლეთის ვარსკვლავი") რომელიც 1926-1938 წლებში გამოდიოდა თბილისში. ამ უკანასკნელში ქართულთან ერთად გამოყენებული იყო ლათინური ანბანის საფუძველზე საბჭოთა კავშირში შექმნილი დამწერლობა, რომელმაც ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება ასურელებში (წერეთელი 1976ა: 155).

1992 წელს საქართველოში დაფუძნდა საქართველოს ასურელთა საერთაშორისო კონგრესი, რომელიც ასურულ თემს წარმოადგენს.

ქვეყანაში ფუნქციონირებენ ასურელთა კულტურული ორგანიზაციები, ასურული ცეკვის ანსამბლები (“ნინევია”, “დაიანა”), რუსულ და ქართულ ენაზე გამოდის ასურელთა გაზეთი “ავი-უთა”. 1995 წელს თბილისში დაარსდა ასურულ-ქალდეური კათოლიკური მისია, რომლის მიზანი ასურელებში სულიერი, ჰუმანიტარული და საგანმანათლებლო სფეროების განვითარებაა (კომახია 2008ბ: 181).

კონგრესთან არსებული ახალგზრდული განყოფილებაში სადაც ფუნქციონირებენ ცეკვის ანსამბლები, იმართება ახალგაზრდული საღამოები,

ასურელები აღნიშნავენ ქრისტიანული დღესასწაულებს, როგორიცაა აღდგომა, შობა, მარიამობა. არის მარეზი, ბანზაიას, წმინდა ზაიას დღესასწაული, მარორას დღესასწაული. ქანდაში არის წმინდა მარეზის ეკლესია და წელიწადში ორჯერ იანვარში და ივლისში აღინიშნება ეს დღესასწაული. 7 აგვისტოს აღინიშნება ასურელი წამებულის დღე. გარდაბანში არის მარორა, ანუ წმინდა აბრაამის ეკლესია, პატარა ეკლესია, რომელშიც აღდგომიდან ასი დღის შემდეგ აღინიშნება ეს დღესასწაული.

ასურელებს აქვთ ასევე ეროვნული დღესასწაულები. პირველ აპრილს ტარდება ღონისძიება – ასურელთა ახალი წელი, რომელიც აღადგინეს 20 წლის წინ. ყოველ წლის პირველ აპრილს ასურელები აღნიშნავენ ახალ წელს. 2012 წელს აღინიშნა 6762 წელი (ადამოვი 2012).

§7. რუსები საქართველოში

2002 წლის აღწერის მონაცემებით ქვეყანაში ამ პერიოდში დაფიქსირდა 67 671 რუსი ეროვნების საქართველოს მოქალაქე, რომელთა თითქმის ნახევარი (48.1%) ცხოვრობს თბილისში. რუსები დიდი რაოდენობით ცხოვრობენ საქართველოს სხვა ქალაქებში, მათ შორის ბათუმში – 6 300 კაცი, რუსთავში – 3563 კაცი, ქუთაისში – 2223 კაცი. ასევე მრავლად ცხოვრობენ ისინი საქართველოს რეგიონებში, მათ შორის აჭარაში – 9 073 კაცი, იმერეთში 4 924 კაცი, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში – 4 163 კაცი, კახეთში 3 844 კაცი, ქვემო ქართლში 3 563 კაცი და სხვ (საქართველოს... 2003: 113).

XIX საუკუნეში საქართველოში ჩნდება რუსეთიდან გადმოსახლებული მოსახლეობა. თავდაპირველად ესენი იყვნენ სამხედრო პირები, მოხელეები, რომლებიც ძირითადად სახლდებოდნენ ქალაქებში. ჯარისკაცები ასრულებდნენ სამხედრო სამსახურს და ხშირ შემთხვევებში რჩებოდნენ საცხოვრებლად საქართველოში, იღებდნენ მიწის ნაკვეთებს.

XIX საუკუნის II ნახევარში რუსეთის გავლენის გასაზრდელად კავკასიაში რუსების გადასახლება ხორციელდებოდა (ჯავახიშვილი 1998: 9).

რუსები დიდი რაოდენობით ჩამოასახლეს აფხაზეთში. ქ 1857 წელს 4,5 ათასი რუსი ცხოვრობდა. ჩამოსახლებულთა შორის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები იყვნენ ყოფილი ოფიცრები, ვაჭრები, გლეხები, ჟურნალისტები, ლიტერატორები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები. საქართველოში ასახლებდნენ ასევე პოლიტიკურად დევნილებსაც (ჯაოშვილი 1996: 312).

რუსების დასახლებები შეიქმნა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში დედოფლისწყაროში, თეთრიწყაროში, მანგლისში, ქვმო ქართლში და სხვ.. საქართველოში ჩამოასახლეს რუსი სექტანტებიც – დუხობორები, რომელთა შთამომავლები დღესაც ცხოვრეობენ თბილისში, ჯავახეთში და სხვ. (ჯაოშვილი 1996: 312).

1865 წლისათვის საქართველოში მცხოვრები რუსების რაოდენობა 25 900 ადამიანს აღწევს, მათი რაოდენობა თითქმის გაორმაგდა 1886 წლისათვის და შეადგინა 42,5 ათასი ადამიანი, ხოლო საუკუნის ბოლოს – 1897 წლის მონაცემებით რუსების რაოდენობა საქართველოში კიდევ გაორმაგდა და მიაღწია 101,0 ათას ადამიანს (ჯაოშვილი 1984: 112).

რუსების ჩამოსახლება საქართველოში გრძელდებოდა XX საუკუნეშიც. 1939 წლისთვის საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები რუსების რაოდენობა თითქმის 3-ჯერ გაიზარდა და მიაღწია 307 988 ადამიანს (ჯაოშვილი 1984: 139).

საქართველოში მცხოვრები რუსების უდიდესი ნაწილი, – 64 330 მოქალაქე, – მართლმადიდებელია. მცირე რაოდენობით არიან კათოლიკეები (744

კაცი), გრიგორიანელები (654 კაცი) და მაჰმადიანები (218 კაცი) (საქართველოს... 2003: 132).

ქვეყანაში ფუნქციონირებს რუსული მართლმადიდებლური ეკლესია. არსებობს რუსული კულტურისა და საგანმანათლებლო დაწესებულებები. 2005 წელს აღინიშნა ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის დარსებიდან 160 წლის იუბილე. საქართველოში მცხოვრები რუსები ქართული საოპერო ხელოვნების, მეცნიერების, სპორტის, არქიტექტურის, ტექნიკის განვითარებაში აქტიურ როლს ასრულებდნენ. ბოლო დროს შემცირდა რუსული სკოლების რაოდენობა საქართველოში, რაც რუსი მოსახლეობის შემცირებას უკავშირდება. სახელმწიფო უნივერსიტეტებში (მათ შორის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი) არის რამდენიმე რუსულ-ენოვანი ფაკულტეტი (ჯალაბაძე 2008: 204).

XIX საუკუნეში ნიკოლოზ I-ის მმართველობის დროს მოხდა საქართელოში რუსი სექტანტების ჩამოსახლება. ამ პერიოდში სამცხე-ჯავახეთში ჩნდება – დუხობორების, მალაკნების რასკოლნიკების დასახლებები. აღნიშნული ერთობები მართლმადიდებლურ ეკლესიასთან დაპირისპირებულ ჯგუფებს წარმოადგენდნენ. სახელი "დუხობორცები" – 1785 წელს ეწოდა ეკატერინოსლავის არქიეპისკოპოსის ამბროსის მიერ და მას შემდეგ ასე უწოდებენ თავის თავს (ბეჟენცევა 2007: 6).

1841 წლიდან იწყება დუხობორების ჩამოსახლება ჯავახეთში. ისინი თავფარავნის ტბის მიდამოებში სახაზინო მიწებზე დასახლდნენ ქართულ ნასოფლარებში (ლომსაძე 1975: 338).

1841 წელს ახალქალაქის მაზრაში დასახლებული სექტანტები მკაცრი კლიმატური პირობების გამო არ ფიქრობდნენ აქ დარჩენას, მაგრამ 1841 წლის 12 ოქტომბერს გარდაიცვალა მათი სულიერი ლიდერი ილარიონ კალმიკოვი და ჯავახეთშივე დაკრძალეს, რის გამოც წასვლა შეუძლებელი გახდა. დუხობორობის დამფუძნებლის საფლავი დღესაც წმინდა ადგილად ითვლება. ჯავახეთში მათ დააფუძნეს 8 სოფელი, რომელთა სახელები გადმოიტანეს

ზაპოროჟიეს დუზობორცული სოფლებიდან ბოგდანოვკა, გორელოვკა, ორლოვკა, ტამბოვკა, კალინინო, ეფრემოვკა, როდიონოვკა (ბეჟენცევა 2007: 10).

დუხობორთა მცირე ნაწილი გადავიდა სხვა რეგიონებშიც. დუხობორთა მცირერიცხოვანი ჯგუფისათვის საკუთარი ტრადიციების უკეთ დაცვა შესაძლებელი იყო კომპაქტური და იზოლირებული დასახლების პირობებში. საქართველოში დუხობორცები სწორედ ასეთ ცხოვრების სტილს ირჩევდნენ და ადაპტაციის პროცესში ტრადიციულ კულტურას ეფუძნებოდნენ. საცხოვრებლად ირჩევდნენ ისეთ ტერიტორიებს, სადაც მეურნეობის წარმოება უფრო შესაძლებელი იქნებოდა. ჯავახეთში დარჩა 4095 დუხობორცი – 495 ოჯახი, ხოლო 1000-მდე მათგანი გადავიდა ქვემო ქართლში, სადაც დღევანდელი დმანისის რაიონის ტერიგორიაზე არსებულ სოფლებში, – კიროვისი, ვაკე, განთიადი, ორუზმანი, – ცხოვრობდნენ (ბეჟენცევა 2007: 10).

რუსი დუხობორცების უმრავლესობა გარდაქმნის დროს გადასახლდა რუსეთში. დღეს ჯავახეთის ორ სოფელში – ორლოვკასა და გორელოვკაში ცხოვრობენ დუხობორცები. ორლოვკაში 20-30 ოჯახი, ხოლო გორელოვკაში 300 - მდე ადამიანია (ბეჟენცევა 2007: 17).

დუხობორცების მცირე რაოდენობა დარჩა დმანისში და სოფელ ვაკეში (50-70 ადამიანი), მაგრამ მათ შეინარჩუნეს ტრადიციები, ჩვეულებიც და სამლოცველო სახლიც. დუხობორცების საცხოვრებელი სახლები თავისებური მახასიათებლებით გამოირჩევა. პატარა სახლი ჩუქურთმიანი ხის დარაბებით ფანჯრებზე და მოხატული პარმაღით. ოთახებში რუსული ღუმელებია, სადაც დიასახლისები დიდ პურებს აცხობენ (ბეჟენცევა 2007: 17).

საქართველოში მცხოვრებ დუხობორებს აქვთ საკუთარი ტრადიციები, რელიგიური რიტუალები. რელიგიას ამ ეთნორელიგიური თემისათვის ძირითადი მაიდენტიფიცირებელი ფუნქცია აკისრია. მათი რელიგიური სიმბოლოებია პური, მარილი და დოქი წყლით, რომელიც დევს მაგიდაზე ფსალმუნის წაკითხვისას. მორწმუნე დუხობორებში ღმერთთან ზიარება მიმდინარეობს თემის უხუცესთა ხელმძღვანელობით სპეციალურ სახლებში. დუხობორცებისათვის დამახასიათებელია დიდი რადიკალიზმი. ისინი უარყოფენ ბიბლიის კანონიკურ

ტექსტებს და ხელმძღვანელობენ წმინდა თქმულებებით, ლექსების სახით, – "ცხოვრების წიგნში" გაერთიანებული ზეპირსიტყვიერი ფსალმუნებით (ბეჟენცევა 2007: 7).

§ 8. ებრაელები საქართველოში

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემებით საქართველოში ცხოვრობს 3 772 ებრაელი. განსხვავებით 1989 წლის აღწერის მონაცემებისა მათი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია (24 720 კაცი) (საქართველოს... 2003: 110), რადგან 1990-იან წლებში ებრაელთა დიდი ნაწილი საზღვარგარეთ (ისრაელში) გაემგზავრა საცხოვრებლად. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი განსახლებულია თბილისსი, ქუთაისში, გორში, ბათუმში, რუსთავში, ახალციხეში. სოფლები ებრაელებისგან ფაქტობრივად დაცლილია. ებრაელთა უმეტესობა (2977 კაცი) იუდაიზმის მიმდევარია (საქართველოს... 2003: 132). მოქმედი სინაგოგები აქვთ თბილისში, ბათუმში, გორში, ქუთაისში, ონში, ახალციხესა და სურამში. საქართველოში ებრაელები იყოფიან ორ დიდ ჯგუფად 1. ქართველი ებრაელები (სეფარადები, დაახლოებით 80%) და 2. ევროპელი ებრაელები (აშკენაზები) (დავარაშვილი... 2008: 77).

აღსანიშნავია, რომ ქართველ ებრაელები ქართულ საისტორიო წყაროებში მოიხსენიებიან ტერმინით "ჰურიანი ქართველნი", რაც ქართულ-ებრაული ურთიერთობების მაღალ ხარისხზე მიუთითებს (ძველი... 1963: 128).

ებრაელების პირველად ჩამოსახლება უკავშირდება ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებას (ძვ.წ. 586წ.), რის შემდეგ იუჰუდას სახელმწიფოდან დევნილი ებრაელების ჯგუფი მცხეთაში დამკვიდრდა. ებრაელების ჩამოსახლება შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა (ჭიჭინაძე 1990: 3).

ლეონტი მროველის ცნობით ებრაელების პირველ დასახლება საქართველოში ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დარბევის შემდეგ გაჩნდა. (ძვ. წ. VI საუკუნეში) „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და

მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქჳან ზანავი“ (ლეონტი მროველი 1955: 15–16). მოგვიანებით ძვ. წ. II საუკუნეში კვლავ შემოდიან ებრაელები საქართველოს ტერიტორიაზე (საქართველოს... 1970: 452–453).

ებრაელების ჩამოსახლების ფაქტს საქართველოში მომდევნო პერიოდშიც ჰქონდა ადგილი. ქართლის ცხოვრებაში დაცული ცნობით ახ. წ. I საუკუნეში რომის იპერატორ ვესპასიანეს მიერ იერუსალიმის დარბევის შემდეგ (ახ. წ. 70წ.) ებრაელთა ახალი ნაკადი შემოდის ქართლში (საქართველოს... 2010: 184).

უკვე IV საუკუნეში ებრაელები ცხოვრობენ მცხეთაში, ურბნისში, ბოდბეში, კოდისწყაროსა და ხობისში. ახალი ჯგუფი შემოდის VI საუკუნეში ბიზანტიიდან. XIX საუკუნის დასასწყისში თურქეთიდან არამეელი ებრაელები შემოდიან. ებრაელები გადმოსახლდნენ ირანიდან და ერაყიდან. ეროპელი ებრაელები (აშკენაზები) საქართველოში გამოჩდნენ 1804 წლიდან (დავარაშვილი... 2008: 77).

XIX საუკუნეში საქართველოში ცხოვრობდნენ ქალდეველი ებრაელები, ასევე არსებობდა სპარსეთიდან და ევროპიდან შემოსულ ებრაელთა თემები. 1886 წლის საოჯახო სიებით საქართველოში (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში) სულ 14 714 სული ებრაელი ცხოვრობდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მცხოვრებ სხვა ეთნოსებისაგან განსხვავებით ებრაელთა დედაენა ქართული იყო (საქართველოს... 2010: 184).

საქართველოში ებრაელები ვაჭრობის გარდა აქტიურად დაკავებულნი იყვნენ სოფლის მეურნეობით, რაც ფეოდალური ხანის საქართველოში ნორმალური მოვლენა იყო (ჭიჭინაძე 1990: 31).

ქართველი ებრაელები აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. 1918 წელს, დამოუკიდებელი საქართელოს პირველ ქართველ პარლამენტართა შორის იაბრამ ბუზიაშვილი და მოსე დავარაშვილიც იყვნენ (დავარაშვილი... 2008: 81).

ქართულ-ებრაული ურთიერთობები გამოირჩეოდა ქართველების სხვა ეთნოსებთან ურთიერთობებისაგან ურთიერთნდობის მაღალი ხარისხით, რასაც

განაპირობებდა ებრაელების მიერ ქართული ფასეულოების გაზიარება. ებრაელები ითვისებდნენ ქართულ ენას, "ქართულ ტანთსაცმელს გარეგან ყველა წესებს და ჩვეულებათა, ქალნი – ქალთა და კაცნი – კაცთა, საქართველოდან ებრაელები საცა კი სახლდებოდნენ, ყველგან თან მიჰქონდათ ქართული ენა, ქართველი ერის ტანთსაცმელი და თვით წერილების წერასაც კი ქართულად მოეწყვნენ" (ჭიჭინაძე 1990: 9).

მიუხედავად საქართველოში გადმოსახლებისა ებრაელებს არ დაუკარგავთ საკუთარი ენა, კულტურა, ტრადიციები და რაც მთავარია კავშირი ისტორიული სამშობლოსთან (ჭიჭინაძე 1990: 8).

ქართველი ებრაელები ასევე ზრუნავდნენ საკუთარი კულტურის შენარჩუნებასა და დაცვაზე. საქართველოში არსებლი ებრაული სინაგოგებთან არსებობდა სპეციალური სასწავლებლები სადაც ებრაულ ენას ასწავლიდნენ. რაც შეეხება საკუთარი ჯგუფისადმი კუთვნილების შეგრძნებას ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ქართველი ებრაელები საკუთარ თავს განასხვავებდნენ ევროპიდან ჩამოსახლებული ებრაელებისაგან და თვლიდნენ, რომ მხოლოდ თვითონ იყვნენ ნამდვილი ებრაელები (ჭიჭინაძე 1990: 39).

90-იან წლებში საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო სხვადასხვა ებრაულმა ორგანიზაციამ, მათ შორის "ჯოინთი" – ამერიკის ებრაელთა გაერთიანებული გამავრცელებელი კომიტეტი, რომელიც 1992 წლიდან საქართველოში სხვადასხვა პროგრამებს (სოციალურ, კულტურულ-საგანმანათლებლო) ახორციელებს, "სოხნუთი", რომელიც ებრაელების ისრაელის სახელმწიფოსთან მჭიდრო ურთიერთობას უწყობს ხელს. საქართველოში ივრითი ისწავლება სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მათ შორისაა ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1944 წლიდან), ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტი, ღია ებრაულ უნივერსიტეტი, ებარულ კულტურულ-საგანმანათლებლო ფოდი, საშუალო და საკვირაო სკოლები (დავარაშვილი... 2008: 87).

საქართველოში 1987 წლიდან ფუნქციონირებს ებრაელთა კულტურის ცენტრი, 1992 წელს აღდგა ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

(რომელიც რესტავრაციას საჭიროებს), 1993 წლიდან გამოდის ქართულენოვანი ებრაული გაზეთი “მენორა”, ფუნქციონირებს ებრაელ ქალთა ასოციაცია “მირიამი” (დავარაშვილი... 2008: 88).

§ 9. გერმანელები საქართველოში

2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით საქართველოში გერმანელების რაოდენობა 651 კაცს შეადგენს რაც სამჯერ ნაკლებია 1989 წლის იმავე მაჩვენებელზე (1 546 კაცი) (საქართველოს... 2003: 110).

XVIII საუკუნიდან რუსეთის იმპერიაში ხდებოდა ევროპელი კოლონისტების ჩამოსახლება ახლადდაპრყრობილი ტერიტორიების ასათვისებლად. XIX საუკუნის დასაწყისში – 1804 წელს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა გამოსცა მანიფესტი რომლის თანახმად კოლონისტები უნდა აკმაყოფილებდნენ მკაცრ მოთხოვნებს მათ უნდა სცოდნოდათ მევენახეობა, მეაბრეშუმეობა ან რამე ხელობა, უნდა ჰქონოდათ გარკვეული საკუთრება და ჰყოლოდათ ოჯახები (აუგსტი 2011: 4).

გერმანელების საქართველოში ჩამოსახლება უკავშირდება 1817 წელს, ვენის კონგრესიდან მომავალი რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის შეხვედრის ფაქტი ერთ-ერთი გერმანული რელიგიური ჯგუფის (სკეპტიკოსების) წარმომადგენლებთან, რომელიც შტუტგარტში შედგა და რომლის შედეგად გერმანელების თხოვნის საფუძველზე იმპერატორმა გადაწყვიტა საქართველოში მათი ჩასახლება (ჯანიაშვილი 2008: 12).

საქართველოში გერმანელების ჩამოსახლებას ორგანიზებას უწევდა გენერალი ერმოლოვი. მისი თაოსნობით 1819 წელს აღმოსავლეთ საქართველოში დაარსდა გერმანელთა 6 კოლონია

1. მარიენფელდი – სართიჭალაში:
2. ნოი ტიფლისი კულიაზე, იმ დროს ქალაქის გარეუბანში:
3. ალექსანდერდორფი – მტკვრის მარცხენა ნაპირას, დიდუბეში:
4. პედტერსდორფი – სართიჭალის მახლობლად:
5. ელიზაბეტტალი – დღევანდელი ასურეთი:

6. კატარინენფილდი – დღევანდელი ბოლნისი:

გერმანელთა ჩამოსახლება გაგრძელდა XIX საუკუნის შუა ხანებშიც. 1842 წელს 20 ოჯახი ჩამოვიდა გერმანიიდან და რუსეთიდან. დასახლდნენ აბასთუმნის მახლობლად სადაც დააარსეს კოლონია ფროიდენტალი. ხელისუფლებამ საქართველოში კოლონისტების ყოველ ოჯახს 35 დესიატინა (ჰექტარი) მიწა გამოუყო (აუგსტი 2011: 4-6).

გერმანელები თავდაპირველად მიწურებში ცხოვრობდნენ და მერე ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით ააშენეს ქვის სახლები, ორ-სამ სართულიანი სახლები თავის აივნებით და ა. შ... არქიტექტურა თავისებური, ძალიან საინტერესო სტილის იყო, ეს იყო სამხრეთგერმანული და ქართული-კავკასიური არქიტექტურის შერწყმა (აუგსტი 2012).

1872 წელს აბასთუმანში ჩაასახლეს 10 გერმანული ოჯახი, მაგრამ 6 წლის შემდეგ ისინი ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ სართიჭალაში გადასახლდნენ (ლომსაძე 1975: 340).

გერმანელები აწარმოებდნენ ძეხვეულს, შვეიცარიულ ყველს, ლუდს, მისდევდნენ მევენახეობას და მეცხოველეობას.

“გერმანელებმა მევენახეობაში საკმაოდ დიდი როლი ითამაშეს, საქართველოში მეღვინეობა ყოველთვის იყო, მაგრამ გერმანელებმა ჩამოიტანეს ევროპული ტექნოლოგიები, რითაც უფრო გამდიდრდა ქართული მევენახეობა. გერმანელებს კარგი ვენახები ჰქონდათ ასურეთში, კატარინენფელდში (დღევანდელი ბოლნისი)” (აუგსტი 2012).

1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით საქართელოში სულ 5836 გერმანელი ცხოვრობდა (საქართველოს... 2010: 186) (ჯაოშვილი 1984: 112).

საქართველოში მცხოვრები გერმანელებისათვის მძიმე იყო II მსოფლიო ომის პერიოდი. 1941 წლის 8 ოქტომბრის დადგენილებით საქართველოდან ყაზახეთში უნდა გადაესახლებინათ 23 580 გერმანელი, აზერბაიჯანიდან 22 741 და სომხეთიდან 212 ადამიანი. ადასახლეას გადაურჩნენ მხოლოდ გერმანელი

ქალები რომლებიც იყვნენ დაქორწინებულნი სხვა ეროვნების მამაკაცებთან (აუგუსტი 2011: 46).

XX საუკუნის 50-იან წლებში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სსრკ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა. "1955 წელს გერმანიის კანცლერი, კონრად ადენაუერი ჩავიდა მოსკოვში, დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის, რასაც მოყვა დრეზდენის გალერეის ნამუშევრების დაბრუნება გერმანიისათვის, ასევე დააბრუნეს გერმანელი ფიზიკოსები, რომლებიც სოხუმში ფაქტობრივად ტყვეობაში იმყოფებოდნენ და რომელთა გაკეთებულიც იყო ატომური ბომბის დიდი ნაწილი. ამ დროს მოხდა რეჟიმის შედარებით შესუსტება. 1955 წელს შედარებით შეუმსუბუქეს მდგომარეობა, მოხსნეს სპეცკომენდატურიდან, ანუ არ იყო ვალდებული, რომ ყოველკვირას მისულიყო და აღიცხვაზე აეყვანათ, მაგრამ მათ დაბრუნების უფლება მაინც არ მისცეს 1972 წლამდე. დაბრუნების ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ის, რომ გერმანელები ითხოვდნენ ვოლგისპირეთში გაუქმებული ავტონომიის აღდგენას" (აუგსტი 2012).

საქართველოში გერმანელები აღნიშნავენ რელიგიური დღესასწაულები შობა და აღდგომა. აღინიშნევა 3 ოქტომბერი – გერმანიის გაერთიანების დღე (აუგუსტი 2012).

§ 10. ქურთი-ეზიდები საქართველოში

საქართველოში 1989 წელს ჩატარებული აღწერისას ქურთი და იეზიდი ეროვნების ადამიანები გააერთიანეს, ხოლო 2002 წლის აღერაში ეს ეთნოსები ცალ-ცალკე არიან აღრიცხულნი.

2002 წლის აღწერის მონაცემებით საქართველოში ცხოვრობს 2 514 ქურთი ეროვნების ადამიანი. ქურთები ძირითადად თბილისში ცხოვრობენ. (საქართველოს... 2002: 110)

იეზიდების რაოდენობა აღწერის მონაცემების მიხედვით შეადგენს 18 329 ადამიანს. აქედან უმეტესობა – 17 116 კაცი (93.4%), ცხოვრობს თბილისში.

იეზიდების შედარებით დიდი რაოდენობა ცხოვრობს ასევე კახეთში, 495 კაცი, ქვემო ქართლში – 463 კაცი და სხვა დასახლებული პუნქტებში (საქართველოს... 2003: 115).

ამიერკავკასიაში ქურთული ტომების დასახლება უკავშირდება XIX საუკუნეში გამართულ რუსეთ-ოსმალეთის ომებს. ქურთები მცირე ჯგუფებად შემოდიან 1804-1813 და 1826-1828 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომების პერიოდში, თუმცა მათი მასობრივი გადმოსახლება ხდება XIX საუკუნის მეორე ნახევარში ყირიმის ომის (1853-1856 წწ.) და 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ (ფირბარი 2008: 19).

ამიერკავკასიაში ქურთების ძირითადი განსახლების არეალი მოიცავდა ერევნის გუბერნიას, ყარსის ოლქს, მთიან ყარაბაღს და საქართველოს რეგიონებს (ფირბარი 2008: 21).

1886 წელს თბილისში მხოლოდ 2 ქურთი დაფიქსირდა, ხოლო ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში სულ 1388 ქურთი მოსახლე გამოვლინდა (საქართველოს... 2010: 186).

საქართველოში ქურთების ჩამოსახლებას პირველი მსოფლიო ომის დროსაც (1914-1918წწ) ჰქონდა ადგილი. ომის შემდეგ 1918 წელს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ მიიღო იეზიედები, რომლებიც თურქეთის მთავრობის და მუსულმანი ქურთები დევნას გამოექცნენ საქართველოში.

თავად ქურთი-იეზიდების ცნობით ყველაზე მასობრივი გადმოსახლება დაფიქსირებულია XX საუკუნის 10-იან წლებში. ეზიდების ნაწილი არის წარმოშობით თურქეთის ვანის, მუშის, ყარსის რაიონებიდან, ძირითადად ეს მაღალმთიანი რაიონებია. მათი გადმოსახლების ძირითადი მიზეზი იყო რელიგიური ნიშნით დევნა და ეს აგრესია გამოიხატებოდა იმაში, რომ მათ აიძულებდნენ სარწმუნოების შეცვლას, ისლამის მიღებას, რის გამოც მათ გადაწყვიტეს დაეტოვებინათ ის ტერიტორიები, რომლებზეც მრავალი წელია ცხოვრობდნენ, სადაც მანამდე ისინი გადავიდნენ ერაყის სხვადასხვა რეგიონიდან. საბოლოო ჯამში ჩამოსახლდნენ ჯერ სომხეთში და იმის შემდგომ უკვე ნაწილი საქართველოში. სომხეთში დარჩა დაახლოებით 70% საერთო გადმოსახლებულების, ეს იყო არაერთი წლის პროცესი. სომხეთში გაცილებით

მკაცრი კლიმატი არის ვიდრე საქართველოში. შემდგომ გადმოსახლდნენ საქართველოში (მირზოევი 2012).

კახეთში მცხოვრები ქურთი-იეზიდები ძირითადად თავმოყრილნი არიან თელავში, წნორში, სიღნაღში: სამეგრელოში ცხოვროებენ ზუგდიდში. 20 ოჯახია მცხეთა-მთიანეთის რაიონში. თბილისში ქურთი-იეზიდები ცხოვრობენ გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ისან-სამგორში, კუკიას დასახლებაში, ე. წ. ლოტკინის გორაზე არის დასახლება "შანთახი". ძირითადად ამ რაიონებში ცხოვრობენ იეზიდები დღემდე (მირზოევი 2012).

საქართველოში მცხოვრებ ქურთ-იეზიდებში კარგად არის შენარჩუნებული ტრადიციები და კულტურა. ძირითადი მახასიათებელი აღნიშნული თემის არის ის იერარქიული, კასტური სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს თემის წევრთა ფუნქციებს და მოვალეობებს.

ამ სტრუქტურის მიხედვით უმაღლეს იერარქიულ საფეხურზე იმყოფება მირი, შემდგომ საფეხურზე ეზიდები დაყოფილნი არიან სამ ძირითად კასტად

1. მრიდი, იგივე მიურიდი, რომელშიც მოიაზრება მრევლი:
2. შეიხების კასტა:
3. ფირების კასტა:

შეიხების და ფირების კასტა იეზიდური ტრადიციის მიხედვით არის სასულიერო ხელმძღვანელების ოჯახები, რომლებთანად მრიდები, ანუ მათი მრევლი შესაბამისი კომუნიკაციების მეშვეობით არიან დაკავშირებულნი. აკრძალულია ქორწინებები კასტებს შიგნით და ასევე კასტებს შორის, რადგან აკრძალულია იერარქიებს შორის ნათესაური კავშირები (მირზოევი 2012).

ქურთებისათვის დამახასიათებელია კომპაქტური დასახლება, რაც წარმოადგენს ერთგვარ დამცავ მექანიზმს საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის. "უმთავრესი გამოწვევა არის კულტურის, რელიგიის, ყოფის შენარჩუნების საკითხი და ზუსტად კომპაქტური დასახლება იყო ერთ-ერთი დამცავი მექანიზმი, რათა ჩვენ შეგვენარჩუნებინა საკუთარი ფასეულობები, ვინაიდან დისპერსულად მოგეხსენებათ საკმაოდ რთულია კონსოლიდაცია გარკვეული ფასეულობების ირგვლივ და ამიტომაც ჩვენი წინაპრები მაინც იმის

მომხრენი იყვნენ ყოველთვის კომპაქტური დასახლებები ყოფილიყო" (მირზოევი 2012).

"ჩვენი წესი, ადათი, რელიგიური დღესასწაულები იმგვარად არის წარმოდგენილი, მათი სტრუქტურა და მნიშვნელობა არის ზუსტად ერთმანეთთან მისვლა, კომუნიკაცია. რეალურად ჩვენს რელიგიას, სარწმუნოებას და მთლიანად ამ კულტურას არ გააჩნია დამწერლობა, ანუ ის რელიგიური პოსტულატები, რელიგიური ყოფის, თუ რომელიმე სხვა საკითხი განპირობებულია ზეპირმეტყველების მეშვეობით, ამიტომ ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ მათ ჰქონოდათ კავშირი თავის სასულიერო ძმებთან, მიმოსვლა და ეს ზეპირი გადაცემის საშუალებით შეენარჩუნებინათ მათ ეს კომუნიკაცია" (მირზოევი 2012).

არის ოთხი დღესასწაული, რომელსაც ქურთი-იეზიდები მკაცრად იცავენ. ერთია საგაზაფხულო დღესასწაული, რომელიც აღიქმება, როგორც ახალი წლის დადგომა, მაგრამ დაკავშირებულია ბუნების გაღვიძებასთან,. მეორე ცნობილია როგორც აღდგომის დღე, თუმცა არანაირ კავშირში არ არის მართლმადიდებლურ აღდგომასთან, ამ დროს თემი პატივს მიაგებს მიცვალებულებს. მესამე მნიშვნელოვანი დღესასწაულია ხდრლაილას და ხდრნაბის დღესასწაული, ეს არის ანგელოზი მფარველის დღესასწაული, რომელსაც მართლმადიდებლობაში მოიხსენიებენ, როგორც წმინდა გიორგის, მაგრამ თემში განსხვავებული ინტერპრეტაცია აქვს. ეს ანგელოზები - ხდრლაილა და ხდრნაბი არიან ახალგაზრდების, ანუ სიყვარულის მფარველები და ამავდროულად მოსავლის, ნაყოფიერების ანგელოზები.

მეოთხე დღესასწაული არის იეზიდის დღესასწაული, რომელსაც დეკემბერში აღვნიშნავენ. იეზიდებს სჯერათ, რომ ათასერთი სახელი აქვს ღმერთს და ეზიდი არის მისი ერთ-ერთი სახელი, რომელიც თავად თემმა, ანუ ერმა, ჯგუფმა თვითსახელად აირჩია, რათა შეინარჩუნოს კავშირი იეზიდთან ლალეშთან, მათ უზენაეს სალოცავთან და მის ადმინისტრაციასთან კავშირის მეშვეობით, ხდება სხვადასხვა იეზიდური ტრადიციების აღდგენა. საქართველოს იეზიებმა აღადგინეს ზოგოერთი დღესასწაული, რომელიც საქართველოში

მცხოვრებ იეზიდებს დავიწყებული ქონდათ.. ბოლო სამი წელია რაც რამოდენიმე მათგანს აღნიშნავენ (მირზოევი 2012).

საქართველოში არსებობს ეზიდთა სახლი, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ იეზიდურ ორგანიზაციებთან ინარჩუნებს კავშირს.

§ 11. ქართველები

საქართველოში ინტეგრაციული პროცესების შესწავლისათვის აუცილებელია ქართული ეთნოსის ეთნიკური იდენტობის ძირითადი მარკერების განხილვა, ვინაიდან ეთნიკური უმცირესობების ინტეგრირება ქართული სახელმწიფოში დიდწილად დამოკიდებულია თავად ქართული ეთნოსის პოზიციაზე ამ საკითხის მიმართ.

საქართველოს ძირითად მოსახლეობას შეადგენენ ქართველები. 2002 წელს საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით საქართველოში ქართველების რაოდენობა შეადგენს 3 661 173 ადამიანს, რაც არის მთელი მოსახლეობის (4 371 535 ადამიანი) 83.8% (საქართველოს... 2003: 110). ეს მაჩვენებელი საგრძნობლად შეცვლილია 1989 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით, როდესაც ქვეყანაში დაფიქსირდა 5443,3 ათასი მცხოვრები სადაც ქართველების ხვედრითი წილი არის მხოლოდ 70.1% (საქართველოს... 2003: 41).

ქართველები ითვლებიან საქართველოს ავტოქთონურ მოსახლეობად, რასაც ადასტურებს ქვეყნის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, რომლის საფუძველზე "შეინიშნება უძველესი დროიდან უწყვეტი განვითარების ადგილობრივი კულტურა" (თოფჩიშვილი 2008: 28).

ქართველთა ეთნოგენეზი სამხრეთ კავკასიის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილში და მის მიმდებარე სამხრეთ ტერიტორიაზე განხორციელდა (თოფჩიშვილი 2008: 45).

ქართველების დახასიათებისას XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს “ზნენი აქუნდათ პირმტკიცეობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვჳს მჳნედ ბრძოლა, მაგრად დოგმა მისთჳს, ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრება ქუეყანისა, ერთისა ცოლისა ქმრობა, რამეთუ მოიყვანიან თჳს-თჳსთა თანასწორთა მთავარნი მთავართა, აზნაურნი აზნაურთა და უმცირესნი უმცირესთა: და ამის მიერ არა იყო მრავალცოლობა, ვითარცა ვიხილავთ ქართლოსისასა და სხუათაცა. არამედ, გარნა თუ მრავალ მთავარ იყვნენ და ოდესმე განდგიან თჳს-თჳსად, გარნა მარადის გარე მტერთა თჳსთა ზედა ერთობდნენ და მორჩილებდნენ მცხეთელ მამასახლისსა და, შეერთბამებულნი, თჳსთა ქუეყანისათჳს მჳნედ იბრძოდიან. და იყვნენ მრავალთა წელთა წესთა ამათ ზედა” (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 15).

სხვაგან ვახუშტი ბატონიშვილი წერს: “ხოლო კაცნი ამის ქუეყანისანი არიან სარწმუნოებით ქრისტიანენი, რომელთა მიიღეს ჰრომით ჟამსა დიდის კონსტანტინესასა და სილიბისტროსსა წესნი და რიგნი ძუელნი ბერძენთა ბასილის კაბადუკიელისათა და შვიდის კრებისა უპყრავთ მტკიცედ, არამედ მძლავრებით უკეთუ ვინმე მიიქცის, ოდეს იცის ჟამი კუალად ეგების ქრისტეანედ შემნანე. ხოლო ანაგებით არიან კაცნი და ქალნი სუენიერნი, ჰაეროვანნი, შავ თუალიწარბ-თმოსანნი, თეთრყირმიზნი, იშჳთ თუალჭრელ და გრემანი, და მწითურ ანუ თეთრ. ქალთა თმა გარდაშუებული და დაწნული. ხოლო კაცთა ყურთა ზედა მოკუეცილნი: წერ/წეტნი, უმეტეს ქალნი იშჳთ სქელნი, მჳნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მჳედრობათა შინა კადნიერნი, მკჳრცხლნი, მსწრაფლნი... სალაშკროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყუარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მეძიებელნი ესრეთ, რამეთუ თჳსთა სახელთათჳს არა რიდებენ ქუეყანასა და მეფესა თჳსსა, სტუმართა და უცხოთ მოყუარენი: მხიარულნი, უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან, არარაჲ შეიჭირვიან: უხუნი, არცა თჳსსა და არცა სხჳსას კრძალვენ: საუნჯეთა არა მმესველნი, გონიერთნი, მსწრაფლ-მიმჳდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყუარენი. არამედ არს ჟამი რაოდენიმე, არდარა ისახელების ცოდნა, თჳნიერ წიგნის კითხვისა და წერისა,

გალობა-სიმღერისა და სამჴედროსაგან კიდე, და ჰგონებენ დიდ-მცოდინარობად. ურთიერთის მომყოლნი, სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მდევარნი, კეთილ-ბოროტ-ზედ ადრე მიმდრეკნი, თავჴედნი, დიდების მოყუარენნი, თუალმგებნი და მოთაკილენი" (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 44-45).

ტექსტში არამარტო ქართველთა ქცევა, წესები, ხასიათია მოცემული არამედ ანთროპოლოგიური სურათიც. ქრისტიანობა, რასობრივი და გარეგნული იერი, მებრძოლი ბუნება, ხასიათი, ტრადიციები, ერთმანეთის გატანა, არამომხვეჭელობა, განვითარებისაკენ სწრაფვა, თავმოყვარეობა, სითამამე, თავმდაბლობა ("მოთაკილენი").

ტექსტიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ქართველებისათვის, დამახასიათებელი იყო მონოგამია, სტუმართმოყვარეობა, უცხოთა პატივისცემა, საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანება, თავისუფლების დაცვა და მისთვის ბრძოლა, რაც თავის მხრივ ეთნიკური ერთობის და მოწინააღმდეგესთან მიმართებაში საკუთარი განსხვავებულობის შეგრძნებაზე მიუთითებს.

საუბრობს რა ქართულ ეროვნულ ფასეულობებზე იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს: "ჩვენში პატრიოტობა სხვა თვისებებისა, სხვაგვარის ხასიათისაა: იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას მამულის სიყვარულისას. ამ გრძნობაში თავის-თავის მეტი არა ურევია-რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ იპოვება. ჩვენს პატრიოტებს სურთ აღდგენა და დაცვა ჩვენის უფლებებისა, ეროვნებისა, თვითმმართველობისა, ლიტერატურისა, კულტურისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა. ჩვენი მამულიშვილები ნატრულობენ ჩვენის ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორი გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზედ არ არის გავლებული" (გოგებაშვილი 1990:192).

შემწყნარებლობა, ტოლერანტული დამოკიდებულება სხვა ეთნოსების და რელიგიის მიმდევართა მიმართ შეიძლება ჩაითვალოს ქართველების ხახიათის ერთ-ერთ გამოვლინებად (ლორთქიფანიძე 2006: 119).

1801 წელს რუსეთის იმპერიამ მოახდინა საქართველოს ანექსია. შეიცვალა ქვეყნის მართვის სისტემა. სამეფო ხელისუფლება გაუქმდა და ქვეყანა დაიყო თბილისის და ქუთაისის გუბერიებად. შემოიღეს რუსული კანონები.

ქვეყნის ისტორიაში დადგა ახალი ეტაპი რაც აისახა ქართველთა ეთნიკურ იდენტობაზეც. რუსეთის ხელისუფლება საქართველოში ცდილობდა ქართველი ხალხის ეთნიკურად და სულიერად გათიშვას. შემოიღეს რუსული კანონები, როგორც სასამართლო სისტემაში ასევე მმართველობის სისტემაში.შეიცვალა ქვეყნის მართვის სისტემაც. სამეფო ხელისუფლება გაუქმდა და ქვეყანა დაიყო თბილისის და ქუთაისის გუბერიებად, ოფიციალურად აღარსად იხსენიებოდა ქვეყნის სახელი "საქართველო". 1811 წელს გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და აიკრძალა ქართული წირვა-ლოცვა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ნაწილი გახდა. სკოლებიდან განიდევნა ქართული ენა, ქართველი მაჰმადიანები ცხადდებოდნენ არაქართველებად (თოფჩიშვილი 2008: 83).

შექმნილ სიტუაციაში გარკვეული ცვლილებები შეინიშნება ქართული ეთნიკური მახასიათებლების სტრუქტურაში. მართალია, ქრისტიანულ რელიგიისადმი ერთგულებას, რომელშიც ქართულენოვანი, დამოუკიდებელი ეკლესიის აღდგენაც იგულისხმება, კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართველთა ეთნიკური იდენტიფიკაციისას, მაგრამ წინა პლანზე წამოიწია ენის და სახელმწიფოებრიობის აღდგენის ფაქტორებმა. XIX საუკუნის დასაწყისში ქართული საზოგადოება ეროვნული ინტერესების დაცვას შეიარაღებული ამბოხებების გზით ცდილობდა. მიუხედავად წარუმატებელი გამოსვლებისა (1804 წლის მთიულეთის აჯანყება, 1810 წლის იმერეთის აჯანყება, 1812 წლის კახეთის აჯანყება, 1819-20 წლების აჯანყება იმერეთში, გურია-სამეგრელოსა და რაჭაში), ამ მცდელობების კულმინაცია იყო 1832 წლის შეთქმულება, რომელშიც ფაქტიურად ქართული საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი მონაწილეობდა. შეთქმულების მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განთავისუფლება რუსეთის ბატონობისგან და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. როგორც ცნობილია ყველა ეს მცდელობა მარცხით დასრულდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული საზოგადოება ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების განსხვავებულ გზას დაადგა. ამ პერიოდის ქართულმა ინტელიგენციამ დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის კონსოლიდაციის პროცესში. ამ პროცესში განსაკუთრებული როლს ასრულებდნენ ქართველი მწერლები, პოეტები, ისტორიკოსები და საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, გრიგოლ ორბელიანი, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, მიხაკო წერეთელი და სხვ. მათი მეშვეობით მოსახლეობაში ვრცელდებოდა ის ძირითადი მახასიათებლები, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებდა არსებული რეალობიდან გამომდინარე. ქართველი საზოგადო მოღვაწეები ქმნიდნენ მახასიათებელთა სტრუქტურას, რომელიც რუსეთის იმპერიის პერიოდში იძლეოდა შესაძლებლობას ქართველთა კონსოლიდაციისათვის.

იაკობ გოგებაშვილი აცნობიერებდა ინტელიგენციის როლს ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების საქმეში და თვლიდა, რომ მამულიშვილობა ადამიანს გენეტიკურად არ დაყვება. "საუბედუროდ ბუნება პატრიოტობაზედ სრულიად არა ზრუნავს. იგი ჰბადებს ქვეყანაზე არა საზოგადოებას არამედ ინდივიდიუმს, ცალკე პირს და არსებობის დაცვისათვის მას ანიჭებს ეგოიზმის, თავისთავის მოყვარეობასა. ხალხი, ერი, კაცობრიობა ბუნებისათვის არ არსებობს და საზოგადოებრივს გრძნობასაც იგი ვერ დაანათლებს ადამიანსა. ატრიოტობა საზოგადოებამ და ცალკე პირმა უნდა დანერგონ, აღზარდონ და დააყენონ ჯეროვან სიმაღლეზედ" (გოგებაშვილი 1990: 189).

ქართველი მწერლები და პოეტები სხვადასხვა ნაწარმოებების მეშვეობით ამკვიდრებენ ქართველი ერის ცნებას. ასე მაგალითად გრიგოლ ორბელიანის ლექსი "სადღეგრძელო" სადაც წერია "შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა... ", "სხვა საქართველო სად არის, ერომელი კუთხე ქვეყნისა, ერი – გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა...", ასეთივე აზრია ლექსში "თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში" "შენი ივერი, აღდგეს ძლიერი, და დადგეს ერად სხვა ერთა შორის" (პატარიძე 1999: 30).

განსხვავებით XIX საუკუნემდე არსებული მდგომარეობისა, როცა “ჩვენ” ჯგუფად იდენტიფიცირება უმთავრესად რელიგიური კუთვნილების საფუძველზე ხდებოდა რუსეთის იმპერიის პერიოდში, რომელიც თავის მხრივ მართლმადიდებლური სახელმწიფო იყო ქართულ იდენტიფიკაციურ მახასიათებლებში წამყვანი ადგილი დაიკავა ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა ქართული ენა, ეთნიკური კუთვნილება, საერთო ისტორია, საერთო ტერიტორია, რომელთა საფუძველზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები ითხოვდნენ საქართველოსათვის ავტონომიური თვითმმართველობის მინიჭებას იმპერიის ფარგლებში. ყოველივე ამას თავისი მიზეზები ჰქონდა.

1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, როდესაც თურქებმა რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ დათმეს უძველესი ქართული მიწები, სამცხე-საათაბაგოს ისტორიული ტერიტორია და აჭარა, სადაც ცხოვრობდა ძირითადად მუსულმანი ქართველობა. მუსულმან და და ქრისტიან ქართველებს საუკუნეების განმავლობაში განსხვავებულ ისტორიულ-პოლიტიკურ გარემოში მოუწიათ ცხოვრება, მაგრამ მათში დაცული იყო ქართული ეთნიკური მახასიათებლები, როგორიცაა ენა, ტრადიციები, მითი საერთო წარმოშობის შესახებ, ისტორიული ტერიტორია.

მათი ერთიან ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის აუცილებელი იყო იმ ძირითადი ფაქტორების გამოყოფა, რაც კვლავ აერთიანებდათ მუსულმან და ქრისტიან ქართველებს. ბუნებრივია რელიგიაზე აქცენტის გაკეთება, შეაფერხებდა განსხვავებული რელიგიის ქართველთა ინტეგრაციას ერთიან საზოგადოებად, ამიტომ ლოგიკურია, რომ ქართველი საზოგადო მოღვაწეების მხრიდან აქცენტი კეთდებოდა მხოლოდ ისეთ საერთო მახასიათებლებზე, როგორიც არის – ენა, ეთნიკური სახელწოდება, ტერიტორია, საერთო წარმოშობა, ისტორია...

აკაკი წერეთელი წერს: ”დღეს სულ სხვა თვალით უყურებენ ეროვნებას შეიძლება მკვიდრი მაჰმადის სარწმუნოებისა იყოს, ან რომის თაყვანისმცემელი, ან გრიგორიანი, ან სხვა რომელიმე სჯულისა, მაგრამ მაინც ქართველი იყოს...

სამშობლო მიწა-წყალი, ენა, ისტორია, და ერთნაირი თავ-გადასავალი და არა სარწმუნოება ჰქმნის ერსა...” (წერეთელი 1961: 395).

მუსულმანი ქართველების შესახებ ილია წერს “არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს, და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს...” (ჭავჭავაძე 2004: 29).

ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლაში ქართული ინტელიგენცია მთავარ მიზნად საზოგადოებაში განათლების დონის ამაღლებას ირჩევს. აკაკი წერეთელი წერდა “დღეს სწავლა-მეცნიერებაზეა ყველაფერი დამოკიდებული. მკლავის ძალა გრძნობა – გონების ძლიერებით შეიცვალა, ფარხმალის ადგილი ენამ დაიჭირა და მშვილდისრისა – საწერკალამმა” (ქართული... 1985: 478). ილია ჭავჭავაძის აზრით სკოლა უნდა ყოფილიყო “ქართველის სულისა და გულის ამამაღლებელი, გონების გამხსნელი” (ჭავჭავაძე 1955: 116-117)

ქართული ენაზე განათლების მიღება იყო მთავარი მიზანი ქართველი საერო და სასულიერო მოღვაწეების, რომლებიც ასევე პრინციპულად მოითხოვდნენ, რომ საქართველოს ეკლესია-მონასტრებში ქართულ ენაზე განხორციელებულიყო ღვთისმსახურება (ხუციშვილი 1987: 39).

ქართული ენა სამოციანელებისათვის იყო “ნაციონალური ენა, რომლის უფლებრივი დაცვა მოასწავებდა ეროვნული დაწესებულებების შექმნას თვითმმართველობის ფარგლებში, ხოლო თვითმმართველობა საზოგადოებრივი აზრის მაშინდელ მეუფეთა-თერგდალეულების შეხედულებით, იქნებოდა ერთადერთი გამართლებული გზა ეროვნული პოლიტიკური თავისუფლების მისაღწევად. ეროვნული მოძრაობის სარბიელი იყო ქართული პრესა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ქართული თეატრი” (კიკვიძე 1976: 421).

სამოციანელები განსაკუთრებულ დიდ ყურადღებას უთმობდნენ ასევე ქართული ხელოვნების განვითარებას. ქართული თეატრი ამ მხრივ დიდ როლს ასრულებდა, რადგან წარმოდგენები ქართულ ენაზე იმართებოდა, რაც თავის მხრივ ეროვნულ შეგნებას აღვივებდა ქართველებში. ქართული ენა და კულტურა გახდა 60-იანელთა ნაციონალური საკითხის ძირითადი საფუძველი (კიკვიძე 1976: 422).

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დახმარებით და ხელშეწყობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოსახლეობას საშუალება ჰქონოდა ქართულ ენაზე მიეღო განათლება. ამ მიმართულებით მუშაობდნენ, როგორც საერო ასევე სასულიერო პირები. ცნობილი სასულიერო მოღვაწე გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე) აქტიურად ცდილობდა, რომ სკოლებში მშობლიურ ენაზე ყოფილიყო სწავლება (ხუციშვილი 1987: 39).

რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების საქართველოში ჩამოსახლებამ გარკვეული პროტესტის გრძნობა გამოიწვია ქართველებში. XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა რუს კოლონისტთა 100-მდე ახალი დასახლება, რაც ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერებში აგრარული საკითხის წინა პლანზე წამოწევას განაპირობებდა. (ვახტანგიშვილი 1999: 106).

XX საუკუნის დასახყისში ქართულ საზოგადოებაში გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა იყო ქვეყნის მომავალთან დაკავშირებით. იმ პერიოდში წარმოდგენილი პარტიების ნაწილი (სოციალ-დემოკრატები) ეწინააღმდეგებოდნენ ეროვნული ავტონომიის იდეას იმ მოტივით, რომ ეს საფრთხეს შეუქმნიდა მშრომელთა ინტერნაციონალურ ერთობას და აქედან გამომდინარე თვლიდნენ, რომ ქართველებს ავტონომია არ უნდა მოეთხოვათ.

განსხვავებული პოზიცია ჰქონდათ სოციალ-ფედერალისტებს და ეროვნულ-დემოკრატებს, რომლებიც ეროვნულ საკითხს რევოლუციურ გარდაქმნათა პროცესის ნაწილად მოიაზრებდნენ. არჩილ ჯორჯაძე თვლიდა, რომ კლასობრივი სხვაობა არ უნდა გამხდარიყო ხელისშემშლელი ეროვნული

ერთიანობისათვის. იგი განმარტავდა, რომ აუცილებელია “მამული ქართველს დარჩეს, გლეხია იგი თუ თავადი” (ვახტანგიშვილი 1999: 107).

ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ საქართველოს ტერიტორია, მიწა წარმოადგენდა ერის არსებობის აუცილებელ საფუძველს და მას ისინი ენის და გვარტომობის გვერდით აყენებდნენ. არჩილ ჯორჯაძის განმარტებით “ენასთან და გვარტომობასთან ერთად მიწა იყო უპირველესი ფაქტორი ეროვნული ცხოვრებისა” (ვახტანგიშვილი 1999: 107).

1918 წლის 26 მაისს საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად. დამოუკიდებლობის აქტის შესავალში, პირველ პუნქტში აღნიშნულია “ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა”. ფრაზაში “საქართველოს ხალხი” იგულისხმება არამარტო ქართველი არამედ ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენელი, რომელიც კი საქართველოს რესპუბლიკაში ცხოვრობს. ქვეყანა ვალდებულებას იღებს დაიცვას ყველა მოქალაქის უფლებები და ინტერესები თანაბრად, რაც აღნიშნულია დამოუკიდებლობის აქტის შესავალშივე, V პუნქტში “საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა”.

პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველომ, როგოც პოლიტიკურმა სუბიექტმა სამი წლის (1918-1921), განმავლობაში დამოუკიდებლად იარსება. ამ პერიოდში არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარება, ბოლშევიკთა მიერ ორგანიზებული აჯანყებები, ომი რუსეთთან, თურქეთთან, სომხეთთან, ყველაფერი ეს ხდებოდა ერთიანი საქართველოს ისტორიის ნაწილი და შესაბამისად, ქართული ეთნოსის ისტორიული მეხსიერების ნაწილი.

ქართულ ეთნოსში გაიზარდა ერთიანობის შეგრძნება, რისი ერთ-ერთი მიზეზიც ქვეყნის ერთიანობის დაშლის და დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხის განცდა იყო.

1921 წლის 21 თებერვალს ბოლშევიკურმა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა "გადაკეთდა" საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად და გახდა საბჭოთა კავშირის წევრი სახელმწიფო. საქართველომ შეინარჩუნა ნომინალური სახელმწიფოებრიობა. ფაქტობრივად ქვეყანა, ისევე როგორც დანარჩენი 14 მოკავშირე რესპუბლიკა მოსკოვიდან იმართებოდა. შესაბამისად, საქართველოში გაიზარდა ეროვნული თვითგამორკვევისაკენ ლტოლვა. "კომუნისტების ეროვნული პოლიტიკა არ იყო თანმიმდევრული. ერთის მხრივ მიმდინარეობდა კულტურული ჰომოგენიზაციის ხელშეწყობა (საბჭოთა ხალხი, რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება საბჭ.რესპუბლიკებში...) ხოლო მეროე მხრივ, ეთნიკური სეგრეგაცია, ეთნოსების ინტსტიტუციონალიზაცია და ეთნიკურ ელიტების წახალისება" (სიამაშვილი 2010: 54).

საბჭოთა კავშირში შედიოდა თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკა, რომელთა ტერიტორიებზეც არსებობდა ეთნიკური და რელიგიური ნიშნით შექმნილი ავტონომიური პოლიტიკური ერთეულები. საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა სამი ავტონომიური ერთეული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. პირველი ორი ეთნიკური ნიშნით, ხოლო მესამე რელიგიური ნიშნით შექმნილი ავტონომია იყო. ერთი შეხედვით რჩება შთაბეჭდილება, რომ სხვადასხვა ეთნოსებს ჰქონდათ საშუალება საკუთარი ეთნო-კულტურული მახასიათებლების სრული განვითარებისათვის. მიუხედავად ამისა, როგორც აღინიშნა საბჭოთა კავშირში ძირითადი იდენტობა იყო სამოქალაქო იდენტობა. ყველანი იყვნენ ერთი სახელმწიფოს მოქალაქენი.

1991 წლის 31 მარტს საქართველო საყოველთაო რეფერენდუმის შედეგად გამოცხადდა სუვერენულ, დემოკრატიულ რესპუბლიკად. იმავე წელს საბჭოთა კავშირმა შეწყვიტა არსებობა (1991 წლის 26 დეკემბერი). საქართველოში დაიწყო დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც დღემდე გრძელდება.

XIX-XX საუკუნეში საქართველოში განხორციელებული მიგრაციული პროცესები, რუსეთის ხელისუფლების ორგანიზებით მიმდინარეობდა და შესაბამისად, პირველ რიგში იმპერიის ინტერესებს ემსახურებოდა. გათვალისწინებული არ იყო ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის ინტერესები. ხელისუფლება ხელს არ უწყობდა მოსახლეობის ურთიერთდაახლოებას და შესაბამისად, ეთნიკურ ჯგუფებს ერთმანეთის შესახებ არასაკმარისი ინფორმაცია ჰქონდათ. აღნიშნული მიზეზი წარმოადგენდა საქართველოში ეთნიკური პრობლემების ერთ-ერთ ხელისშემწყობ ფაქტორს, რამაც XX საუკუნეში იჩინა თავი საქართველოს ტერიტორიაზე.

თავი II

ეთნიკური იდენტობის მარკერები საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებში

ეთნიკური იდენტიფიცირებისას მნიშვნელობა ენიჭება კრიტერიუმებს, მარკერებს რომელთა საფუძველზე ჯგუფი ახდენს საკუთარი თავის განსაზღვრას. ზოგადად ეთნიკურ მარკერებად მოიაზრება ენა, ტრადიციები, კულტურა, ეთნოსის ისტორია და ა. შ... სხვადასხვა ეთნოსის იდენტობის სტრუქტურაში აღნიშნული მარკერები განსხვავებული სქემით არის წარმოდგენილი, რაც დამოკიდებულია კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში ეთნოსის წინაშე არსებულ გამოწვევებზე (ისტორიული გარემო, პოლიტიკური პროცესები და ა. შ...), რომელთა შესაბამისად ეთნოსი ახდენს საკუთარი მარკერების სტრუქტურის კონსტრუირებას.

მარკერების ფუნქცია გულისხმობს ეთნოსის გამორჩეულობის და განსხვავებულობისათვის ხაზგასმას. მარკერები გამოკვეთავენ ეთნოსის ინდივიდუალიზმს, რაც განსაკუთრებით აქტუალურია იმ შემთხვევაში, როცა ეთნოსს გარკვეული საფრხე ემუქრება.

მარკერების ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია გარკვეული ეთნიკური ელიტის არსებობით, რომელზეც დამოკიდებულია კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში გარემოების ადეკვატური მახასიათებლების სისტემის შექმნა. ელიტის ფუნქციას წარმოადგენს ერთგვარი "შეხსენება" ეთნოსისათვის, თუ რა ფასეულობების დაცვაა საჭირო კონკრეტულ პერიოდში.

შესაბამისად, ეთნიკური იდენტობის მარკერების ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონკრეტული ისტორიული გარემო. რაც უფრო ძლიერია განსხვავება კონკრეტულ ეთნოსსა და მის მეზობელ ეთნოსებს შორის, – მით უფრო განვითარებულია ამ ეთნოსის "ეთნიკური მე"-ს შეგრძნება.

ჩვეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ გარემოს ჩამოშორებული ეთნოსი ხდება ახალ გარემოში, რაც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მის ბუნებაზე და ხშირ შემთხვევაში ხდება ცვლილებები იმ მახასიათებლებისა, რაც მის

ინდივიდუალიზმს, გამორჩეულობას გამოკვეთავდა. რაც უფრო ლოიალურია ეთნოკულტურული გარემო ამ ეთნოსის მიმართ მით უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობს ახალი ეთნოიდენტურობის შექმნის პროცესი., რაც უფრო ხანგრძლივია ეთნოსის ან პიროვნების მშობლიურ ეთნოკულტურულ გარემოსთან ჩამოშორების პერიოდი, რომელშიც ჩამოყალიბდა მათი ეთნიკური იდენტურობა, მით უფრო მატულობს ტრანსფორმირების, – ახალ გარემოსთან კავშირში ახალი ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბების და ამ ეთნოკულტურული გარემოსათვის უკვე დამახასიათებელი ეთნიკური მარკერების შეთვისების ალბათობა.

შესაბამისად, ეთნოსის ეთნიკური იდენტობა, როგორც მოცემულობა განისაზღვრება იმ მარკერების სტრუქტურის საფუძველზე, რომელთა მეშვეობით კონკრეტულ ეპოქაში, არსებული რეალობის და საჭიროებების გათვალისწინებით ეთნოსი ავლენს საკუთარ ინდივიდუალიზმს და გამორჩეულობას სხვა ეთნიკური ჯგუფებისაგან. ეთნიკური მარკერების სტრუქტურაში მარკერების იერარქიულობა დამოკიდებულია იმ სოციალ-პოლიტიკურ გარემოზე, რომელშიც ისტორიულად ამ ეთნოსს უწევს არსებობა.

აღსანიშნავია, რომ ცალკე აღებული ნიშანთვისებები (მათ შორის წარმოშობა) სხვადასხვა ეთნოსებში შეიძლება იდენტური იყოს, მაგრამ გარკვეული ჯგუფი ამ ნიშანთვისებებისა უკვე ერთი კონკრეტული ეთნოსისათვის არის დამხასიათებელი. ეთნოსის მიერ მიღებული ნიშნების მნიშვნელობა და როლი იცვლება კონკრეტული ისტორიული სიტუაციიდან, ეთნიკური გარემოცვის თავისებურებებისა და სხვა მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე. აქედან გამომდინარე, ეთნიკური იდენტობის განსაზღვრა ცალკეული მარკერის საფუძველზე სირთულეებთან არის დაკავშირებული. ეთნიკური ვინაობის დადგენა ყველაზე ფართოდ გავრცელებული ისეთი მახასიათებელის საფუძველზეც კი როგორიცაა – "წარმოშობა" გარკვეულ წინააღმდეგობებს ქმნის. ჩვეულებრივ ადამიანის წინაპარში იგულისხმება მისი მშობლები, ან ახლო წინაპრები, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის არიან ბუნებრივია ინდივიდის ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრა რთულდება მხოლოდ წარმოშობის საფუძველზე.

მაგალითად, ყოფილ იუგოსლავიაში სერბები, ხორვატები, მუსულმანები ითვლებიან განსხვავებული ეთნიკურ ერთობებად, მაგრამ ეს ერთობები IX საუკუნეში შეიძლება ჩავთვალოთ ერთიან ეთნიკურ ჯგუფად, რომელიც ფლობდა ერთიან სამშობლოს სამხრეთ სლავურ რეგიონში (ჩანდრა 2005: 10).

რელიგიური კუთვნილება ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება იყოს ეთნიკური რაობის განმსაზღვრელი. მაგალითად, ენტონი სმითს რელიგიური და ეთნიკური იდენტობების თანხვედრის მაგალითად მიაჩნია სომხები და ებრაელები (სმითი 2008: 8). სომხური ეთნოსისათვის სომხური ეკლესიისადმი და სომხური ქრისტიანული კულტურისადმი ერთგულება საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ისტორიული ტრადიციის შეეგა ეთნიკური იდენტობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია, ისევე როგორც ებრაელებისათვის – იუდაიზმი. მიუხედავად ამისა მხოლოდ ამ მარკერის მიხედვით იდენტობის განსაზღვრა არასწორია. ამ კონტექსტში საინტერესოა XVIII საუკუნის ისტორიკოსის ვახუშტი ბატონიშვილის მიერ ქართლის მოსახლეობის დიფერენცირება, როცა იგი წერს ქვემო ქართლის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილზე "სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნითა ქართულითა" (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 312). ავტორი გულისხმობს გრიგორიანული ქრისტიანული მრწამსის და მართლმადიდებლური მრწამსის ქართველებს რომლებსაც რელიგიური განსხვავების მიუხედავად ზნე-ჩვეულებები ქართული ჰქონდათ.

ეთნოსებს შეიძლება ქონდეთ იდენტური ენა, მაგრამ ენის ერთიანობაც არ გულისხმობს ეთნოსის ერთიანობას. ინგლისელები, ამერიკელები (აშშ) და ავსტრალიელები მიუხედავად საერთო – ინგლისური ენისა სხვადასხვა ეთნიკურ ერთობებს წარმოადგენენ.

ერთად მოცემული რამდენიმე მახასიათებლის მსგავსება (იდენტური ენა და რელიგია და წარმოშობა) ხშირ შემთხვევაში, ასევე არ იძლევა ეთნიკური იდენტობის განსაზღვრის საშუალებას. მაგალითად, ესპანელები და მექსიკელები ძირითადად კათოლიკენი არიან და საუბრობენ ესპანურ ენაზე, აკავშირებთ საერთო წარმოშობა, მაგრამ სხვადასხვა ერები არიან.

იმ ფაქტორებიდან, რომლებიც გავლენას ახდენს ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბებაზე გასათვალისწინებელია ისტორიული მეხსიერება და ტერიტორია, ადგილი რომელსაც ეთნოსი თვლის თავის ისტორიულ სამშობლოდ. მაგალითად, საქართველო, ტერიტორია რომელიც ითვლება ქართველების ისტორიულ სამშობლოდ ქართული იდენტობის განუყოფელი ნაწილია. რაც უფრო ძლიერია კავშირი ეთნოსისა მის ისტორიულ სამშობლოსთან მით უფრო დიდია ამ ტერიტორიის ემოციური მნშვნელობა ეთნოსის წევრებისათვის. ისტორიულ სამშობლოსთან კავშირი ხელს უწყობს ეთნოსის იდენტობის გაძლიერებას იმ შემთხვევაშიც, როცა იგი არა ფიზიკურ, არამედ ემოციურ დონეზეა.

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფში ეთნიკური მარკერების განსხვავებული სტრუქტურა გვხვდება.

საქართველოში მცხოვრები ოსების ეთნიკური იდენიფიკაციის შემთხვევაში გადამწყვეტ როლს არ ასრულებს ენა, პიროვნების გვარი და ეთნიკური იდენტობის ძირითად განმსაზღვრელად სახელდება ტრადიციები, კულტურისადმი და წარმოშობისადმი დამოკიდებულება. როდესაც ადამიანი ფლობს ინფორმაციას საკუთარი კულტურისა და ისტორიის შესახებ, აფასებს ყოველივე აღნიშნულს, გრძნობს თავს ამ ეთნოსის წევრად, ასეთ შემთხვევაში იგი აღიქმება როგორც ოსი ეროვნების ადამიანი (გაგლოევი 2012)

საქართველოში მცხოვრები ბერძნებისათვის ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნების აუცილებელი პირობაა ბერძნული ენის, კულტურის, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების დაცვა. ძირითადად ამ მახასიათებლების საფუძველზე განისაზღვრება ადამიანის ეთნიკური კუთვნილება ბერძნებში, მაგრამ XX საუკუნის 90-იან წლებში გორში არსებული ბერძენთა საზოგადოება აწარმოებდა რაიონში მცხოვრები ბერძნების აღრიცხვას და აღმოჩნდა, რომ გორის რაიონში ბერძნების 210 ოჯახი იყო. აღრიცხულთა ეთნიკური ვინაობის დადგენა მოხდა იმ საბუთების საფუძველზე, რომლებიც მათ წარადგინეს. აღრიცხული ბერძნების დიდ ნაწილს გვარი არ ჰქონდა ბერძნული და ენაც არ იცოდნენ, მაგრამ საბუთებში ეროვნება ბერძენი ეწერათ. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი ბერძნული წარმოშობის იურიდიულად დასაბუთების შემთხვევაში ადამიანი

შეიძლებოდა ჩათვლილიყო ბერძენად, ამ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა ნაწილისათვის ეს არ იყო მისაღები, რადგან მათი შეხედულებით ადამიანი, თუ თვლის თავს ბერძენად, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს შენარჩუნებული ბერძნული გვარი და რაც მთავარია საკუთარი ენა, რომლის მეშვეობით ეზიარებოდა იგი ბერძნულ კულტურას (მიტიტანიდი 2012).

საქართველოში მცხოვრები ბერძნები პირობითად ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს, მათი ერთი ნაწილი ფლობს ბერძნულ ენას, ხოლო მეორე ნაწილი არ ფლობს ბერძნულს და საუბრობს სხვა ენებზე, როგორიცაა თურქული, რუსული და ა. შ. ბერძნულ ენაზე მოსაუბრენი ძირითადად ზღვისპირა ზოლში (აჭარა, აფხაზეთი) ცხოვრობდნენ, ხოლო დანარჩენები ქვეყნის შიდა რეგიონებში (ქართლი, ჯავახეთი, კახეთი). მაგალითად, წალკაში მცხოვრები ბერძნების ნაწილი ვერ ფლობს ბერძნულს და ქართულს და საუბრობენ რუსულად და თურქულად (მიტიტანიდი 2012).

ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, ბერძნულ ენაზე მოსაუბრეთა ნაწილში არსებობს მოსაზრება, რომ განსხვავების მიზეზი არის დამოკიდებულება ენის, როგორც ეთნიკური მარკერის მიმართ, რომელიც მათი აზრით გავლენას ახდენს ადამიანის ხასიათის, მანერების, ქცევების ჩამოყალიბებაზე, სოციალურ ურთიერთობებზე (ოჯახის მოწყობა, სხვა ადამიანებთან ურთიერთობები), რადგან სწორედ ამ ენაზე არსებოს ანდაზები, ზღაპრები, სიმღერები, რომლებიც წარმოადგენენ ბერძნული კულტურული იდენტობის ელემენტებს (მიტიტანიდი 2012).

გამომდინარე აღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მცხოვრები ბერძნებისათვის ეთნიკური იდენტობა განისაზღვრება ისეთი ძირითადი მარკერების საფუძველზე, როგორიცაა ენა, წარმოშობა, კულტურა.

საინტერესო მიდგომები გვხვდება **ასურელების,** შემთხვევაში. ასურელებთან გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ერთ-ერთი მშობლის, განსაკუთრებით მამის ან წინაპრების წარმომავლობას. საქართველოში მცხოვრებ ასურელებში ხშირია შერეული ოჯახები. შესაბამისად, ეს მიდგომა ხელს უწყობს თემის არსებობას. დასაშვებია ისეთი გამონაკლისები, როდესაც

შერეული ოჯახის წარმომადგენელს, რომელსაც დედა ან ბებია ყავს ქართველი, ან სხვა რომელიმე ეროვნების და პიროვნება მაინც თავს თვლის ასურელად, მის ამგვარ ინდივიდუალურ მიდგომას მაინც იზიარებს ჯგუფი. ენას, რელიგიას ან კულტურას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან არსებობენ ადამიანები, რომლებიც არ ფლობენ ენას, მაგრამ თავს მიიჩნევენ ასურელებად (ადამოვი 2012).

საქართველოში მცხოვრები გერმანელები ეთნიკური იდენტობის განსაზღვრისას მნიშვნელობას ანიჭებენ წარმოშობას. იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის მშობელი, ან უახლოესი წინაპარიი – ბებია და ბაბუა, წარმოშობით გერმანელია და ეს ასახულია შესაბამის დოკუმენტებში იგი მიიჩნევა გერმანული თემის წევრად (აუგსტი 2012).

საქართველოში მცხოვრები დუხობორების უმეტესობა წარმოშობით ეთნიკური რუსია, საუბრობენ რუსულ ენაზე. ეს ჯგუფი არა ეთნიკური, არამედ უფრო რელიგიური ჯგუფია, რომელშიც გაწევრიანება შეუძლია სხვადასხვა ეთნიკური კუთვნილების ადამიანს, ქართველს, სომეხს, რუსს, რომელიც გაიზიარებს მათ სწავლებებს და ფასეულობებს. "საბჭოთა კავშირის დროსაც მათ ეროვნებად ეწერათ რუსი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი მხოლოდ რუსებად აღიქვამენ თავს" (ბეჟენცევა 2012).

საქართველოში მცხოვრებ ქურთებსა და იეზიდებს შორის განსხვავებასთან დაკავშირებით არსებობს ორი ძირითადი მოსაზრება. ერთის თანახმად იეზიდები როგორც ქურთული ეთნოსის წარმომადგენლები ყველა მეცნიერულ ნაშრომში არიან იდენტიფიცირებულნი, როგორც ქურთები, მაგრამ მათი რელიგია არის მხოლოდ იეზიდიზმი და არა ისლამი. მეორე მოსაზრებით ვინაიდან იეზიდებისათვის რელიგია წარმოადგენს უმთავრეს მახასიათებელს, შესაბამისად, თუ რელიგიაშია სხვაობა იგულისხმება რომ სხვაობაა ყველა დანარჩენ მახასიათებელში. იეზიდებისათვის განსახლების გეოგრაფიულ არეალს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მათი ფასეულობები, რომელთა საფუძველზე ყალიბდება იდენტობა, თავის მხრივ დაფუძნებულია რელიგიაზე.

"ეზიდიზმი, რომლის მიმდევრებიც არიან ეზიდები განაპირობებს ადამიანის კონსტიტუციას, როგორც ყოფის ნაწილს, ასევე მათ დაახლოებას

ღმერთთან, სულიერ ფასეულობებთან და უამრავ სხვა საკითხთან, რასაც ქადაგებს და კარნახობს სარწმუნოება" (მირზოევი 2012).

საქართველოში მცხოვრები იეზიდებისათვის დამახასიათებელი რელიგიაზე დაფუძნებული კასტური საზოგადოებრივი ფორმა, წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს ეთნოიდენტიფიკაციურ მახასიათებელს. "ამ სტრუქტურას ეფუძნება რეალურად ეზიდების გადარჩენის საშუალება იმ ისლამის შუაგულში და ზუსტად ამ კასტების ასეთმა სტრუქტურამ მისცა მათ გადარჩენის საშუალება" (მირზოევი 2012).

ამავე დროს ენას და წარმოშობას ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იეზიდებს არ ახასიათებთ პროზელიტიზმი. ადამიანი უნდა დაიბადოს იეზიდად. ადამიანი რომელიც იცნობს კასტურ სტრუქტურას და წარმოშობით არის ქურთი-იეზიდი უნდა ფლობდეს ენას და უნდა იცოდეს საკუთარი 7 წინაპრის სახელი. შესაძლებელი უნდა იყოს მისი იდენტიფიცირება, თუ რომელ ოჯახს მიეკუთვნება და ნამდვილად მიეკუთვნება თუ არა იგი იეზიდების თემს. ეს ერთგვარი თავდაცვითი მექანიზმია იეზიდურ საზოგადოებაში, რათა არ მოხდეს უცხო ადამიანის "შემოპარვა" (მირზოევი 2012).

ამისა წარმოშობა არ არის საკმარისი. ადამიანს შეუძლია დაასაბუთოს დოკუმენტურად საკუთარი წარმოშობა, მაგრამ თუ ის არ ფლობს ენას, თუ არ იცის იეზიდური ოჯახების ვინაობა, წინაპრების შვიდი თაობის ვინაობა თემი მას არ მიიღებს. ამ მექანიზმის მოქმედების შედეგად დაცულია იეზიდურ საზოგადოებაში თეოკრატიული, იერარქიული პრინციპი და კასტური დაყოფა (მირზოევი 2012).

ამ სტრუქტურის დაცვა წარმოადგენს იეზიდებში ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების საფუძველს. შესაბამისად, რელიგია და კასტურ-თეოკრატიული დანაწევრების პრინციპი მოიაზრება იეზიდური იდენტიფიკაციური მარკერების სტრუქტურის ზედა საფეხურზე.

ზოგადად, საქართველოს აზერბაიჯანელებში ეთნიკური იდენტობის მთავარ განმსაზღვრელად ითვლება ენა, დედაენა, შემდეგ რელიგია, წარმოშობა,

ტრადიციები. აზერბაიჯანელებში არსებობს მოსაზრება, რომ მართალია რელიგია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს აზერბაიჯანელების ეთნიკურ იდენტობაში, მაგრამ ენა – ძირითად მარკერად ითვლება (სულეიმანოვი 2012).

აზერბაიჯანელებში არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმად ცალკე ინდივიდის გადასაწყვეტი უნდა იყოს, რომელი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლად ჩათვლის თავს. ეთნიკური იდენტობის განსაზღვრისას არ შეიძლება რომელიმე ცალკე აღებული მახასიათებლის გამოყოფა რადგან ეს საზოგადოების (იგულისხმება საქართველოს აზერბაიჯანელების) ერთიანობას შეუქმნის საფრთხეს. მაგალითად, თუ აქცენტი ენაზე გაკეთდება ქართლის და კახეთის სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ აზერბაიჯანელებში მრავლად არიან ქართულენოვანი აზერები, არიან რუსულენოვანი აზერები. ანალოგიური პრობლემა იკვეთება რელიგიის შემთხვევაში, რადგან არსებობენ სუნიტი და შიიტი აზერბაიჯანელებიც. მიუხედავად აღნიშნულისა დღევანდელ პირობებში ადამიანის ეთნიკური კუთვნილების გარკვევისას წარმოშობას, რელიგიას, ნათესაურ კავშირებს უფრო ენიჭება მნიშვნელობა (ხალილოვი 2012).

მსგავსი მიდგომა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ქვემო ქართლის აზერბაიჯანელებში, რომლებიც საკუთარ თავს აზერბაიჯანელად მოიაზრებენ პირველ რიგში რელიგიის და შემდეგ წარმოშობის საფუძველზე. ამ შემთხვევაში სახეზეა ფაქტი, თუ როგორ შეიძლება რელიგიამ განსაზღვროს ეთნიკური იდენტობა. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ისლამის ტრადიციული მოძღვრებაც, რომელიც სასულიერო და საერო სფეროებს ერთმანეთისაგან არ მიჯნავს და რწმენის საფუძველზე ცდილობს ჩამოაყალიბოს სოციალური, თუ პოლიტიკური ჯგუფი/თემი. აღნიშნულიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ მოსახლეობაში ისლამური ტრადიციები ძლიერია (დუნდუა 2010: 8).

სომხური ეთნიკური მარკერებიდან იდენტობის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმოშობას. ეს განსაკუთრებით ჩანს სამცხე-ჯავახეთის სომხურ მოსახლეობაში, სადაც სომხების უმეტესობა საკუთარი ეთნიკური

კუთვნილების განსაზღვრისას წარმოშობას პირველ ადგილზე აყენებს. მას მოყვება ენა და ტრადიციები (დუნდუა 2010: 8).

სომხები ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ადათ-წესების დაცვას, პატივისცემას საკუთარი წინაპრების, ერის ისტორიისადმი. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიას დიდი მნიშვნელობა აქვს სომეხი ერის ჩამოყალიბებაში, დღეს არსებობენ კათოლიკე, ბაპტისტი, მართლმადიდებელი, მაჰმადიანი სომხებიც, რომლებიც აღიქვამენ თავს სომხებად, ამ ერთობის წევრებად. აღნიშნულიდან გამომდინარე რელიგიას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს (ავაქიანი 2012, სტეპანიანი 2012).

დასახელებული მარკერები, _ წარმოშობა, ენა, ტრადიციები, რელიგია, საკუთარი ისტორიის ცოდნა, რომელთაგან უმთავრესი მაინც წარმოშობაა შეიძლება მიჩნეულ იქნეს დღევანდელობაში სომხური ეთნიკური იდენტობის განმსაზღვრელ სიმბოლოებად.

ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრისას წარმოშობას პირველ ადგილზე აყენებენ ქრისტიანი (მართლმადიდებელი) და მაჰმადიანი ქართველებიც (დუნდუა 2010: 8).

საქართველოს ტერიტორია ქართული ეთნიკურ იდენტობის ერთ-ერთ მარკერს წარმოადგენს. "ქართველები თანამედროვე და ისტორიული საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობაა, მათი ეთნოგენეზი სამხრეთ კავკასიის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილში და მის მიმდებარე სამხრეთ ტერიტორიაზე მოხდა" (თოფჩიშვილი 2008;45). ჯერ კიდევ V საუკუნეში, როდესაც ერთმორწმუნე ბიზანტიელები იპყრობენ დასავლეთ საქართველოს ქართველი მემატიანე ამ ფაქტს მძიმედ განიცდიან "მასვე ჟამსა გამოვიდნეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრის-წყალს ქუემოთი კერძი ყოველი, და დაიპყრეს ეგრის-წყლითგან ვიდრე ციხე-გოჯადმდე. მაშინ იქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა და იტყოდეს განვამრავლეთ ცოდვა ღმრთისა მიმართ, და არა კეთილად ვიპყარით სჯული ქრისტესი და წესი იოვანეს მცნებისა. სამართლად მოაწია ღმერთმან ჩუენ ზედა ესე რისხვა,

რამეთუ მიგუცნა ჩუენ წარტყუენვად უცხოთა ნათესავთა, და მიგჴღო ჩუენ საზღვარი ბერძენთაგან, ვითარცა მიუღო ვარაზ-ბაქარს მეფესა კლარჯეთი. და იგი ცოდვითა ვარაზ-ბაქარისათა მოიწია, რამეთუ ვერ კეთილად ეპყრა სჯული ქრისტესი. ხოლო ესე არა მეფეთა ჩუენთა ცოდვისაგან იქმნა, არამედ ჩუენ წინამძღუარი, რომელიმცა სასოებითა ქრისტესითა და წინამღურებითა ჯუარისათა წარგჴძღუა ჩუენ. და ვიძიოთ ჩუენ შური პირველ ოვსთა ზედა, და შემდგომადცა ვძებნეთ საზღვარი ქართლისათა ბერძენთაგან" (ჯუანშერი 1955: 146).

ჯუანშერის თხზულებიდან კარგად ჩანს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქართველებისათვის ტერიტორიული მთლიანობა. ტერიტორიის დაკარგვა ქართველებს ღვთის რისხვად მიაჩნიათ, რისი მიზეზიც მათი რწმენით "ქრისტეს სჯულის" არასათანადო ერთგულება და ცოდვების გამრავლებაა, მაგრამ ამის მიუხედავად ქართველები შეგუებასაც არ აპირებენ. ეს მომენტი ნათლად ასახავს ამ ორი იდენტიფიკაციური მახასიათებლის – რჯულის და ტერიტორიის განსაკუთრებულობას ქართული ეთნოსისათვის. ბიზანტიელებისა და ოსების მიერ დაკავებული ტრიტორიები ქართული მიწებია და ამ ისტორიულ ტერიტორიების დაკარგვისადმი შეუგუებლობა და ტერიტორიების დაბრუნების სურვილი და ტერიტორიების დაბრუნების მოწოდება ხაზს უსვამს სწორედ ისტორიული მეხსიერების მნიშვნელობას ქართველებში, რომლებიც არ აპირებენ დაივიწყონ ტერიტორიების დაკარგვის ფაქტი და მზად არიან იცადონ ვიდრე შესაფერისი დრო დადგება კუთვნილის მიწების დასაბრუნებლად.

ქათულ საზოგადოებაში ყოველთვის იყო განცდა იმისა, რომ პოლიტიკური დაქსაქსულობის მიუხედავად საქართველო ერთიანი ორგანიზმი იყო. ამაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ XVIII საუკუნის ქართველმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ ვახუშტი ბატონიშვილმა, რომელიც ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის შვილი იყო თავის ისტორიულ ნაშრომს უწოდა "აღწერა სამეფოსა საქართველოსა", რომელშიც გადმოცემულია, როგორც ერთიანი საქართველოს ასევე – პოლიტიკურად დაშლილი ქვეყნის ისტორია ავტორის თანამედროვე პერიოდამდე. თხზულებაში ყველა სამეფო-სამთავრო

წარმოდგენილია როგორც ერთიანი, მთლიანი ორგანიზმის ნაწილი, რაზეც თავად სათაურიც მეტყველებს.

ამ ფაქტს ადასტურებს ასევე XVIII საუკუნის ბოლოს 1790 წელს ქართველ მეფე-მთავართა შორის გაფორმებული ტრაქტატი "ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თფილისს 1790 წელსა". ქართველ მეფე-მთავართა შორის დადებულ ამ სამოკავშირეო ხელშეკრულებაში აღწერილია ის მახასიათებლები რა XVIII საუკუნის ქართველობისათვის საერთო იყო

"ვინაიდან ყოველთავე ივერიელთა მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა, და გურიისათა აქვსთ ერთ მორწმუნეობა, არიან შვილნი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ გავასხელობითიცა სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის" (თოფჩიშვილი 2008;65). ტექსტში ქართველების საერთო მარკერებად წარმოდგენილია: სარწმუნოება, ენა, ერთი ეთნოსისადმი კუთვნილების შეგრძნება – "ივერიელები".

თავი III

სამოქალაქო იდენტობის საკითხები

სახელმწიფო გადამწყვეტ როლს ასრულებს ერების ფორმირებაში (თოფჩიშვილი 2010: 265). ზოგადად, სახელმწიფოს ცნება გულისხმობს პოლიტიკური ინსტიტუტების სისტემის არსებობას, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივ ცხოვრებას ამა თუ იმ განსაზღვრულ ტერიტორიაზე (სოციალურ... 2004: 267). შესაბამისად, სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელია კონკრეტული ტერიტორიის და მასზე ადამიანთა ერთობის არსებობა, სადაც ადამიანების მიერვე ხდება გარკვეული სახის ქცევის წესების დაწესება და აღსრულება (სართანია 2005: 4). თანამედროვე სამყაროში ადამიანთა მსგავს ერთობას წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოება.

თანამედროვე ეპოქაში ერი მიისწრაფვის მოქალაქეთა ერთობლიობისა და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისაკენ სადაც ერი და სახელმწიფო იდენტური ცნებებია და დაცულია ყველა მოქალაქის უფლება ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად.

"ერი-სახელმწიფოს ცნებაში იგულისხმება, რომ ასეთი სახელმწიფოს ყველა მოქალაქე, მიუხედავად ეთნიკური კუთვნილებისა, ერთი ერის წარმომადგენელია" (აბაშიძე თ. 2010: 72).

მრავალეთნიკურ სახელმწიფოში, რომელიც დემოკრატიულ პრინციპებს აღიარებს ეთნიკურ ჯგუფებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფა და შესაბამისად ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბება შესაძლებელია სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის განხორციელების გზით.

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში, ქვეყნის მოქალაქეები შეიცნობენ საერთო სამოქალაქო ფასეულობათა სისტემას, რომელიც მორგებული იქნება არა ერთ კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფზე, არამედ სახელმწიფოზე. ადამიანი ნებაყოფლობით იღებს იმ გემოვნების აზროვნების, თვისებების, ნორმების,

ღირებულებათა ელემენტებს, რომლებიც მოცემულ საზოგადოებაში მის გარშემომყოფთ აქვთ მიღებული (ქვლივიშვილი 2006: 40).

კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეებში სამოქალაქო ცნობიერების, სამოქალაქო თვითშეგნების ჩამოყალიბება კი სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის შემადგენელი კომპონენტია, ვინაიდან სამოქალაქო თვითშეგნებაში იგულისხმება საკუთარი და სხვისი უფლებების და მოვალეობების ცოდნა და დაცვა. სამოქალაქო თვითშეგნების არსებობა გულისხმობს სახელმწიფოში არსებული წესების და კანონების მორჩილებასაც. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოების წევრი თავად, შინაგანად უნდა გრძნობდეს კანონის დაცვის აუცილებლობას. რაც უფრო მეტია სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეების კანონისადმი მორჩილებაზე იძულება მით ნაკლებია ამ საზოგადოებაში სამოქალაქო იდენტობის ხარისხი (სართანია 2005: 5).

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესი გულისხმობს სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებას არამარტო ეთნიკურ უმცირესობებში, არამედ დომინანტ მოსახლეობაში. ქვეყანაში სამოქალაქო ინტეგრაციული პროცესების დინამიურ ხასიათს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ეთნიკური უმრავლესობის მიერ ახალი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების აუცილებლობის გააზრება. შესაბამისად, სამოქალაქო ინტეგრაცია გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის, ყველა ეროვნების და კონფესიის წარმომადგენლის ჩართვას ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ, თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის მიზანია ქვეყანაში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებში სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბება. ინდივიდი არ უნდა იყოს მხოლოდ მექანიკურად მიკუთვნებული კონკრეტული პოლიტიკური ერთობისადმი, არამედ მას უნდა გააჩნდეს ორგანული კავშირის გრძნობა დანარჩენი თანამოქალაქეებისადმი, ტერიტორიისადმი, სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი და ატრიბუტებისადმი (სართანია 2005: 7).

აღნშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო იდენტობა არის კონკრეტული ტერიტორიულ-პოლიტიკურ ერთეულში ელიტების

საქმიანობის შედეგად ჩამოყალიბებული ცნობადი მახასიათებლების, სიმბოლოების გაზიარების და გათავისების საფუძველზე, მრავალეთნიკურ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ერთიანობის და ამ პოლიტიკური ერთეულისადმი კუთვნილების განცდა.

ზოგადად, ნებისმიერ სახელმწიფოს გააჩნია შესაბამისი სიმბოლიკა, მახასიათებლები, რაც გამოარჩევს მას სხვა ქვეყნებისაგან. აღნიშნულ მახასიათებლებს და სიმბოლოებს წარმოადგენს სახელმწიფო ენა, სახელმწიფო დროშა, სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო ჰიმნი, სახელმწიფოს ტერიტორია, სახელმწიფო ინსტიტუტები (პრეზიდენტი, მთავრობა, პარლამენტი) და სხვა ცნობადი სიმბოლიკა (თავისუფლების ქანდაკება, ფულის ნიშნები და ა. შ), რომელიც კონკრეტული სახელმწიფოს იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ეს მარკერები თანაბრად ეკუთვნით ქვეყანაში მცხოვრებ ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფის და რელიგიური კონფესიის წარმომადგენელს, რომელთაც მოქალაქის სტატუსი გააჩნიათ. შესაბამისად, აღნიშნული სიმბოლიკის შეცნობა და გააზრება განაპირობებს სამოქალაქო თვითშეგნების ჩამოყალიბებას.

§1. სამოქალაქო იდენტობის ძირითადი მარკერები საქართველოში და მათი ისტორიული საფუძვლები.

ქართულ სახელმწიფოს ეწოდება საქართველო, მაგრამ ასევე ცნობილია სხვა სახელწოდებებიც "ხოლო ქუეყანა ესე იწოდების სახელითა სამითა. პირველად – საქართველო, მეორედ – ივერია, მესამედ – გიორგია. ხოლო საქართველო არის სახელი ქართლოსის გამო, რომელსა წილად ხუდა ქუეყანა ესე და, სადა დაეშენა, უწოდა სახელითა თჳსითა ქართლი, და მის გამო მორჩილთა ანუ წილჴდომილთა მისთა ეწოდა საქართველო. გინა შემდგომად მისსა, რომელ ფუცვიდნენ ძენი და ძენი ძეთა მისთანი საფლავსა მისსა, ეწოდათ საქართველო" (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 39).

ქართული ეთნოსის ისეთი ეთნიკური მარკერები, როგორებიცაა ენა, კულტურა, სხვადასხვა ტრადიციები, ტერიტორია, ისტორია წარმოადგენს ამავე დროს, – ასევე ქართული სახელმწიფოს, სამოქალაქო იდენტობის მარკერებს.

ამავე დროს ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობებს გააჩნიათ საკუთარი ეთნიკური მახასიათებლები. ახალი ქართული საზოგადოების, როგორც მრავალეთნიკური და ამავე დროს ერთიანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში გარკვეული წინააღმდეგობა იკვეთება ეთნიკურ და სამოქალაქო იდენტობების თანაარსებობასთან დაკავშირებით. მათ შორის შეიძლება დასახელდეს ეთნიკური თვითშეგნება და სამოქალაქო თვითშეგნება, ეთნოსის ისტორიული მეხსიერება და სახელმწიფოს ისტორია, ეთნოსის ენა და სახელმწიფო ენა.

საქართველოს სახელმწიფოს ორ ძირითადი მაიდენტიფიცირებელი სიმბოლოა დროშა და გერბი, რომლებზეც გამოსახულია ქრისტიანული სიმბოლიკის ელემენტები – ჯვარი და წმინდა გიორგი. ამის მიზეზია ქრისტიანული რელიგიის როლი ქართული სახელმწიფოებრიობის და ქართული ეთნოსის ჩამოყალიბებაში. ქრისტიანული რელიგიის გავლენით საქართველოში ყალიბდებოდა ორიგინალური, თვითმყოფადი კულტურა, როგორც ქართული ნაციონალური იდენტობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მახასიათებელი.

IV საუკუნეში საქართველოში ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ გააძლიერა ქართული ეთნოსის კონსოლიდაციის პროცესი. **საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მრავლად შენდებოდა ეკლესია-მონასტრები,** სადაც წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე წარმოებდა. ეკლესიის მრევლს კი წარმოადგენდნენ, როგორც დიდებულები ასევე დაბალი ფენა – გლეხობა.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანული ეკლესია განსხვავებულად ყალიბდებოდა. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ენა IV ს-დან VII ს-ის 30-იან წლებამდე ქართული იყო, რომელსაც ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის გაძლიერებასთან ერთად თანდათანობით ცვლის ბერძნული. აქ არსებული ლაზიკის სამიტროპოლიტოზე საეკლესიო იურისდიქციას ახორციელებდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო (ჯაფარიძე 2009: 364).

VIII საუკუნის შუახანებში დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბებულ "აფხაზთა სამეფოში" გაერთიანდა იბერიის სამეფოს ყოფილი ტერიტორიები: ეგრისი, გურია, თაკვერი, არგვეთი, სვანეთი. დაარსდა აფხაზეთის ქართული საკათალიკოსო, რომელიც სცნო ანტიოქიის საპატრიარქომ. მანვე გააუქმა კონსტანტინოპოლზე ამ ახლად შექმნილი რელიგიური ინსტიტუტის დამოკიდებულება და ავტოკეფალია მიანიჭა მას. ამის შემდეგ აფხაზეთის საკათალიკოსო, როგორც ერთიანი ქართული ეკლესიის შემადგენელი ნაწილი აგრძელებს ფუნქციონირებას (ჯაფარიძე 2009: 501).

აფხაზეთში წირვა-ლოცვა უკვე არა ბერძნულად არამედ ქართულად ტარდებოდა (ლორთქიფანიძე 1999;160). მოგვიანებით (IXს.) დასავლეთ საქართველოს – აფხაზთა სამეფოს ეკლესიაზე ვრცელდება მცხეთის საპატრიარქოს გავლენა, სადაც V საუკუნიდან, ვახტანგ გორგასლის დროიდან არსებობს საკათალიკოსო. აფხაზეთის საკათალიკოსო მირონს ქართლის (მცხეთის) საკათალიკოსოდან იღებდა (ჯაფარიძე 2009: 501).

მცხეთის საპატრიარქოსადმი მორჩილება საქართველოს ყველა ეკლესიის მრევლს უძლიერებდა ერთიანობის შეგრძნებას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა ქვეყნის პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესს.

ქრისტიანული რელიგია მწიგნობრული რელიგიაა, შესაბამისად, ქრისტიანობის გავრცელებამ საქართველოში ხელი შეუწყო დამწერლობის განვითარებას. "ადრეული შუა საუკუნეებიდან ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდნენ განათლებისა და კულტურის მძლავრ კერებს, სადაც იქმნებოდა ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი შედევრები (იწერებოდა ორიგინალური აგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული თხზულებები, ვითარდებოდა მთარგმნელობითი სკოლები, იქმნებოდა საგალობლები, ისერებოდა ხატები…), საეკლესიო იერარქთა ღვაწლით შენდებოდა და იხატებოდა ეკლესიები, მონასტრები; საეკლესიო კანონმდებლობის ძირითადი პოსტულატებით რეგულირდებოდა ქართული სამართლის ნორმები, ქართველთა საოჯახო ყოფა, ყალიბდებოდა ტრადიციული ქართული მენტალიტეტი და სხვ." (გუჯეჯიანი 2013: 35).

განსხვავებული რელიგიურ-კულტურული გარემოში არსებობის პირობებში, ქართული ეთნოსში აქცენტი კეთდებოდა იმ მახასიათებელზე, რაც სხვებზე მეტად გამოკვეთავდა მის გამორჩეულობას. გარკვეული ისტორიულ სიტუაციაში, კერძოდ, როცა ეთნოსი, ერი დაპყრობის საფრხის წინაშეა ან უკვე დაპყრობილია, ხდება მისი კონსოლირიდება. ამ შემთხვევაში "ჩვენ ჯგუფის", "შიდა-ჯგუფის", როგორც ერთი მთლიანის გაცნობიერება უფრო ძლიერდება – "არა-ჩვენ-ჯგუფის", "ისინი-ჯგუფისადმი", როგორც მტრისადმი (ყორანაშვილი 1984: 20).

როგორც აღინიშნა, საქართველოში მართლმადიდებლური ღვთისმსახურება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, შესაბამისად, ქართული ქრისტიანობა და ქართული მწიგნობრობა, ხდება ქართული ეთნოსის კონსოლიდაციის საფუძველი (მელიქიშვილი 1973: 128).

ერის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ინტელიგენციას, რომელიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ახდენს. "შუა საუკუნეებში ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები არიან იაკობ ხუცესი, იოანე საბანისძე, გიორგი მერჩულე (თოფჩიშვილი 2010: 269). ქრისტიანობის მიღების შემდეგ, საქართველო არაერთხელ ყოფილა დიდი სახელმწიფოების ბატონობის ქვეშ. როდესაც ქართული სახელმწიფოს მესვეურები გრძნობდნენ, რომ საფრთხე ემუქრებოდა არამარტო ქვეყნის სახელმწიფოებრიობას, არამედ ქართველთა თვითმყოფადობას, მათ ხელთ არსებული შესაძლებლობებით იწყებდნენ ქართლი იდენტობის გადარჩენისათვის ბრძოლას.

შუასაუკუნეებში ქართულ ენაზე შესრულებული არაერთი რელიგიური და ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ძეგლის შეიქმნა, როგორიცაა "ცხორებაჲ წმიდისა ნინოჲსი", იაკობ ხუცესის (ცურტაველი) "წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ", უცნობი ავტორის "მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ", იოვანე საბანის ძის "წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესი ჰაბოჲსი", არსენ II კათალიკოსის "მოქალაქეობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისაჲ" და სხვ. მსგავსი ნაწარმოებების არსებობა

ამდიდრებდა ქართულ კულტურას, როგორც ქართული იდენტობის უმნიშვნელოვანეს სეგმენტს და უფრო გამოკვეთავდა ქრისტიანული რელიგიის, როგორც ამ კულტურის განუყოფელი ნაწილის როლს ქართული ეთნოსისათვის. ეს როლი განსაკუთრებით საგრძნობი იყო იმ პერიოდში როცა ქართულ სახელმწიფოებრიობას ემუქრებოდა საფრთხე.

VIII საუკუნის ქართველი ჰაგიოგრაფი მწერალი იოანე საბანისძე თავის თხზულებაში "წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესი ჰაბოჲსი" აღნიშნავდა, რომ არაბები სხვადასხვა მეთოდებით ახდენდნენ ქართველთა გადაბირებას, აიძულებდნენ მათ ქრისტიანობაზე უარი ეთქვათ და ისლამი მიეღოთ "რამეთუ რომელნი-ესე ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა, სასტიკებისაგან და სივერაგისა, მანქანებითა მით საცთურებისაჲთა ზედამდგომელთა ამათ ჩუენთა, მფლობელთა ამის ჟამისათა, ზაკულებითა მოძღურებისაჲთა, თვით თავით თვისით შჯულის-დებისაჲთა, განდგომილთა ქრისტჱსგან მრავალნი შეაცთუნნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა, და ჭეშმარიტებასა ქრისტჱს სახარებისასა შეეცოდნეს, რომელნი ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარეჲს-და შჯულდებულ ყოფილ [არიან] წმიდითა მადლითა ნათლის-ღებისაჲთა. მიერითგან და ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდაგულარძნნეს რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკუვარებით. და სხუანი, რომელნი-ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქუეშე დამონებულ[ნი] და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძვირ-ძვირად ზღვეულნი, შიშითა განილევიან დაირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა" (საბანისძე 2007: 113).

ჰაგიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებების დანიშნულებას წარმოადგენდა ქრისტიანულ რელიგიაზე დაყრდნობით, არაბთა ბატონობის შედეგად დასუსტებული ქართული იდენტობის გაძლიერება. ქრისტიანობისათვის წამებული ადამიანების, მათ შორის არაბი ჭაბუკის ისტორიის გაცოცხლება

ქართველებისათვის ქრისტიანუილ რელიგიის როლსა და მნიშვნელობაზე მიუთითებდა. სწორედ მუსულმანური სახელმწიფოების მიერ საქართველოსადმი მტრული დამოკიდებულების გამო ქართული მართლმადიდებლობა იკავებს მთავარ ადგილს ქართული იდენტობის მარკერებს შორის. **"საერთოდ, იოანე საბანისძის** ცნობიერებაში ქართველთა ეთნიკური მეობა, ქართველობა, იდენტიფიცირებულია ძირითადად ქრისტიანული რელიგიასთან" (ყორანაშვილი 1984: 45).

პოლიტიკურად დასუსტებულ ქვეყანაში აღნიშნული თხზულებები ქვეყნის მესვეურთა მიერ გამოიყენება მოსახლეობაში ქრისტიანული რელიგიისადმი ერთგულების ასამაღლებლად და შესაბამისად, – ქართული იდენტობის გასაძლიერებლად. ქართველი და ქრისტიანი სინონომები ხდება. ქართველია ყველა, განურჩევლად ეთნიკური, ნათესაობითი წარმომავლობისა, ვინც მკვიდრობს ქართლში, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი (ეთნიკურობა 2002: 18).

ქრისტიანული ეკლესიის ცენტრალიზებული მასობრივი ხასიათი აძლიერებს ქართველების კონსოლიდაციას. "ქართველთა საკმაო მონოლითურობა, გამოვლინდა წარსულში ჩვენი ქრისტიანული რელიგიის მონოლითურობაში, იმაში, რომ ჩვენი რელიგიური, საეკლესიო ცხოვრება არ იყო დაყოფილი სექტებად, მიმდინარეობებად" (ყორანაშვილი 1983: 35). აღნიშნულმა გარემოებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას XII საუკუნეში.

XIII-XV საუკუნეებში ქვეყანაში განვითარდა დეზინტეგრაციული პროცესები, რასაც ერთვოდა გარეშე მტრების მოძალება. პოლიტიკური ინსტიტუტების სისუსტის პირობებში ეთიკური თვითმყოფადობის გადარჩენის ფუნქცია კვლავ ეკლესიამ აიღო თავის თავზე (მელიქიშვილი 1973: 129).

ქვეყნის ხელისუფალთა და ეკლესიის მესვეურთა მეშვეობით პოლიტიკურად დაშლილ ქართული ეთნოსისათვის ქრისტიანული რელიგია – ისლამის საპირისპიროდ ხდებოდა ქართული იდენტობის მთავარი

განმსაზღვრელი. ცნება “ქრისტიანობა” და “ქართველობა” იმდენად დაუკავშირდა ერთმანეთს, რომ არაქრისტიანი, მიუხედავად მისი წარმოშობისა ქართველად აღარ აღიქმებოდა.

კვლავ იქმნებოდა თხზულებები, რომლებშიც გადმოცემული იყო ქრისტიანობისათვის თავდადებული გმირების ცხოვრება. XVIII საუკუნეში იქმნება ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა “წამებაჲ ყოვლად დიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისა, რომელი იწამა სპარსთა მეფისა შაჰაბაზ უსჯულოსა მიერ ქალაქსა შირაზისასა” – ავტორი გრიგოლ დოდორქელი (ვახვახიშვილი), “ღუაწლისა წმიდისა და სანატრელისა მოწამისა მეფისა ლუარსაბისი”, “შესხმაჲ წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელისბარისი და უწყებაჲ წამებისა მათისა” –ავტორი ბესარიონ ორბელიშვილი. თხზულებებში ნათლად ჩანს მაშინდელ ქართულ საზოგადოებაში არსებული აზროვნება, რაც გულისხმობდა ქართველის და ქრისტიანის იგივეობას – “უსჯულოს”, “თათარის” ანუ არაქართველის საპირისპიროდ. გრიგოლ დოდორქელი კახელების და გამაჰმადიანებული კონსტანტინეს ჯარის დაპირისპირების აღწერისას “ქრისტიანში” გულისხმობს ქართველებს, ხოლო “უსჯულოში” მაჰმადიანებს “და მოვიდნეს იგინი უსჯულონი გაღმართ პირსა ალაზნისასა”, “და ესენიცა ჯუარშემოსილნი ქრისტიანეთა ერნი, მსახურნი სანატრელისა მის დედოფლისანი...“, “მაშინ ძლევაშემოსილთა ერთა ქრისტიანეთა დევნა უყვეს უსჯულოთა მათ და განაბნივნეს და ახოცნეს ყოველნი საცთურნი მათნი” (დოდორქელი 2007: 388-389).

ისევე როგორც არაბთა ბატონობის პერიოდში, საქართველოს პოლიტიკური დეზინტეგრაციის პირობებში შექმნილი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების აზრი მდგომარეობდა ქრისტიანული რელიგიისადმი ქართველების ერთგულების აუცილებლობაში. საუბრობს რა ბახტრიონის აჯანყების მოთავეთა თავგანწირვის მნიშვნელობაზე ქართველებისათვის, ბესარიონ ორბელიშვილი აღნიშნავს

“ხოლო ამათ ნეტართა ადრევე სიკუდილი შეურაცხ-ეყო, რამეთუ ვიდრე დღეინდელად დღედმდე, ვითარცა უწყით, ყოველთა სარწმუნოებაჲ ქრისტესი და

მართლმადიდებლობაჲ წმიდისა სამებისაჲ განემტკიცების ჩუენ შორის და სისხლითა მათითა ყუავის ეკლესიანი ჩუენნი, რამეთუ არა თუ ერთისა და ორისა ძმისათვის, არცა ათისა და ოცისათვის, გინათუ ასისა და ათასისათვის დასხნეს სულნი თვისნი, არამედ მსგავსად მხსნელისა ჩუენისა აურაცხელთა და ბევრეულთა ერთათვის და სრულიად საქართველოსათვის თავნი თვისნი სიკუდილად გასცნეს და იხსნეს იგინი. რამეთუ უკეთუმცა ესე არა ქმნილ იყო, სრულიადმცა აღხოცილ იყო ჩუენ შორის ქრისტეანობაჲ" (ორბელიშვილი 2007: 483).

ჰაგიოგრაფიული ხასიათის თხზულებები ხელს უწყობდა ქართულ ეთნოსში ისტორიული მეხსიერების, როგორც იდენტიფიკაციური მახასიათებლის განვითარებას. ქეთევან დედოფალი, ლუარსაბ მეფე, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, ბიძინა ჩოლოყაშვილი, ადამიანები რომელთაც ამ პერიოდის ქართული იდენტობის ძირითადი მახასიათებლისათვის – ქრისტიანობისათვის თავი გასწირეს გახდნენ საერთო ქართული მეხსიერების კუთვნილება, ქართველის, იგივე ქრისტიანის სიმბოლოები, ისევე როგორც – თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის სახელები იყო ერთიანი ქართული სახელმწიფოს სიმბოლო ქართული ეთნოსის მეხსიერებაში.

შუა საუკუნეებში რელიგიური ფაქტორი მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ქორწინების ინსტიტუტზე საქართველოში. მაგალითად, ქართლში არსებობდა გარკვეული წინაპირობები ჯვრისწერასთან დაკავშირებით, რაშიც იკვეთება ეკლესიის როლი და გავლენა მოსახლეობაში. ქორწინებისათვის აუცილებელი იყო ნეფისათვის რეკომენდაცია გაეწია მისივე სოფლის მოძღვარს პატარძლის სოფლის მოძღვართან, რათა ხელი არ შეშლოდა გვირგვინის კურთხევას. იმ შემთხვევაში, თუ სასიძოს მსგავსი ნებართვა არ ექნებოდა ჯვრისწერა არ ჩატარდებოდა. ვინაიდან ჯვრისწერა ძირითადად ქალის სოფელში ტარდებოდა, ვაჟი ვალდებული იყო წარედგინა მოწმობა მღვდლისათვის. "ჯვრისწერის ეს მოწმობა ეკლესიას სჭირდებოდა იმისათვის, რომ ოფიციალურად გაეფორმებინა ქორწინების აქტი, გაეგო სასიძოს წლოვანება, სარწმუნოება, ასრულებდა თუ არა ქრისტიანული მოძღვრების ნორმებს და სხვა" (მაჩაბელი 1978: 12).

სხვადასხვა კუთხის მოსახლეობაში ქორწინების ერთ-ერთ ამკრძალავ ფაქტორს წარმოადგენდა რელიგიური განსხვავება, განსაკუთრებით ქრისტიან და მაჰმადიან მოსახლეობაში (იველაშვილი 1999: 28). ქართველები ძირითადად მხოლოდ თავისიანზე ქორწინდებოდნენ. თავისიანში კი მართლმადიდებელი ქრისტიანი იგულისხმებოდა. ისლამურ გარემოში არსებობისა ეთნოსის წევრებისათვის ეთნიკურ წარმოშობაზე მეტად რელიგიურ კულთვნილებას ჰქონდა მნიშვნელობა, ვინაიდა ის უფრო გამოკვეთავდა "ჩვენ ჯგუფს" "ისინი ჯგუფისაგან". შესაბამისად თუ ქართველი რელიგიას შეიცვლიდა ითვლებოდა, რომ მან ქართველობა დაკარგა (საქართველოს... 2010: 83).

ჯვრისწერა წარმოადგენდა ერთ-ერთ მექანიზმს რომლის მეშვეობით ეკლესია ცდილობდა ქართული იდენტობის გაძლიერებას. "ქართველს უფლება არ ჰქონდა ეთხოვა ან გაჰყოლოდა სხვა ერის კაცს, თუ ის მართლმადიდებელი ქრისტიანი არ იყო.." ამასთან, უფრო დასაშვებად ითვლებოდა, უცხო სჯულის ქალის მოყვანა ქრისტიანის მიერ, ვიდრე სხვა ტომისა და სჯულის წარმომადგენელზე გათხოვება, ვინაიდან ამ შემთხვევაში ქალს უხდებოდა ქმრის სახლში შესვლა და სარწმუნოების შეცვლა" (მაჩაბელი 1978: 23).

აღნიშნულიდან ჩანს, რომ ეკლესია და ზოგადად საზოგადოება მიუღებლად არ თვლიდა სხვა ეროვნების ადამიანებზე ქართველთა დაქორწინებას, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ჯვრისწერა შედგებოდა, ანუ წყვილი მართლმადიდებლურად იქნებოდა მონათლული. ამიტომ, უფრო დასაშვები იყო, რომ ქართველ მამაკაცს მოეყვანა სხვა ეროვნების ქალი, ვიდრე ქართველი ქალი გაჰყოლოდა სხვა ეროვნების მამაკაცს, რადგან პირველ შემთხვევაში მართლმადიდებლური ოჯახი იქმნებოდა, ხოლო მეორე შემთხვევაში ქალი იცვლიდა რელიგიას.

ეკლესია ჯვარს სწერდა მხოლოდ მართლმადიდებლებს და მხოლოდ ჯვარდაწერილები ითვლებოდნე კანონიერ ცოლქმრად, შესაბამისად, ჯვრისწერის რიტუალი ხელს უწყობდა ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში (მაჩაბელი 1978: 25).

საერო ხელისუფლება იაზრებდა ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნების საკითხში ქრისტიანობის დიდ მნიშვნელობას და ხელს უწყობდა ეკლესიის როლის გაზრდას ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრებაში. შესაბამისად, ჯვრისწერის გარეშე ქორწინებას კრძალავდა საერო ხელისუფლებაც. 1782 წლის დოკუმენტში – "განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა", რომელიც ერეკლე მეფის შვილს და არაგვის საერისთავოს მმართველს ვახტანგ ბატონიშვილს ეკუთვნის წერია: "თუ ვისმე უქორწილოდ ქალი ჰყავდეს მოყვანილი ცოლად, ან ახლავ ჯვარი უნდა დაიწეროს იმ ქალზედ და ან ახლავ ხელი უნდა აიღოს. თუ შეუტყევით, რომ რომელსაც ქალი წინ მოყუანილი ცოლად ჰყოლია და იმაზედ ჯვარდაუწერელი ყოფილა, იმას ჩვენზედ შეცოდებასავით მოვკითხავთ, და ქალის პატრონი, რომლიც თავის ქალს ჯვარდაუწერელს მისცემს, იმასაც ავად მოვეპყრობით. ჯვარდუწერლად ქალის შინ მიყვანა არ იქნება" (საქართველოს... 1920: 193).

ამ დოკუმენტში აქცენტი არის რელიგიაზე და არა წარმოშობაზე გაკეთებული, რადგან "შუა საუკუნეებში არსად და არც საქართველოში ეთნიკურობას ყურადღებას არ აქცევდნენ, მთავარი საერო და სასულიერო წრეებისათვის რელიგიურობა იყო" (თოფჩიშვილი 2013-ა: 56).

მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესია საქართველოში ქართულენოვანი იყო, ეკლესიებში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე ხორციელდებოდა და დამწერლობაც, ბუნებრივია ქართული იყო. შესაბამისად, მართლმადიდებლური ქრისტიანობის გავრცელება მოსახლეობაში ავტომატურად იწვევდა ქართული იდენტობის მარკერების – ენის და დამწერლობის გავრცელებას, რაც ქართული ე. წ. "ჩვენ ჯგუფის" იდენტობის გაძლიერებას ემსახურებოდა.

1801 წელს რუსეთის იმპერიამ მოახდინა საქართველოს ანექსია. ქვეყნის ისტორიაში დადგა ახალი ეტაპი რაც აისახა ქართველთა ეთნიკურ იდენტობაზეც. რუსეთის ხელისუფლება საქართველოში ცდილობდა ქართველი ხალხის ეთნიკურად და სულიერად გათიშვას. შემოიღეს რუსული კანონები, როგორც სასამართლო სისტემაში ასევე მმართველობის სისტემაში.შეიცვალა

ქვეყნის მართვის სისტემაც. სამეფო ხელისუფლება გაუქმდა და ქვეყანა დაიყო თბილისის და ქუთაისის გუბერიებად, ოფიციალურად აღარსად იხსენიებოდა ქვეყნის სახელი "საქართველო". 1811 წელს გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და აიკრძალა ქართული წირვა-ლოცვა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ნაწილი გახდა. სკოლებიდან განიდევნა ქართლი ენა, ქართველი მაჰმადიანები ცხადდებოდნენ არაქართველებად (თოფჩიშვილი 2008: 83).

შეიქმნა საქარველოს საექზარქოსო, რომლის მეშვეობით იმპერიის ხელისუფლება ცდილობდა ქრისტიანული რელიგიის გამოყენებას ქართველების ასიმილაციისათვის (ხუციშვილი 1987; 20). საქართველოს ტერიტორიაზე ღვთისმსახურება ძირითადად რუსულ ენაზე წარმოებდა. ქართული ენა ეკლესიებიდან იდევნებოდა, რაც მოსახლეობაში იწვევდა ეკლესიისადმი გაუცხოებას, ვინაიდან მათ არ ესმოდათ რუსულ ენაზე განხორციელებული წირვა-ლოცვა და გალობა. აღნიშნულის გამო ქართული ეკლესია იდგა ეროვნული ხასიათის დაკარგვის საფრთხის წინაშე (პავლიაშვილი 1996; 191).

ქართველი საზოგადო მოღვაწეები, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ აუცილებელად უნდა შენარჩუნებულიყო მტკიცე კავშირი ეკლესიასა და მოსახლეობას შორის ძალიან აფასებდნენ ქართული სამღვდელოების როლს განათლების საქმეში (გოგებაშვილი 1952: 173).

რთული მდგომარეობის მიუხედავად ქართველი სასულიერო პირები ხელს უწყობდნენ სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ქართველებს მიეღოთ განათლება მშობლიურ ენაზე და ზიარებოდნენ ქართულ კულტურას, რითაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქართულ საზოგადოების ეროვნული შეგნების ჩამოყალიბება-განვითარებაში (პავლიაშვილი 1996: 201).

1917 წლის 12 (25) მარტს საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია გამოაცხადა. აღდგა ქართულენოვანი ღვთისმსახურება. ეკლესიები გადავიდა საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში. ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა ქართული ეროვნული იდენტობის გაძლიერებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. 1918 წლის 26 მაისს

საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ქართულ ეთნოსში გაიზარდა ერთიანობის შეგრძნება, რისი ერთ-ერთი მიზეზიც ქვეყნის ერთიანობის დაშლის და დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხის განცდა იყო.

1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ ქვეყანაში დამყარდა საბჭოთა წყობილება.. საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია საბჭოთა კავშირის პერიოდშიც შეინარჩუნა, მაგრამ ფაქტობრივად უკიდურესად შეზღუდული იყო თავისი ფუნქციების განხორციელებაში. საბჭოთა პერიოდში იდევნებოდა რელიგიური შეხედულებები, აკრძალული იყო ეკლესიაში სიარული და ეკლესია-მონასტრებს საბჭოთა ხელისუფლება ან აუქმებდა ან ანგრევდა.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1991 წლის 26 მაისი), ქართულმა ეკლესიამ თანდათან აღიდგინა საკუთარი გავლენა და მნიშვნელობა ქართულ სახელმწიფოში. 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით თანამედროვე საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა 83,9%-ს (3 666 233 კაცი) თავს მართლმადიდებლად მიიჩნევს (საქართველოს... 2003: 132). შესაბამისად, ლოგიკურია, რომ დღეს ქვეყნის მოსახლეობაში საქართველოს ეკლესიას ძალიან მაღალი ნდობა აქვს. "სახეზეა ქართული ეკლესიის მნიშვნელობის ზრდა პოლიტიკურ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ ყოფაში. ყველა დიდი რელიგიური დღესასწაული ოფიციალურადაა აღიარებული დასვენების დღეებად, საქართველოს პატრიარქი ესწრება ყველაზე მნიშვნელოვან სახელმწიფო ღონისძიებებს იქნება ეს პარლამენტის გახსნა თუ პრეზიდენტის ინაუგურაცია. სამღვდელოება, როგორც წესი, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ყველა მოვლენის მონაწილეა" (ხუციშვილი 2010;670).

სახელმწიფოსა და ეკლესიის უფლებები თანამედროვე საქართველოში გამიჯნულია ერთმანეთისაგან, არსებული საკონსტიტუციო შეთანხმების საფუძველზე. ამასთან, ქვეყნის კონსტიტუციაში აღიარებულია ქართული ეკლესიის განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის.

კონსტიტუციის მეცხრე მუხლის თანახმად:

“1. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.

1. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.”

ჯვარი, როგორც ქრისტიანობის სიმბოლო მრავალი სახელმწიფოს დროშ ზე არის გამოსახული. ევროპაში ჯვრის გამოსახულება გვხვდება ისლანდიის, დანიის, ნორვეგიის, შვედეთის, ფინეთის საბერძნეთის და დიდი ბრიტანეთის დროშებზე (ასევე ბრიტანეთის შემადგენლობაში გაერთიანებული პოლიტიკური და ადმინისტრაციული ერთეულების ირლანდიის, შოტლანდიის და ინგლისის დროშებზე). საქართველოს დროშაზე ჯვრის გამოსახვა უნდა მივიჩნიოთ არამხოლოდ საქართველოს ისტორიულ წარსულში და თანამედროვე ცხოვრებაში ქრისტიანული რელიგიის დიდი მნიშვნელობის დასტურად. საქართველო თავისი კულტურით, ფასეულობებით ევროპული ცივილიზაციის შემადგენელი ნაწილია და ევროპული პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული სივრცისაკენ სწრაფვა ქართული ეროვნული იდენტობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს. ქედან გამომდინარე სწორედ ამის გამოხატულებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს საქართველოს დროშაზე გამოსახული ქრისტიანული სიმბოლო – ჯვარი.

როგორც აღინიშნა საქართველოს გერბზე გამოსახულია წმინდა გიორგი, რომელსაც ტრადიციულად ქართულ კულტურაში, გამორჩეული ადგილი უკავია, წმინდა გიორგი ითვლება საქართველოს მფარველად. მის სახელზე პირველი ეკლესია საქართველოში IV საუკუნიდან არსებობს. IX საუკუნიდან წმინდანისადმი თაყვანისცემა განსაკუთრებულ მასშტაბებს იძენს.

საქართველოში წლის განმავლობაში ოფიციალურად ორჯერ აღინიშნება წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი დღესასწაული – 6 მაისს და 23 ნოემბერს, თუმცა არსებობს წმინდანისადმი მიძღვნილი სხვა დღეობებიც. გველეშაპთან მებრძოლი წმინდა გიორგი ტრადიციულად გამოსახული იყო საქართველოს სამეფო (ბაგრატიონთა) საგვარეულო გერბზე (გუჯეჯიანი 2010;379-80).

ისტორიულად ცნობილია, რომ წმინდა გიორგის თვლიან ქართველები ბრძოლებში შემწედ და მფარველად და შესაბამისად, ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებას მას უმადლიან. მათ შორის ისტორიაში ყველაზე ცნობილ ისეთ მნიშვნელოვან ბრძოლაში როგორიც არის დიდგორის ბრძოლა. ქართლის ცხოვრებაში დაცული ცნობით დიდგორის ბრძოლაში ქართველებს წმინდა გიორგი მფარველობდა: "...წმინდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თჳთ იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგჳითხრობდეს სასწაულსა ამას მთავარ-მოწამისა გიორგისსა" (ქც 1955;341).

ასეთ პირობებში, როდესაც ქართული მოსახლეობის უმეტესობა თავს მართლმადიდებლად მიიჩნევს ბუნებრივია, რომ დასახელებული ქრისტიანული სიმბოლოები წარმოადგენენ ქართული ეროვნული იდენტობის მნიშვნელოვან მარკერებს, მაგრამ თანამედროვე საქართველოს საზოგადოებაში, რომელიც მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური საზოგადოება არის, ხდება ამ სიმბოლოების განზოგადება სახელმწიფო დონეზე და საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მიერ ქართული სახელმწიფო სიმბოლიკის გაზიარების პირობებში, ხდება ცნება "ქართველი"-ს განზოგადება და "გაფართოვება". ყალიბდება ახალი "ჩვენ ჯგუფი", რომელშიც მოიაზრება საქართველოს ყველა მოქალაქე, რომელიც ქართული იდენტობის მახასიათებლებს – ქართული ენა, ქართული სახელმწიფო სიმბოლიკა, საქართველოს ტერიტორია, – აღიქვამს, როგორც საკუთარს, მშობლიურს.

ცნობილია, რომ ენა, როგორც ეთნოსის თვითმყოფადობის ერთ-ერთი მახასიათებელი, ყალიბდება ეთნოსის ჩამოყალიბებასთან ერთად.

სახელმწიფო ენა განიხილება, როგორც სამოქალაქო იდენტობის ერთ-ერთი კომპონენტი. სახელმწიფო ენის ცოდნა ხელს უწყობს ქვეყანაში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებში სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებას, ვინაიდან უმჯობესდება მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობა, იზრდება კომუნიკაციის ხარისხი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა შორის, და შესაბამისად, მცირდება ეთნიკური პრობლემების ალბათობა. სახელმწიფო ენის ცოდნის შემთხვევაში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს ეძლევათ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში უფრო აქტიური მონაწილეობის საშუალება, შესაძლებელი ხდება მათი ინტეგრირება ერთიან სოციუმში.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში განსაზღვრულია სახელმწიფო ენის სტატუსი. მერვე მუხლის თანახმად "საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე აფხაზური."

ქართული ენა წარმოადგენს ქართული ეთნოსის უმნიშვნელოვანეს იდენტიფიკაციურ მახასიათებელს, მაგრამ ამავე დროს, როგორც სახელმწიფო ენა არის სამოქალაქო იდენტობის მარკერიც.

§2. სამოქალაქო იდენტობასთან დაკავშირებული სირთულეები და თავისებურებანი საქართველოში მცხოვრებ ჯგუფებში.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფებში არსებობს სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა მათი კომპაქტური ჩასახლების ადგილებში. ამ მხრივ გამორჩეულია ორი რეგიონი სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონი სადაც ქართველების გვერდით კომპაქტურად ცხოვრობენ შესაბამისად სომეხი და აზერბაიჯანელი ეროვნების საქართველოს მოქალაქეები. მოსახლეობს ნაწილი ვერ საუბრობს და ვერ წერს სახელმწიფო ენაზე. რეგიონებში ზრდასრული მოსახლეობის უმეტესობამ არ იცის ქართული ენა. აქედან გამომდინარე გარდა სირთულეებისა სამსახურებრივ წინსვლასთან დაკავშირებით სახელმწიფო სტრუქტურებში, თავს იჩენს სხვა სახის პრობლემები, როგორიცაა საქართველოს კანონმდებლობისა და საკუთარი

უფლებების არცოდნა, პრობლემები საგადასახადო ორგანოებთან. (კომფლიქტებისა... 2010:13)

ენობრივი ბარიერი ართულებს ეთნიკური უმცირესობების კომუნიკაციას ეთნიკურ ქართველებთან და ამცირებს მათი ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირების შესაძლებლობას და პირიქით, ზრდის ეთნიკური უმცირესობების იზოლაციას (დუნდუა 2009: 152)

ენის პრობლემა განაპირობებს ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის შეუძლებლობას, რის გამოც ისინი იძულებულნი არიან უმაღლესი განათლება მეზობელი ქვეყნების სასწავლებლებში მიიღონ, ხოლო იქაური დიპლომი თავის მხრივ პრობლემას ქმნიდა საქართველოში დასაქმებასთან დაკავშირებით (დუნდუა 2009: 155).

2002 წლის აღწერის მონაცემები იძლევა საშუალებას გამოვლინდეს ეთნიკურ უმცირესობებში ქართული ენის ცოდნის ხარისხი. ამ მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ საქართველოში ქართულად საუბარი შეუძლია 3 899 371 ადამიანს, რაც შეადგენს მთელი მოსახლეობის 89.2%. რაც შეეხება კონკრეტულად ეთნიკური უმცირესობებს (საერთო რაოდენობა 710 362), ქართულად საუბარი შეუძლია 238 715 ადამიანს, რაც შეადგენს უმცირესობების 33.6%, ხოლო მთელი მოსახლეობის 5.4%-ს

1. სომეხი 87 106
2. აზერბაიჯანელი 43 958
3. რუსი 37 582
4. ოსი 29 716
5. აფხაზი 1 222
6. დანარჩენები 39 131

ირკვევა, რომ აზერბაიჯანულ მოსახლეობასთან შედარებით სადაც ქართულის პროცენტული მაჩვენებელი 26.5%-ია სომხური მოსახლეობაში, რომელიც აზერბაიჯანელების შემდეგ სიდიდით მეორე ადგილზეა პირველებთან შედარებით ორჯერ უფრო მეტი ადამიანი ფლობს ქართულ ენას – 34.9%, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ სომხების დიდი რაოდენობა ცხოვრობს დიდი

ქალაქებში, მათ შორის დედაქალაქში (8%). ქართული ენის ცოდნის ყველაზე მეტი მაჩვენებელი გამოვლინდა საქართველოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ რუსებში და ოსური ეთნოსის წარმომადგენლებში, რადგან მათი უმეტესი ნაწილი დედაქალაქში ცხოვრობს, ხოლო დანარჩენი განსახლებულია დისპერსიულად საქართველოს ტერიტორიაზე.

როგორც აღინიშნა ქართულ ენაზე საუბრობს ეთნიკური უმცირესობის 33.6% (238 715 მოქალაქე). აღწერის მონაცემებიდან ირკვევა, რომ ეთნიკურ უმცირესობაში შედარებით დაბალი პროცენტული წილის მიუხედავად სომხები ქართული ენის ცოდნის კუთხით ასევე პირველ ადგილზე არიან 36.5%-ით (87 106), ხოლო აზერბაიჯანელები, რომლებიც რაოდენობრივად ყველაზე მეტნი არიან ეთნიკურ უმცირესობებში, ამ მხრივ მეორე ადგილს იკავებენ – 18.4% (43 958), შემდეგ მოდიან რუსები 15.7% (37 582), ოსები 12.5% (29 716), აფხაზები 0,5% (1 222) (საქართველოს... 2003: 119).

ეთნიკურ უმცირესობებში ქართული ენის მცოდნეთა სრული რაოდენობიდან ქალაქში ცხოვრობს 162 292 ადამიანი (68%), ხოლო სოფელში 76 423 (32%). აღწერის მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ქართული ენის მცოდნეთაგან ქალაქში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების რაოდენობა ორჯერ მეტია სოფელში მაცხოვრებლებთან შედარებით (საქართველოს..2002: 122).

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთაგან ვინც ქართულ ენას მშობლიურ ენად მიიჩნევს (სულ 18 582 ადამიანი) 13 169 კაცი (70.9%) არის ქალაქის მაცხოვრებელი ხოლო 5 413 კაცი (29.1%) სოფლის, ამის მიზეზია ის გარემოება, რომ სოფლისგან განსხვავებით ქალაქის მოსახლეობას (იგულისხმება ეთნიკური უმცირესობები) უფრო ხშირად უწევთ კონტაქტი ქართველებთან რის გამოც ქართულ ენას უფრო მეტად სწავლობენ (საქართველოს...2002: 122).

ეთნიკური უმცირესობა	სულ	%	ქალაქი	%	სოფელი	%
საუბრობს ქართულად	238 715	100%	162 292	68%	76 423	32%
ქართული მშობლიური ენაა	18 582	100%	13 169	70.9%	5 413	29.1%

საქართველოში მცხოვრებ სომხებს აქვთ სხვადასხვა ხასიათის პრობლემები, მათ შორისაა კომუნიკაციის საშუალებების და დასაქმების პრობლემა, მაგრამ ძირითად პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფო ენის საკითხი. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის სახელმწიფო ენა, რაც აფერხებს მათ ინტეგრაციას ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში. დედაქალაქში ენის პრობლემა ნაკლებად არსებობს, რისი მიზეზიც არის, არეალი, რომელშიც მოსახლეობა ცხოვრობს. ენის ცოდნაზე გავლენას ახდენს ისეთი სოციალური ფაქტორები, როგორიცაა სამეზობლო, სანათესაო, სამეგობრო, ურთიერთობები ეთნიკურ ჯგუფებს შორის, შერეული ოჯახების არსებობა. განსხვავებული სიტუაციაა კომპაქტურ დასახლებებში, სადაც მოსახლეობა ერთმანეთში საუბრობს მშობლიურ ენაზე (ავაქიანი 2012).

როგორც აღინიშნა სახელმწიფო ენის ცოდნის თვალსაზრისით განსხვავებული მდგომარეობა დედაქალაქისა და რეგიონი. თბილისში თითქმის არ არის ენის პრობლემა. თბილისსა და რეგიონის მოსახლეობა შორის არის ასევე მენტალური სხვაობა. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ თბილისში უფრო ძირძველი ქალაქური მოსახლეობაა, ქალაქური ტრადიციების მატარებელი. ხოლო ჯავახეთში კომპაქტურად მცხოვრები სომხებს, რომლებიც ძირითადად XIX საუკუნეში თურქეთიდან არიან ჩამოსახლებულნი არ აქვთ ხშირი ურთიერთობა სხვა კულტურის მატარებელ ხალხთან. "აქ მოსახლეობა მეტყველებს მშობლიურ ენაზე, რადგან სხვა პოლიტიკურ-ინფორმაციული სივრცეში ცხოვრობდნენ და ეხლაც საინფორმაციო სივრცე არ არის სრულიად ქართული, ხოლო ახალციხეში, უფრო ნაკლებად არის ეს პრობლემა (სტეპანიანი 2012). ამის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ ახალციხეში აღწერის მონაცემებით არსებული 46 134 მცხოვრებიდან სომხები მოსახლეობის მხოლოდ

36,5%-ს შეადგენენ, მაშინ როცა ქართველების წილი 61,7%-ია (საქართველოს...2003: 115),

კომპაქტურად დასახლებულ ეთნიკურ ჯგუფთა განსახლების არეალი ძირითადად სასოფლო ტიპის დასახლებებია და ძლიერ სუსტი ურბანიზაციით ხასიათდება. "ურბანული ცენტრი კი თავისი არსით მობილობის ინტენსიფიკაციას და ქმედით სოციალურ გაცვლას უზრუნველყოფს" (აბაშიძე ზ. 2010: 22).

სახელმწიფო ენის პრობლემა, სომხების სრულფასოვან სამოქალაქო ინტეგრაციას აფერხებს, რასაც თან სდევს საინფორმაციო იზოლაცია, დასაქმების და კომუნიკაციის საშუალებების პრობლემა, რაც ძირითადად არსებობს კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობაში.

ახალქალაქის სოფლებში ქართველები თანასოფლელ სომხებს სომხურად ესაუბრებიან, რადგან ამ სომხებმა ქართული არ იციან. ენის არცოდნის ერთ-ერთი მიზეზად საინფორმაციო ვაკუუმი სახელდება, თუმცა აღსანიშნავია, რომ უფროსმა თაობამ იცოდა ქართული და მოსახლეობამ კვლავ, რომ შეითვისოს ეს ენა აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან სათანადო პირობების შექმნა (24 საათი 2006: 1).

მიუხედავად ამისა ირკვევა, რომ საბჭოთა კავშირის შემდეგ, განსაკუთრებით კი ბოლო 10 წლის განმავლობაში არის გარკვეული ტენდენცია ქართული ენის შესწავლის, მოსახლეობაში მატულობს სახელმწიფო ენის შესწავლის სურვილიც (ავაქიანი 2012).

მოსახლეობა მიხვდა, რომ სახელმწიფო ენის ცოდნის გარეშე შეუძლებელია საქართველოში უმაღლესი განათლების მიღება და სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახურის დაწყება, გართულებულია სავაჭრო ურთიერთობები საქართველოს სხვა მოსახლეობასთან (კონფლიქტებისა... 2010:14).

ქართული ენის სწავლების დონე განსაკუთრებით დაბალია რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთის სოფლები), სადაც "ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების

დაახლოებით 30% თავად არ ფლობს საკომუნიკაციო ქართულს" (რეინტეგრაციის... 2010: 15).

ამასთან აღსანიშნავია, რომ განსხვავებით ქვემო ქართლისაგან, სადაც მოსახლეობას ქართული ენის გაძლიერებული სწავლება აუცილებლად მიაჩნია ჯავახეთის მოსახლეობაში არსებობს აზრი, რომ სომხურ ენას ამ რეგიონში მიეცეს ფუნქცია, ამასთან მას ისედაც აქვს არაფორმალური ფუნქცია, მაგრამ ფორმალურად ექმნება პრობლემა. უნდა მიეცეს მოსახლეობას საშუალება მიიღონ ქართული ინფორმაცია სომხურ ენაზე, რომ ჩაერთონ ქართულ საინფორმაციო სივრცეში. ანუ სომხური ენის მეშვეობით ჩაერთონ ქართულ საინფორმაციო სივრცეში, რომ აზროვნება ამ ადამიანის იყოს ქართული. მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება, რომ ადგილობრივ ჩინოვნიკს მაინც მისწერონ სომხურად, ხოლო ცენტრალურ ხელისუფლებას უკვე ქართულ ენაზე გადათარგმნილი გაეგზავნოს წერილი (სტეპანიანი 2012).

ქართულ საზოგადოებაში ბერძნული მოსახლეობის ინტეგრაციის ხარისხი განსხვავებულია სხვადასხვა რეგიონში. ძირითადად ეს დამოკიდებულია იმ ფაქტზე კომპაქტურად ცხოვრობენ ბერძნები, თუ არა და რამდენად ხშირია კავშირურთიერთობა სხვა მოქალაქეებთან, ამასთანავე გასათვალისწინებელია ინფორმაციაზე წვდომის პრობლემა.

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში ძირითადი პრობლემა საქართველოში მცხოვრები ბერძნებისათვისაც სახელმწიფო ენის საკითხია. საქართველოს ბერძნებში არსებობს სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობის განცდა. "ბუნებრივია, როგორ შეუძლია ადამიანს ინტეგრირება საზოგადოებაში, თუ ვერ ფლობს იმ ენას, რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობს? ეს გამორიცხულია, მაგრამ ეს იყო ერთგვარი გარდამტეხი მომენტი, როცა ისინი ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებდნენ ამას, მათ შორის რუსები, ბერძნები... ამას არ ჰქონდა ობიექტური მიზეზები. კი ბატონო, იყო საბჭოთა პერიოდი, აუცილებელი იყო რუსული ენის ცოდნა და ა. შ., მაგრამ 22 წელია ვცხოვრობთ დამოუკიდებელ საქართველოში. რუსეთთან და საბჭოთა კავშირთან არაფერი საერთო არ გვაქვს. შეიძლება ეს გაგრძელებულიყო დავუშვათ 3-5 წელი, მაგრამ არა 22 წელი და

დღესაც ვერ ფლობენ ქართულ ენას. აი სხვა ქვეყანაში როგორ არის დავუშვათ? იგივე საბერძნეთში, რას ქვია ბერძნული ენა არ იცოდე და ისე იმუშავო სადმე?" (მიტიტანიდი 2012).

ამ კუთხით განსხვავდება სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ბერძნების მდგომარეობა. კახეთში მცხოვრები ბერძნებს ქართული ენის პრობლემა არ აქვთ, ისინი ძირითადად ქართულენოვანნი არიან. ინტეგრაციის ნაკლები ხარისხით გამოირჩევა ბერძნებით კომპაქტურად დასახლებული წალკის რაიონის სოფლები. აქ მცხოვრებმა ბერძნებმა ცუდად იცოდნენ ქართული ენა, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. საბჭოთა კავშირის დროს აქ არსებობდა რუსული სკოლები და მოსახლეობაც შესაბამისად უფრო რუსულ ენას სწავლობდა ვიდრე ქართულს (მიტიტანიდი 2012)..

კირიაკ იორდანოვი, რომელიც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს ბერძენთა ფედერაციას, აღნიშნავს, რომ საქართველოს ბერძნების 99%-ს მიღებული ჰქონდა რუსული განათლება, 50%-მა იცოდა პონტოური ბერძნული (აჭარაში, აფხაზეთში, ქვემო ქართლში), რომელიც ბერძნული ენის დიალექტია და დაახლოებით 50%-მა არ იცოდა ბერძნული და საუბრობდა თურქულად. ამის გამო ქართული ენის ცოდნის პრობლემა ყოველთვის არსებობდა. "5-10 წლის წინ ჩვენ ვამბობდით, რომ ანტენები ჩვენს სოფლებში მიმართულია ბაქოსკენ, ერევნისაკენ, რუსეთისაკენ და თურქეთისაკენ. ხალხი არ უსმენს თბილისს, როგორ შეიძლება ინტეგრირება, საკუთარი პოლიტიკის გატარება ასეთ სიტუაციაში?" – აღნიშნავს რესპოდენტი. ისი განმარტებით ამჟამად რეგიონში (ქვემო ქართლში) ქართულ ენაზე უფრო ახალგაზრდობა საუბრობს, რომლებიც ქართველ ბავშვებთან ერთად დადიან სკოლაში, მაგრამ ასაკოვანი ხალხი ნაკლებად ფლობს ქართულს და ამ მხრივ მათი ინტერესიც ნაკლებია (იორდანოვი 2012).

სახელმწიფო ენის არცოდნის და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე არაინფორმირებულობის გამო, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა არ იციან საკუთარი უფლებები და მოვალეობები. საინფორმაციო საშუალებების (გაზეთი, ტელევიზია) ნაკლები გავრცელება, სოციალურ-პოლიტიკურ

პროცესებში მოსახლეობის გაუცნობიერებლობას იწვევს, რაც წარმოადგენს დაბალი სამოქალაქო აქტივობის მიზეზს (კონფლიქტებისა... 2010: 13).

საქართველოში მცხოვრები ბერძნების ნაწილი თვლის, რომ მიუხედავად ქართველებთან სიახლოვისა, მენტალიტეტის და სხვა მახასიათებლებით მსგავსებისა, ბერძნებში პოლიტიკური ამბიციების გამოვლენა ქართველების მხრიდან ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევდა. ბერძნები იზოლირებულად გრძნობდნენ თავს კომპაქტურ დასახლებებშიც და არ იყვნენ წარმოდგენილნი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში. აქედან გამომდინარე მათში იქმნებოდა წარმოდგენა, რომ ქვეყანაში დარჩენას აზრი არ ჰქონდა, რადგან მათ შვილებს პერსპექტივა არ ექნებოდათ. რაც შეეხება ენას ბერძნებში არსებობს ენის სწავლის სურვილი, მაგრამ არ არის შესაბამისი აქტიურობა სახელმწიფოს მხრიდან. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო წაახალისებს ბერძნებს და ისინი წარმოდგენილნი იქნებიან სხვადასხვა სტრუქტურებში მათ მეტი სურვილი ექნებათ ენის სწავლის (იორდანოვი 2012).

მეორე მოსაზრების თანახმად საქართველოში ბერძნების ინტეგრაციის მხრივ ბარიერები არ არსებობს და პროცესი უნდა იყოს ორმხრივი, არამარტო სახელმწიფოს მხრიდან არამედ ბერძნული მოსახლეობის მხრიდანაც უნდა იყოს აქტიურობა, მათ უნდა ჰქონდეთ ინტერესი ენის შესწავლის, რადგან ენის არცოდნა ბუნებრივად ბარიერს წარმოადგენს და იმ შემთხვევაშიც კი, თუ სახელმწიფო, რომელიც ვალდებულია იზრუნოს ეთნიკურ ჯგუფებში სახელმწიფო ენის გავრცელებაზე, არ იჩენს სათანადო ყურადღებას ამ მხრივ, მაშინ თავად მოსახლეობა უნდა ეცადოს ისწავლოს სახელმწიფო ენა და ჩართული იყოს სამოქალაქო პროცესებში. "საერთოდ ადამიანმა, არ უნდა იფიქროს და ელოდოს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოდან. ხშირად გაიგებთ, რომ სახელმწიფო ვალდებულია, ეხლაც ლაპარაკობენ ამას კი ბატონო, დავუშვათ ის ვალდებულია, მაგრამ თუ არ ასრულებს თავის ვალდებულებას სახელმწიფო, შენ შეიძლება დაიღუპო ხო? თვითონ უნდა ისწავლოს ადამიანმა" (მიტიტანიდი 2012).

ქართულ საზოგადოებაში ასურელების ინტეგრაციის ხარისხი დამოკიდებულია მათი განსახლების ადგილზე და გარემოზე. ზესტაფონში

ცხოვრობენ ასურელები, რომელთაც ქართული დაბოლოების გვარები აქვთ იონანიძე, იჭვაიძე, იგავაიძე, აზვანიშვილი, მაგრამ არის გამონაკლისი გვარიც – ბიტკაში, რომელიც სხვაგან ქართველად არის მოხსენიებული. აღსანიშნავია, რომ ქართული დაბოლოების ასურელთა გვარები ძირითადად დასავლეთ საქართველოში, ზესტაფონსა და სამტრედიაში არის დაფიქსირებული, რაც მიუთითებს იმაზე, რომ დასავლეთ საქართველოში ასურელთა ინტეგრაციის ხარისხი შედარებით მაღალია ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში (აბესაძე 1999: 73).

"საქართველოში ასირიელების საუკუნოვანი თანაცხოვრობის შედეგად ბოლო წლებში მოხდა ინტეგრაცია ქართველებთან, რაც გამოიხატა მათ მიერ სალაპარაკო ქართული ენის დამკვიდრებაში და ასირიელების გვარსახელების ქართულ ყაიდაზე გაფორმებაში "ძე" და "შვილის" წარმოებით. დიდი როლი ითამაშა იმანაც, რომ ეს მოხდა დასავლეთ საქართველოს შედარებით უფრო ეროვნულ გარემოში, და, რაც მთავარია, იმანც, რომ ასირიელები ქრისტიანები არიან (მართლმადიდებლები და კათოლიკები), მაგრამ ეროვნული თვითშეგნებით მაინც ასირიელებად დარჩნენ" (აბესაძე 1999: 75).

საქართველოს ასურელების სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ ენობრივი ინტეგრაციის კუთხით – 80% ინტეგრირებულია საზოგადოებაში, რადგან ფლობენ ქართულ ენას. ამ მხრივ პრობლემა არსებობს გარდაბნის რაიონში, სადაც მცხოვრები ასურელები სწავლობდნენ რუსულ სკოლაში. თბილისშიც არის ეს პრობლემა თუმცა ნაკლებად. ასურელთა იმ ნაწილმა, რომელიც არ იყო საქართველოს საზოგადოებაში ინტეგრირებული დატოვა ქვეყანა (ადამოვი 2012).

სახელმწიფო ენასთან დაკავშირებული უმნიშვნელო სირთულეების გამო ამ ჯგუფის წევრებს არ აქვთ სპეციფიური სოციალ-ეკონომიკური პრობლემები და ცხოვრობენ იმავე პირობებში, როგორც საქართველოს სხვა მოქალაქეები. დღევანდელი ასურელების ძირითადი პრობლემა არის ეროვნული თვითმყოფადობის შენაჩუნება. ხშირია, შერეული ოჯახები, მიმდინარეობს ასიმილაციის პროცესი, პრობლემას წარმოადგენს ენის და კულტურის შენარჩუნება (ადამოვი 2012).

სახელმწიფო ენის ცოდნასთან დაკავშირებით ასევე ნაკლები პრობლემები აქვთ საქართველოში მცხოვრებ ოსებს, რომელთა 78,1% ფლობს ქართულ ენას (საქართველოს...2003: 119).

საქართველოში მცხოვრები ოსების ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, 2008 წლის შემდეგ გარკვეული ცვლილებებია ამ მიმართულებით. "ოსები ნაკლებად არიან წარმოდგენილი მთავრობაში და სხვა დაწესებულებებშიც იშვიათად თუ ნახავ, რომ მუშაობს ოსი. ომის შემდეგ ალბათ უფრო იგნორირება ხდება, რომაქ არიან ოსები" (გაგლოევი 2012).

XX საუკუნის 90-იანი წლების კონფლიქტამდე, ოსებს ჰქონდათ ოსური თეატრი, საკუთარი კულტურის ცენტრები, როგორც დედაქალაქში ასევე რაიონებშიც. საქართველოში არის ოსური სკოლების პრობლემა, არ არის კულტურის ცენტრი, თეატრი. ოსების აზრით აღნიშნული კულტურული ცენტრების არსებობა ხელს შეუწყობს მათ თვითმყოფადობის შენარჩუნებაში და შეაფერხებს ასიმილაციის პროცესს "ეს სიდიდეებია სწორედ ის ბირთვი, რომ ერმა შეინარჩუნოს თავისი ტრადიციები, თვითგანვითარდეს და როცა ეს არ არის არავითარი ინტეგრაციაც არ ხდება. ამ პირობების გათვალისწინების გარეშე ინტეგრაციის პროცესი შეიძლება გადაიზარდოს ასიმილაციიაში. ასეც ხდება დღეს. მხოლოდ ჩვენ არ გვაქვს ეს ცენტრები, სომხებს აქვთ, აზერბაიჯანელებს აქვთ. სიდიდით მესამე ჯგუფი საქართველოში ოსები არიან, თუმცა ისეთი ახლობელი და მშობლიური ქართველებისათვის (გაგლოევი 2012).

კახეთში და შიდა ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელები ქართველებთან ინტენსიური ურთიერთობის შედეგად მეტ-ნაკლებად ინტეგრირებულნი არიან (კომახია 2008ა: 248). თელავის რაიონში არის სოფელი სადაც ქართულად უფრო კარგად საუბრობენ ვიდრე აზერბაიჯანულად. ბოლნისის რაიონის სოფელ "აქაურთა"-ში ქართველები და აზერბაიჯანელები ერთად ცხოვრობენ. სოფელში არის, როგორც ქართული ასევე აზერბაიჯანული სკოლა. ქართულ სკოლაში აზერბაიჯანელებიც დადიან ისევე როგორც აზერბაიჯანულში ქართველები (სულეიმანოვი 2012). მსგავსი გარემო დაახლოებას უწყობს ხელს ადამიანებს შორის.

ქართული ენის არცოდნის გამო აზერბაიჯანული მოსახლეობა დროულად

ვერ იღებს საინფორმაციო სიახლეებს. საქართველოში სუსტად არის განვითარებული აზერბაიჯანული მედიასაშუალებები, როგორც სატელევიზიო ასევე ბეჭდვითი მედია. 1921 წლიდან თბილისში გამოდის გაზეთი "გიურჯისტანი", თუმცა ოპერატიულობის ხარისხი დაბალია. "საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე მხოლოდ კვირაში ერთხელ გადის აზერბაიჯანულენოვანი საინფორმაციო გამოშვება, რის გამოც ქვემო ქართლის აზერბაიჯანელები უფრო უცხოურ (ძირითადად აზერბაიჯანულ, თურქულ, რუსულ) მედიასაშუალებებზე არიან ორიენტირებულნი" და შესაბამისად უფრო ინფორმირებულნი არიან აზერბაიჯანში მიმდინარე პროცესების შესახებ, ვიდრე საქართველოში არსებული ვითარების თაობაზე (კომახია 2008ა: 128).

განსხვავება ქალაქში და სოფლად მცხოვრებ აზერბაიჯანელებს შორის არის ის, რომ ქალაქში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს არ აქვთ სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემა, ხოლა კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენა ცუდად იციან. აზერბაიჯანელთა წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დასვეს საკითხი, რომ არაქართულ სკოლებში ყოფილიყო ქართული ენის სწავლება, მაგრამ იმ პერიოდში რუსული ენა წამყვანი იყო და ამ საკითხს ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევდა (სულეიმანოვი 2012).

ქვემო ქართლის აზერბაიჯანული მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა არ იცის ქართული ენა. ადგილობრივი მოსახლეობა მხოლოდ აზერბაიჯანულად საუბრობს და სხვა ეთნოსების წარმომადგნებთან საუბრისას რუსული ენის გამოყენებაც კი უჭირთ (კომახია 2008ა: 127).

სასკოლო განათლებასთან დაკავშირებით აზერბაიჯანელებში არის მოსაზრება, რომ საქართველოს აზერბაიჯანულ სკოლებში ზოგი საგნები უნდა ისწავლებოდეს ქართულად, დანარჩენი კი აზერბაიჯანულად. მაგალითად, ლიტერატურა და ენა არ უნდა იყოს ქართულად, აზერბაიჯანული ენაზე სწავლება უნდა დარჩეს აზერბაიჯანულ სკოლებში, ოღონდ განსაკუთრებული პროგრამით უნდა ისწავლებოდეს ქართული ენა, როგორც სკოლაში, ასევე სკოლის გარეთ (სულეიმანოვი 2012).

აზერბაიჯანელებში არსებობს ქართული ენის შესწავლის სურვილი. “საკომუნიკაციო ენა უნდა არსებობდეს, ეს არის ფუნდამენტური, არ უნდა ვმეტყველებდეთ ჩვენ მესამე ქვეყნის ენაზე, რუსული იქნება, ინგლისური, თუ გერმანული” (ხალილოვი 2012).

ქართული ენის შესწავლის პროცესი აზერბაიჯანულ სკოლებში სუსტად მიმდინარეობს, მაგრამ მთავარი მათი აზრით თვითონ პროცესის დაწყებაა. საქართველოს აზერბაიჯანელებში სოციალ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემები ისეთივეა, როგორიც ქართული მოსახლეობის. ნიშანდობლივია, რომ სომხურ-აზერბაიჯანული სათვისტომოების ურთიერთობა საქართველოს პირობებში უნიკალურ ხასიათს ატარებს. მიუხედავად იმისა, რომ ომის პირობებში არიან აზერბაიჯანი და სომხეთი, საქართველოში ამ ორ ჯგუფს შორის დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. ”ჩვენ ვთანამშრომლობთ საქართველოს სომხურ სათვისტომოსთან, კერძოდ ვან ბაიბურთთან, რომელიც გაზეთის რედაქტორია ისევე, როგორც მე. როცა დაიწყო დაპირისპირება, ჩვენ შევიკრიბეთ და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ არ გამოვაქვეყნოთ საქართველოში არცერთი მასალა გამომდინარე სომხეთის ინტერესიდან, გამომდინარე აზერბაიჯანის ინტერესიდან და ჩვენ ვიცხოვროთ იმ ქვეყნის ინტერესით, სადაც ვართ” (სულეიმანოვი 2012).

ამგვარი მოქალაქეობრივი პოზიციის მიზეზად თავად ქართველების მხრიდან ქვეყანაში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება მიიჩნევა (სულეიმანოვი 2012).

აზერბაიჯანელებს აწუხებთ მშობლიური ენის სწავლის პრობლემაც. ცალკეულ შემთხვევებში აზერბაიჯანელი ბავშვები კარგად სწავლობენ ქართულ ენას, მაგრმ ცუდად ითვისებენ სხვა საგნებს მშობლიურ ენაზე, შესაბამისად არის პედაგოგების პრობლემა (ხალილოვი 2012).

აზერბაიჯანულ სოფლებში ქართული ენის შესწავლასთან დაკავშირებითაც არსებობს გარკვეული პრობლემა, რადგან ქართულის პედაგოგები არ მიდიან იქ სამუშაოდ. “მთავარი არის სკოლა. სკოლა თუ იქნება მაღალ დონეზე სახელმწიფო იქნება გამართული” (სულეიმანოვი 2012).

ბოლო სამი წლის მანძილზე აზერბაიჯანულ მოსახლეობაში თვალსაჩინოა მზარდი ტენდენცია ქართულენოვან სკოლებში სასწავლებლად ბავშვების მიყვანასთან დაკავშირებით. მაგალითად, მარნეულის რაიონში ქართულენოვანი სკოლების ძირითადი კონტიგენტი არის ეთნიკურად აზერბაიჯანელი ბავშვები. აზერბაიჯანელებში ყოველთვის იყო ქართული ენის შესწავლის სურვილი და შესაბამისად მშობლები ქართულ სკოლებს ირჩევენ (ხალილოვი 2012).

სახელმწიფო ენის ცოდნის პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია საქართველოში მცხოვრებ რუსებში – 55.5% (საქართველოს...2003: 119), მაგრამ ამ მხრივ გამონაკლისია დუხობორთა რელიგიური ჯგუფი.

1990-იან წლებში, ქვეყანაში არსებული არასახარბიელო სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო სხვა ეთნოსების წარმომადგენლების მსგავსად რუსმა დუხობორებმაც, ძირითადად ახალგაზრდებმა, დატოვეს საქართველო და რუსეთში გაემგზავრნენ სამუშაოდ. ბევრი მათგანი დარჩა იქ, შესაბამისად, საქართველოში უფრო ასაკოვანი ხალხია დარჩენილი. დუხობორების ძირითადი სასაუბრო ენა რუსულია და ერთგვარად იზოლირებული ცხოვრების სტილის გამო ამ ჯგუფში ყოველთვის არსებობდა ქართული ენის პრობლემა. "აქამდე ისინი არ გრძნობდნენ აუცილებლობას ესწავლათ ქართული ენა, რადგან მათი დიდი ნაწილი მუშაობდა ახალქალაქში არსებულ სამხედრო ბაზაზე, როცა ამ ბაზამ შეწყვიტა არსებობა (იგულისხმება რუსული ბაზა. პ.კ.) დუხობორები ენის არცოდნის გამო დარჩნენ სამსახურის გარეშე და შესაბამისად ამანაც გამოიწვია მათი მიგრაცია საქართველოდან საზღვარგარეთ" (ბეჟენცევა 2012).

საქართველოში მცხოვრები იეზიდები კარგად ფლობენ სახელმწიფო ენას, ვინაიდა წლების განმავლობაში ძირითადად დედაქალაქში და მსხვილ ქალაქებში ცხოვრობენ. მიუხედავად ამისა არსებობს სამოქალაქო იდენტობის პრობლემა. იეზიდებში სამოქალაქო ცნობიერება არ არის მაღალ დონეზე, რადგან თემში არსებობს სამოქალაქო განათლების და ზოგადად სამოქალაქო ფასეულობების დეფიციტი. საქართველოში მიმდინარე პროცესებში იეზიდების მონაწილეობა მინიმალურია, რაც გამოწვეულია იმით, რომ იეზიდები თვლიდნენ

მათთვის მთავარი იყო საკუთარი სარწმუნოების და კულტურის, ფოლკლორის ელემენტების და სხვა მახასიათებლების შენარჩუნება, ხოლო ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში მონაწილეობის მიღება მათთვის ნაკლებმნიშვნელოვანი იყო (მირზოევი 2012).

საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის მიზანი სწორედ სამოქალაქო საზოგადოების, სამოქალაქო ნაციის ჩამოყალიბებაა, რაშიც მთავარი როლი ეკისრება სწორედ ქართულ სახელმწიფოს, რომლის ძირითადი იდენტიფიკაციური მარკერები საქართველოს ავტოქთონი მოსახლეობის – ქართველი ერის ეროვნულ მახასიათებლებს წარმოადგენს.

დემოკრატიულ სახელმწიფოში კანონით არის დაცულია სიტყვის და აზრის თავისუფლება, შესაბამისად, ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას საკუთარი დადებითი ან უარყოფითი შეხედულება სხვა ეთნოსების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიის პირობებში მსგავსი ქმედებები (იგულისხმება სიტყვიერი ან წერილობითი ხასიათის, ეთნიკურ თემატიკაზე ცალკეული ეთნისათვის მიუღებელი მსჯელობა) დასაშვებია, იმიტომ რომ ასეთ პირობებში თვით დემოკრატიის კრიტიკაც ნებადართულია, სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში მონაწილე ჯგუფების ურთიერთობაზე ეს გარემოება უარყოფითად მოქმედებს, რადგან ეთნიკურ უმცირესობებში ჩნდება ეჭვი თავად ინტეგრაციის პროცესის – ერთიანი საზოგადოების შექმნის იდეის მიმართ. ეთნიკურმა გუფებმა შეიძლება მიიჩნიონ, რომ საზოგადოება არ არის მზად სამოქალაქო იდენტობის ფორმირებისათვის და შესაბამისად, ბუნებრივია, რომ გაუჩნდებათ იმედგაცრუება ინტეგრაციის პროცესის პერსპექტიულობასთან დაკავშირებით.

იზოლაციური ცხოვრების სტილი იწვევს გაუცხოებას განსაკუთრებით რეგიონებში, როგორიცაა ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი, როდესაც ეთნიკურ ჯგუფები ერთმანეთისაგან ტრადიცულად იზოლირებულად ცხოვრობენ, მათ შორის ურთიერთცნობადობა, ნდობის მაღალი ხარისხი ვერ იქნება და შესაბამისად აქ მცხოვრები ეთნოსები საკუთარი მისამართით ეთნიკურ ნიშნით

გამოხატულ ნეგატიურ ქმედებებს (ქცევებს, განცხადებებს, ნეგატიური შინაარსის ინფორმაციის გავრცელებას) უფრო მწვავედ აღიქვამენ.

რეგიონის ქართული და არაქართული თემები თვითიზოლირებულნი არიან ერთმანეთისაგან და ახასიათებთ სხვა ეთნოსის წარმომადგენელთა მიუღებლობა. ეთნიკურ ნიადაგზე შედარებით ნაკლები პრობლემები არსებობს რეგიონის ქალაქებში და ეთნიკურად შერეულ დიდ სოფლებში/დაბებში, თუმცა მხოლოდ სიტყვიერი ფორმით (კონფლიქტებისა... 2010: 13)

ვინაიდან ურბანული ტიპის დასახლებებში კი კომუნიკაცია მეტია და შესაბამისად, ურთიერთგაგებაც მეტია ეთნიკურ ერთობებს შორის, რაც ნეგატიური ეთნიკური სტერეოტიპების არსებობას ვერ გამორიცხავს, მაგრამ შედეგი უფრო პროგნოზირებადია და კონტროლირებადია, ვიდრე რეგიონებში არსებულ ეთნიკური ნიშნით განსხვავებულ და ერთმანეთთან გაუცხოებული დასახლებების შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ მრავალეთნიკურ რეგიონებში, განსაკუთრებით ქვემო ქართლში, საკრებულოსა და არასამთავრობო სექტორში უმეტესად ქართველები არიან დაკავებულნი (კონფლიქტებისა... 2010: 2).

საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში ეთნიკური უმცირესობები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი, რის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, მაგრამ საქართველოში მცხოვრებ ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებს ნაკლებად აქვთ სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემა.

საქართველოს რესპუბლიკის შრომის კოდექსის მეორე მუხლის მიხედვით აკრძალულია ადამიანის დისკრიმინაცია და განმარტებულია ქმედებების ერთობლიობა, რაც შეიძლება ჩაითვალოს დისკრიმინაციად:

“3. შრომით ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური

ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო.

4. დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსებიბ შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით."

მიუხედავად ამისა, ცნობილია საქართველოში ეთნიკური უმცირესობების მიმართ, როგორც ხელისუფლების ასევე ჩვეულებრივი მოქალაქეების მხრიდან დისკრიმინაციული დამოკიდებულების კონკრეტული შემთხვევები. მაგალითად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლის მაღალ თანამდებობაზე დანიშვნას ხელს უშლის, როგორც სახელმწიფო ენის პრობლემა, ასევე გარკვეული წინააღმდეგობა ქართველების მხრიდანაც (კონფლიქტებისა... 2010: 13). "ხუთი-ათი წლის წინ, თუ მხოლოდ უმცირესობებთან გვჭირდებოდა მუშაობა, მოხდა ისე, რომ უმცირესობები "გავაღვიძეთ", უხეშად, რომ ვთქვათ მივიყვანეთ კარებამდე, მაგრამ იქითა მხრიდან კარებს არავინ აღებს, იმიტომ, რომ მათ აქვთ შიშები, აქვთ სტერეოტიპები, სტიგმა, ინფორმაციის სიმცირე და დეფიციტი, რაც გარკვეული რისკების და შიშების ფაქტორს ქმნის" (მირზოევი 2012).

გამომდინარე იქიდან თუ როგორია ჩვენი კულტურული თვისებების ერთობლიობა, ჩვენში ესა თუ ის კულტურული მოვლენა ან ხალხი იწვევს სიმპათიას ან ანტიპათიას და შესაბამისად ვირჩევთ მათთან ურთიერთობის მანერას, ტიპს, წესსა და ფორმას (ქვლივიშვილი 2006: 40).

საზოგადოებაში ამ კულტურული თვისებების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საჯარო განათლების სისტემა და მასმედია.

მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოში ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამები საჯარო მოხელეთა ცნოებიერების

ასამაღლებლად ეროვნულ უმცირესობათა უფლებებსა და ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან მიმართებაში (რეინტეგრაციის... 2010: 8).

რაც შეეხება კოლექტიურ მეხსიერებას, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მორის ჰალბვაკის აზრით "კოლექტიური მეხსიერება" არის საერთო მეხსიერება, რომელიც გადაიცემა და კონსტრუირდება ჯგუფის მიერ" (ქვლივიშვილი 2006: 26).

ევიათარ ზერუბაველის განმარტებით "კოლექტიური მეხსიერება საერთოა ოჯახებისათვის, ეთნიკური ჯგუფებისათვის, ნაციებისათვის და სხვა მნემონიკური ერთობებისათვის. კოლექტიური მეხსიერება არის არა, რომელიმე წევრის პირადი მოგონებების უბრალო ერთობლიობა არამედ ერთობის ყველა წევრის, როგორც ჯგუფის საერთო მოგონებების ერთობლიობა." (ქვლივიშვილი. 2006: 26)

კონკრეტული ჯგუფის ისტორიული მეხსიერების ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ელიტებს, შესაბამისად შეიძლება ჯგუფის მიერ გაზიარებული ისტორია განსხვავდებოდეს რეალურისაგან. ხშირ შემთხვევაში ეთნოკონფლიქტების წყაროს დაპირისპირებული მხარეების მიერ სწორედ ისტორის განსხვავებული ინტერპრეტაცია წარმოადგენს. სმითის აზრით ძალადობას, მართალია, აქვს სხვადასხვა მიზეზი, მაგრამ მათგან უმთავრესი მაინც "ეთნოისტორიის არათანაბარი განაწილებაა" (სმითი 2008: 206).

საკუთარი ისტორიის ცოდნა და კოლექტივში ისტორიული მეხსიერების ჩამოყალიბება ხდება შესაბამისი ტექსტების ანალების, ქრონიკების, სკოლის სახელმძღვანელოების, როგორც ინსტრუმენტების მეშვეობით (ქვლივიშვილი. 2006. 26).

ეთნოსის კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ისტორიკოსებს, რომლებიც თავის მხრივ, სოციალურ დაკვეთას ასრულებენ (ქვლივიშვილი 2006: 27).

თანამედროვე საზოგადოების ისტორიული მეხსიერების ერთ-ერთი მთავარი წყარო ისტორიული ტექსტები და სახელმძღვანელოებია. შესაბამისად, ნათელია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისას სასკოლო განათლებას განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრეგა.

2007 წელს საქართველო-სომხეთის საზღვარზე ქართულმა მხარემ არ შემოუშვა ქვეყანაში სომხეთიდან მომავალი სახელმძღვანელოებით დატვირთული მანქანები. იგივე განმეორდა 2008 წელს, როცა საქართველოს სახელმწიფო საზღვართან მოსული მანქანები იმავე მიზეზით უკან გააბრუნეს. საქმე ეხებოდა კონკრეტულად ისტორიის სომხურ სახელმძღვანელოებს, რომლებშიც არსებული ინფორმაცია ქართული მხარის განცხადებით ხელს უწყობდა სამცხე-ჯავახეთის სომხურ მოსახლეობაში სეპარატისტული განწყობების ზრდას, რაც თავის მხრივ ხელს უშლის საქართველოში მცხოვრები სომხების საზოგადოებასთან ინტეგრაციას (აბაშიძე თ. 2010: .61).

სომხეთის ისტორიის VIII კლასის სახელმძღვანელოსი წერია, რომ საქართველომ სომხეთთან ომი დაიწყო იმის გამო, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონი საკუთარ საზღვრებში მოექცია, რომელიც 1918 წელს შედიოდა სომხეთის შემადგენლობაში, ხოლო განსხვავებული ინფორმაციაა საქართველოს ისტორიის IX კლასის სახელმძღვანელოში, სადაც ომის დაწყების საბაბად სამცხე-ჯავახეთის მიმართ სომხური მხარის პრეტენზიებია დასახელებული (აბაშიძე თ. 2010: 61).

სომხური ისტორიის სწავლა ჯავახეთის მოსახლეობის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო 80-იანი წლების ბოლოს, როცა ჯავახეთის რეგიონში ნაციონალისტური გამოსვლები მიმდინარეობდა (აბაშიძე თ. 2010: 62).

სომხეთის ისტორიის საქართველოს სომხურ მოსახლეობაში პოპულარიზაციის მიზნით სამცხე-ჯავახეთში ყოველ 28 მაისს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშრიებით ეწყობა სომხეთის ისტორიის ოლიმპიადა, რომელშიც გამარჯვებულ მოსწავლეები ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე უფასოდ ისწავლის (აბაშიძე თ. 2010: 65).

განსხვავებები კოლექტიური მეხსიერებაში არსებობს საქართველოში მცხოვრებ სხვადსხვა ეთნოსებს შორის. მათ შორის აღსანიშნავია, რომ კონკრეტულად როგორც აზერბაიჯანელებში, ასევე სომხებში არსებობს ისტორიის განსხვავებული აღქმა, რაც თავის მხრივ რიგ საკითხებში არ ემთხვევა საქართველოს ისტორიას, კონკრეტულად კი წინააღმდეგობაში მოდის ქართულ საისტორიო სახელმძღვანელოებში (მათ შორის სასკოლო) ასახულ ფაქტებთან.

ისტორიულ საკითხებთან დაკავშირებით პრობლემატური სიტუაციაა ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებში. მაგალითად, აზერბაიჯანელი ისტორიკოსები სამცხე-ჯავახეთის მუსულმან ქართველებს ასევე აზერბაიჯანებად მოიხსენიებენ, ხოლო საბჭოთა ხელისუფლებას ადანაშაულებენ იმაში, რომ მათ დაკარგეს "აზერბაიჯანის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქი ბორჩალო" (თოფჩიშვილი 2007: 169).

XX საუკუნეში, კერძოდ კი ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი აზერბაიჯანს მიუერთეს. აზერბაიჯანული ხელისუფლების მხრიდან საინგილოში ადგილი ჰქონდა ადგილობრივი ქართული მოსახლეობის არაქართველად გამოცხადებას, ხოლო მაჰმადიან ქართველებს აზერბაიჯანელებად აცხადებდნენ. საქართველოს იტორიისადმი განსხვავებული მიდგომა აქვთ აზერბაიჯანელ ისტორიკოსებს, რაც გამოიხატება საქართველოს ტერიტორიების ნაწილის ისტორიულად აზერბაიჯანულ მიწებად გამოცხადებაში (საქართველოს... 2010: 168).

ქართული ისტორიული წყაროებისაგან განსხვავებული ინფორმაციაა აზერბაიჯანულ ისტორიულ სახელმძღვანელოებში.

მაგალითად, VIII კლასის აზერბაიჯანის ისტორიის სახელმძღვანელოში აღწერილია თუ როგორ ცდილობენ ქართველები აზერბაიჯანის დაპყრობას:

“ტიფლისი არანის (დღევანდელი ზერბაიჯანის ნაწილი) ქალაქი იყო. მართალია, ბარდასა და დერბენტზე პატარა იყო, მაგრამ ქალაქი ყვაოდა და უმდიდრესი იყო” (აბაშიძე თ. 2010: 64).

“ქართველმა და სომეხმა ფეოდალებმა ბიზანტიის შუამავლობით თურქ-სელჩუკებთან საბრძოლველად ჯვაროსნებთან დაამყარეს კავშირი. ამით ცდილობდნენ კავკასიიდან გაეძევებინათ მუსლიმანური ფაქტორი და დაენაწილებინათ აზერბაიჯანული მიწები:”

“1120 წელს დავით IV თავს დაესხა შირვანს, გააცამტვერა ქალაქი გაბალადა, მისი შემოგარენი, წაიღო აზერბაიჯანის სიმდიდრე და წავიდა:”

ქალაქი თბილისი აზერბაიჯანელთა ქალაქად არის მოხსენიებული, რომელიც ქართველებმა დაიპყრეს.

“1122 წელს თბილისი ქართველების ხელში გადავიდა, 1166 წელს ქართველთა ჯარები თავს დაესხნენ ქალაქ დერბილს, რომელიც იმ დროს ელდენიზების სახელმწიფოს ეკუთვნოდა. მოკლეს 10 ათასი კაცი, ბავშვი და ქალები გააშიშვლეს და ტყვედ წაიყვანეს. მხოლოდ ქართველი ქალების პროტესტის შემდეგ დაუბრუნეს მათ სამოსი” (აბაშიძე თ. 2010: 63).

გარკვეული შეზღუდვების მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან, მსგავსი ხასიათის ინფორმაციის გავრცელება მაინც ხდება.

მაგალითად საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებში, აზერბაიჯანიდან გადმოდიან პედაგოგები და ბავშვებს აზერბაიჯანის ისტორიასა და გეოგრაფიას ასწავლიან (აბაშიძე თ. 2010: 65).

გამომდინარე აქედან, ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსებში, ყალიბდება აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, კონკრეტული ტერიტორია ეკუთვნის თუ არა იმ სახელმწიფოს სადაც ცხოვრობენ, თუ რომელიმე ეთნოსის ისტორიულ სამშობლოს. ასეთი შეხედულებები პოტენციური საფრთხის შემცველია სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისათვის.

ე. სმითის მიხედვით "სამშობლო ისტორიული მეხსიერების და ასოციაციების შესანახი ადგილია, ეს არის ადგილი, სადაც "ჩვენი" ბრძენები, წმინდანები და გმირები ცხოვრობდნენ, მოღვაწეობდნენ, ლოცულობდნენ და იბრძოდნენ. ყველაფერი ეს სამშობლოს უნიკალურობას სძენს, მისი მდინარეები, ზღვის სანაპიროები, ტბები, მთები და ქალაქები "საკრალური" – თაყვანისცემისა და ეგზალტაციის ადგილები ხდება, რომელთა რეალური მნიშვნელობა შეიძლება მხოლოდ ნაციის წევრებმა განიცადონ" (ქვლივიშვილი 2006: 32).

შესაბამისად, ყოველი ეთნოსის კავშირი გარკვეულ ტერიტორიასთან, რომელსაც ის ეთნოსი ისტორიულ სამშობლობდ თვლის, ემოციურ ხასიათს ატარებს, რაც იწვევს საწინააღმდეგო ინფორმაციისადმი ამ ეთნოსის წევრების მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას. მაგალითად, ჯავახეთის სომხების, როგორც არაადგილობრივი წარმოშობის ეთნოსის ისტორიაზე საუბარი, შესაბამისად, ამ მოსახლეობაში გარკვეულ გაღიზიანებას იწვევს (სომხები 2003: 47).

თანამედროვე მედია საშუალებები წარმოადგენენ კიდევ ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბების კუთხით. ეთნიკურ ჯგუფებში სახელმწიფოს და ერთმანეთის მიმართ ნეგატიური ან პოზიტიური განწყობების ჩამოყალიბებაში გარკვეულ როლს ასრულებენ მედიასაშუალებები, სადაც ხდება სხვადასხვა კონტექსტში ცალკეული ეთნიკური უმცირესობების წარმოჩენა (თაბაგარი 2011: 20).

რეგიონალური მედია მცირე ინტერესს იჩენს უმცირესობების თემებისადმი, ხოლო რამოდენიმე გაზეთში ხშირად იბეჭდება უმცირესობებისადმი ნეგატიური შინაარსის მასალები. საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობებიდან ყველაზე დიდი ყურადღება ეთმობა ეთნიკურ სომხებს და ძირითადად ტონი არის ნეგატიური. ხშირად ადგილი აქვს გაზეთებში ეთნიკური უმცირესობების ნეგატიურ ტონში გაშუქების ფაქტებს (თაბაგარი 2011: 12),

მსგავსი მიდგომები პირდაპირ და ნეგატიურად აისახება ეთნიკური უმცირესობების დამოკიდებულებებზე მედია საშუალებების მიმართ. მათი აზრით მედიაში არასათანადოდ შუქდება ეთნიკურ უმციერსობებთან დაკავშირებული

თემები, მათ შორის, კულტურული ცხოვრება, დღესასწაულები, სოციალური პრობლემები და სხვ. ჟურნალისტებს ძირითადი აქცენტი აქვთ გაკეთებული დრამატულ შემთხვევებზე, ვიდრე დადებით მოვლენებზე. ხოლო ეთნიკური უმცირესობებისათვის გამიზნული საინფორმაციო გადაცემების ენა გაუგებარია მათთვის.

§ 3. სახელმწიფო პოლიტიკა

XX საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში საქართველოში არსებული პრობლემების (ეთნოკონფლიქტები, ეკონომიკური, და სოციალური პრობლემები) გამო სახელმწიფო ვერ ახერხებდა ინტეგრაციული პოლიტიკის განხორციელებას.

საქართველოში 1980-იანი წლების დასაწყისიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ილია ჭავჭავაძის იდეალებს იდენტურად მოიაზრებოდა. ილიას ცნობილი ფრაზა "მამული, ენა, სარწმუნოება" (ტერიტორიის, განათლების და ტრადიციების ერთიანობა) გახდა ქართული ნაციონალიზმის შეუცვლელი ფორმულა (მაისაშვილი 2010: 22).

ამას გარდა, საბჭოთა იდენტობის ეთნიკური იდენტობით ჩანაცვლების პროცესმა თავისებური ასახვა ჰპოვა ქართულ მედიაში, კერძოდ – ბეჭდვურ მედიაში. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციების თითოეული ჟურნალ-გაზეთის სახელწოდება მოიცავდა იმ სიმბოლოებსა და ნიშნებს რაც ქართულ ეროვნული იდენტობისათვის იყო დამახასიათებელი. მაგალითად "საქართველო", "მამული", "ივერია", "თავისუფალი საქართველო" და ა. შ. (მაისაშვილი 2010: 14).

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, რომლის შედეგადაც ქვეყნის სათავეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალები მოვიდნენ, სახელს იცვლიან გაზეთები "კომუნისტი" (საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ორგანო) და "ახალგაზრდა კომუნისტი" (საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ორგანო) - ისინი მკითხველის წინაშე გამოდიან შემდეგი სახელწოდებებით "საქართველოს რესპუბლიკა" და "ახალგაზრდა ივერიელი". გაზეთების

სახელწოდებების ცვლილება ასახავს აქცენტის გადანაცვლებას არა მხოლოდ კატეგორიებში, არამედ დომინანტურ იდეოლოგიაშიც" (მაისაშვილი 2010: 14).

საუკუნეების მანძილზე სახელწოდებები "ივერია" (საქართველოს, ქართული ეთნოპოლიტიკური სიევრცის სინონიმი), "თავისუფალი საქართველო" (სახელმწიფოებრივი იდენტობა) "მამული" (ქართული სახელმწიფოს ტერიტორია) ითვლებოდა ქართული იდენტობის შემადგენელ ნაწილებად და დღემდე ასახვას პოვებს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ზოგადად ადამიანის და კონკრეტულად საქართველოში მცხოვრებთა უფლებები განსაზღვრულია პირველ რიგში საქართველოს კონსტიტუციით, რომლიხ მეთოთხმეტე მუხლში აღნიშნულია

“ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხეულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.”

კონსტიტუციის ოცდამეთვრამეტე მუხლში საუბარია საქართველოს მოქალაქეთა უფლებებზე

საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.”

შესაბამისად კონსტიტუციით დაცულია საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის უფლებები, მიუხედავად იმისა იქნება ის ქართველი თუ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი.

კონსტიტუციაში აღნიშნული პრინციპები ასახულია სხვადასხვა კანონებში, მაგალითად

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად “იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრხეს ქმნის.”

მესამე პუნქტის მიხედვით კი იკრძალება ისეთი პროგრამის გადაცემა, რომელიც დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს და მიმართულია ადამიანის სხვადასხვა მახასიათებელის მათ შორის რელიგიის და ეთნიკური კუთვნილების შეურაცხყოფისაკენ და არა ამ კუთხით არსებული პრობლემების ასახვისაკენ.

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 და მე-4 მუხლებში საუბარია დისკრიმინაციული მიდგომების დაუშვებლობაზე საგანმანათლებლო პროცესში.

იმავე პრინციპზეა საუბარი “პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველ პუნქტში და “ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-13 მუხლში.

“საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის მეთხუთმეტე მუხლში განსაზღვრულია სახელმწიფო მოხელედ ადამიანის მიღების პირობები, რომელთა თანახმად მოხელედ მიღების შემთხვევაში მოქალაქე ვალდებულია გარდა გამოცდილებისა ფლობდეს სახელმწიფო ენას. ანალოგიური მოთხოვნაა დადგენილი ამავე კანონში ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელისათვის.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში მცხოვრებთა გარკვეულმა ნაწილმა არ იცის სახელმწიფო ენა კონსტიტუციაში გათვალისწინებულია მათი უფლელბებიც. ოთხმოცდამეხუთე მუხლში წერია:

2. სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი. იმ რაიონებში,

სადაც მოსახლეობა არ ფლობს სახელმწიფო ენას, უზრუნველყოფილია სახელმწიფო ენის შესწავლისა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

2005 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა "ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ" ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება. საქართველომ აიღო ვალდებულება დაიცვას ეთნიკური უმცირესობების უფლებები ან იმ ადამიანების უფლებები, ვინც თავს მიაკუთვნებს რომელიმე ეთნიკურ უმცირესობას, ვინაიდან კონვენციის მესამე მუხლში წერია

"ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნული უმცირესობას, აქვს უფლება თავისუფლად აირჩიოს მას მოექცნენ თუ არა, როგორც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს და დაუშვებელია, რომ ამ არჩევანიდან ან ამ არჩევანთან დაკავშირებული უფლებებით სარგებლობიდან გამომდინარეობდეს რაიმე არახელსაყრელობა."

ამავე მუხლში აღნიშნულია, რომ ჩარჩო კონვენცია და შესაბამისად მასთან მიერთებული ქვეყანა, საშუალებას აძლევს პირებს რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნული უმცირესობებს, ინდივიდუალურად ან სხვებთან კავშირში თავისუფლად განახორციელონ ქმედებები, რომლებიც თანხვედრაშია კონვენციის პრინციპებთან.

საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, კონვენციას იურიდიული ძალა აქვს მხოლოდ იმ ტერიტორიაზე სადაც ვრცელდება საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია, ხოლო დანარჩენ ტერიტორიებზე იურისდიქციის აღდგენის შემდეგ გავრცელდება ჩარჩო კონვენციის მოქმედება.

ჩარჩო კონვენციაში არსებული პრინციპების მიხედვით საქართველო ვალდებულია დაიცვას ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების კანონის წინაშე თანასწორობა, ხელი შეუწყოს მათ საკუთარი კულტურის შენარჩუნებასა და განვითარებაში. ასევე სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ეთნიკური უმცირესობების ინტერესები და სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას მათი ასიმილაციის მცდელობა. მეხუთე მუხლში განსაზღვრულია ის

კონკრეტული მახასიათებლები, რომელთა პატივისცემა ევალება ხელმომწერ ქვეყანას.

“1. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეუქმნან აუცილებელი პირობები იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მათი კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის და მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის.”

ეროვნული უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარცო კონვენციისა და “შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 აგვისტოს 639 განკარგულების საფუძველზე შემუშავდა “შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა”, რომელშიც განსაზღვრულია სახელმწიფოს ხუთწლიანი სტრატეგია ექვსი ძირითადი მიმართულებით

1. კანონის უზენაესობა
2. განათლება და სახელმწიფო ენა
3. მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
4. პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა:
5. სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია:
6. კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება.

კონცეფციის მიზნები მოიცავს ტოლერანტობის და ურთიერთპატივისცემის გარემოს შექმნას ქვეყანაში მცხოვრებთა შორის, ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფას მათი კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობისას, უმცირესობების ეფექტიან მონაწილეობას ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში, განათლების ხელმისაწვდომობას, უმცირესობების კულტურის შენარჩუნება-განვითარებისათვის ხელის შეწყობას.

კონცეფციის მესამე ნაწილში საუბარია პრინციპებზე, სადაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი მომენტები, როგორიცაა პირთა

თავისუფალი არჩევანის უფლება მოექცნენ მათ როგორც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს თუ არა და მეორე მომენტია ინტეგრაციის პროცესსა და უმცირესობების იდენტობის დაცვას შორის ბალანსის შენარჩუნება და ინტეგრაციის პროცესის ნებაყოფლობითი ხასიათი.

კონცეფციის მეოთხე ნაწილში საუბარია საჯარო მოსამსახურეთა ცნობიერების ამაღლებაზე უმცირესობების უფლებებსა და ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან მიმართებაში, ხოლო კონცეფცია სრულდება უმცირესობათა კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი ამოცანების ჩამონათვალით, სადაც საუბარია საზოგადოებაში ცოდნის გაღრმავებაზე უმციერსობათა კულტურისა და რელიგიის მიმართ და ამ უკანასკნელთა ქვეყნის ღირებულებად წარმოჩენაზე.

მართალია, კონცეფციის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს "ეროვნული უმცირესობების, კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის შესახებ საზოგადოების ცოდნის გაღრმავება და ქვეყნის კულტურულ ღირებულებებად მათი წარმოჩენა", მაგრამ ამ მიზნით გაიმართა რიგი ღონისძიებები მხოლოდ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (რეინტეგრაციის 2010: 43).

თუ ამ ორ მომენტს არ ჩავთვლით სადაც ზოგადად არის საუბარი უმცირესობების მიმართ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე კონცეფცია სრულად ორიენტირებულია მხოლოდ ეთნიკურ უმცირესობებზე მათ საჭიროებებზე, რაც მნიშვნელოვანია, მაგრამ კონცეფციაში საუბარი არაა ეთნიკურ უმრავლესობის წარმომადგენლებში სხვადასხვა უმცირესობის მიმართ არსებული ნეგატიური დამოკიდებულების აღმოფხვრის მექანიზმებზე.

პარარელურად გაიზარდა სახელმწიფოს აქტიურობა განათლების კუთხით. 2009 წლის 31 მარტს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, დამტკიცდა ქართული ენის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 2009 წლიდან სამინისტრო ახორციელებს ქვეპროგრამას - "სკოლამდელი განათლების საფეხურზე ქართული ენის სწავლის ხელშეწყობა არაქართულენოვან რეგიონებში" (რეინტეგრაციის... 2010: 9)

რეინტეგრაციის სამინისტროს 2010 წლის ანგარიშიდან ირკვევა, რომ არაქართულენოვანი სკოლებისათვის წარმომადგენელი მოსწავლეებისათვის 2011 წელს დასრულდა სასკოლო სახელმძღვანელოების ნაწილის თარგმნა, კონკრეტულად ნათარგმნია II, III, VII, VIII, IX, XI, XII კლასების სახელმძღვანელოები, ხოლო 2009-2010 აკადემიური წლისათვის არაქართულენოვანი სექტორების მოსწავლეებს VII, VIII, X, XI, XII, კლასების მოსწავლეებს უსასყიდლოდ დაურიგდათ ისტორიისა და გეოგრაფიის ორენოვანი სახელმძღვანელოები, ასევე "ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელო" გადაეცათ I-IV კლასის მოსწავლეებს (რეინტეგრაციის... 2010: 10).

2009-2010 წლებში კონკურსში გამარჯვებული პედაგოგები გადიან მომზადებას შემდეგ დისციპლინებში "ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდიკა", "ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობა" და აზერბაიჯანული ან სომხური ენის შემსწავლელ სწრაფ კურსს, რის შემდეგაც ნაწილდებიან სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში (რეინტეგრაციის... 2010: 16).

ქართული ენის უფასო შესწავლის პროგრამების მეშვეობით ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეუძლია ისარგებლოს საკუთარი რაიონის მუნიციპალიტეტებში. რეგიონის სკოლებში ხორციელდება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა თუმცა ადგილობრივების აზრით დაბალია მისი ეფექტურობა და ეთნიკური უმცირესობები ითხოვენ, რომ ქართული ენის სწავლება დაიწყოს საბავშვო ბაღიდან (კონფლიქტებისა... 2010: 14).

2009 წლის ნოემბერში უმაღლესი განათლების კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე 2010-2011 სასწავლო წლიდან სახელმწიფო უმაღლესი სახწავლებლები ვალდებულები არიან მისაღები ადგილების საერთო რაოდენობის 5-5% აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი სტუდენტებისათვის გამოყონ, ხოლო იგივე მიდგომა განხორციელდება აფხაზ და ოს სტუდენტებზე (1-1%) 2012-2013 სასწავლო წლიდან. აბიტურიენტები მშობლიურ ენებზე აბარებენ უნარებს, ხოლო ქართულ ენის სწავლების ინტსნსიურ კურსს გადიან ერთი

წლის განმავლობაში და ამის შემდეგ აგრძელებენ მათ მიერ არჩეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლას (რეინტეგრაციის...2010: 12).

2010 წელს ზოგადი უნარების ჩაბარების შედეგად საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე – 178 აბიტურიენტმა, ხოლო სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე – 123 აბიტურიენტმა (რეინტეგრაციის...2010: 13)

"ჩვენ არაერთხელ ვამბობდით, რომ არაქართულენოვანი სკოლები პოტენციურ მიგრანტებს ზრდიან, რადგან საქართველოში უმაღლეს განათლებას ვერ მიიღებდნენ და ამიტომ გადიოდნენ საზღვარგარეთ. ანუ სახელმწიფო აფინანსებდა იმ სკოლას, რომელიც პოტენციურ მიგრანტს ამზადებდა. ამიტომ აუცილებელი იყო ამის გაკეთება" (ხალილოვი 2012).

საქართველოს აზერბაიჯანული თემის ინიციატივით აზერბაიჯანულ სკოლებში პირველი კლასიდან ისწავლება ქართული ენა (მანამდე მეორე კლასიდან იყო). "თუ ბაღში ასწავლიან ელემენტარულ სიტყვებს, პირველი კლასიდან უკვე უნდა დაიწყონ წერა, ენის სწავლა და შემდეგი კლასებიდან გადავლენ ენის ღრმად შესწავლაზე. საბჭოთა პერიოდში, რომლებმაც ისწავლეს ქართული, მათ იციან ილია, ვაჟა, აკაკი, მაგრამ დანარჩენმა მოსახლეობამ არ იცის" (სულეიმანოვი 2012).

საქართველოს აზერბაიჯანელები დადებითად აფასებენ ამ პროგრამას. მათი აზრით პროგრამა ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს, რომ დარჩნენ საქართველოში. შესაბამისად, შემცირდება მოქალაქეთა მასიური გადინება საზღვარგარეთ. "ჯავახიშვილში რომ სწავლობენ, სადაც ერთი წლის განმავლობაში შეისწავლიან ქართულ ენას და შემდეგ გააგრძელებენ სწავლას სასურველ ფაკულტეტზე, კურსდამთავრებულები უკვე საზოგადოებაში ახალი პოლიტიკის გამტარებლები და ახალი ამინდის შემნელები იქნებიან. ძალიან კარგია, რომ სკოლებში ისწავლება ქართული ენა, რადგან აბიტურიენტები უკვე თავისუფლად ჩააბარებენ უმაღლესში. პირველ პერიოდში ნაკლებად, მომავალში კი განვითარდება ეს პროცესი" (სულეიმანოვი 2012).

მათი აზრით მთავარია თვითონ კონცეფციის მიღება, რადგან ეს სახელმწიფოს ნების დემონსტრირებაა. სახელმწიფო აღიარებს, რომ აქვს ეს პრობლემა და აპირებს მის მოგვარებას (ხალილოვი 2012).

ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაციისაგან დასაცავად, აუცილებელია უმცირესობების ინფორმირებულობა მათ უფლებებსა და თავისუფლებათა შესახებ, რისთვისაც გამოიცა შესაბამისი კრებულები სახელწოდებით "ეროვნული უმცირესობების უფლებათა მარეგლამენტირებელი ნორმები საერთაშორისო სამართალში და საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში" და "საქართველოს კანონმდებლობა ეროვნულ უმცირესობათა შესახებ – ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე" (რეინტეგრაციის... 2010: 7). ეთნიკურ უმცირესობებს უნდა შეეძლოთ საკუთარ ენაზე ინფორმაციის მიღება. ასევე დანარჩენ ქართულ საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობების ცხოვრების, მათი პრობლემების შესახებ. ანუ უნდა გაკეთდეს შემეცნებითი ხასიათის გადაცემები. "ეს უნდა იყოს ორმხრივი პროცესი. მეც უნდა ვიცოდე ქართველებზე, ქართველებმაც უნდა იცოდენ აზერბაიჯანელებზე და ა. შ" (ხალილოვი 2012).

იმის გამო, რომ საინფორმაციო გამოშვებები უფრო ხელმისაწვდომი გამხდარიყო ეთნიკური უმცირესობებისათვის 2010 წლის 1 მარტიდან საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაიწყო ახალი ამბების გავრცელება სხვადასხვა ენებზე იმ რეგიონალური ტელევიზიების მეშვეობით, რომლებიც ფარავენ აფხაზი, ოსი, აზერბაიჯანელი და სომეხი ეროვნების მოქალაქეებით კომპაქტურად დასახლებულ ქვეყნის კუთხეებს (რეინტეგრაციის... 2010: 19).

ინტეგრაცია არის მუდმივი პროცესი, ორმხრივი პროცესი და მასში ჩართული უნდა იყოს არამარტო ეთნიკური უმცირესობა, რადგან ეს არის ზოგადად ქართული საზოგადოების პრობლემა, რომელიც საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ითვლება ტოლერანტულ ქვეყნად აუცილებელია მუშაობა ქართულ მოსახლეობასთანაც და არ მხოლოდ ეთნიკურ ჯგუფებზე ორიენტირება. სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებით საგანმათლებლო მუშაობის გაძლიერების მიზნით ჩნდება აუცილებლობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა

შესახებ ინფორმაცია შეტანილ იქნას სასკოლო სახელმძღვანელოებში, რათა ახალგაზრდები სკოლიდანვე მიეჩვიონ მრავალეთნიკურ საზოგადოებაში ცხოვრების წესებს, გაეცნონ საქართველოს მოქალაქის უფლებებს და მოვალეობებს.

ბოლო პერიოდში გააქტიურება შეინიშნება თავად აზერბაიჯანულ მოსახლეობაში. ახალგაზრდები ცდილობენ მიიღონ ხარისხიანი განათლება და იცოდენ საკუთარი უფლებები (ხალილოვი 2012).

სოციალ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემებიდან ქვემო ქართლის აზერბაიჯანელების შემთხვევაში იკვეთება სატყეო მასივების და მიწის გადანაწილების პრობლემა. მიწის პრობლემა ერთ-ერთი უმთავრესია აქაური მცხოვრებლებისათვის, რადგან აქაური აზერბაიჯანელების ძირითადი შემოსავლის წყარო სოფლის მეურნეობაა (ხალილოვი 2012).

საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებში არის ასევე გარკვეულწილად პასიურობა სახელმწიფო ენის შესწავლასთან დაკავშირებით, რასაც თავად ამ ჯგუფების წევრები უარყოფითად აფასებენ და თვლიან, რომ ინტეგრაციის პროცესი უნდა იყოს ორმხრივი. პლატონ მიტიტანი თვლის, რომ "ადამიანმა, არ უნდა იფიქროს და ელოდოს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოდან. ხშირად გაიგებთ, რომ სახელმწიფო ვალდებულია, ეხლაც ლაპარაკობენ ამას. კი ბატონო, დავუშვათ ის ვალდებულია, მაგრამ თუ არ ასრულებს თავის ვალდებულებას სახელმწიფო შენ შეიძლება დაიღუპო ხო? თვითონ უნდა ისწავლოს ადამიანმა" (მიტიტანიდი 2012).

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში ეთნიკური ჯგუფების აქტიურობის აუცილებლობაზე საუბრობს ასევე აგიტ მირზოევი "ჩემი აზრით ხელისუფლება არ არის ვალდებული, რომ რაღაც პირობები შეგიქმნას, რომ პოლიტიკა გაატაროს, მისი, როგორც მინიმუმ ვალდებულება არის ხელი არ შეგიშალოს, რომ გქონდეს საშუალება შეინარჩუნო საკუთარი იდენტობა, ყველა ის კომპონენტი, რომელიც მნიშვნელოვანია, ანუ კერა, რელიგია და ა. შ., მაგრამ საზოგადოებრივი, თუ პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი ეს უკვე თავად თემის ან ინდივიდების თავსატკივარი უნდა გამხდარიყო" (მირზოევი 2012).

§ 4. ეთნიკური ჯგუფების დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ

ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია ცნობილია ტერმინი "ქართველი ებრაელი". ლეონტი მროველი წერს "ხოლო სამოსელი იგი ხუდა ქართველთა ჰურიათა" ქართველი ჰურიები — ქართველი ებრაელები (ლეონტი მროველი 1963 128) ამ შემთხვევაში ტერმინი ”ქართველი” გამოყენებულია როგორც მსაზღვრელი როგორც სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვა იმ ებრაელთა მიმართ, რომლებიც უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ქართული სახელმწიფოს საზღვრებში და წარმოადგენდნენ ქართული ეთნოსისაგან განსხვავებულ ”სხვა” ჯგუფს.

ენის ცოდნის დონესთან დაკავშირებით რეგიონებსა და ქალაქებს შორის დაფიქსირებული სხვაობის მსგავსად, განსხვავება შეინიშნება სახელმწიფოს მიმართ ეთნიკური ჯგუფის დამოკიდებულებაში ასევე რეგიონსა და ქალაქში. სომხების ის ნაწილი, რომელიც ქალაქებში ცხოვრობს, მაგალითად თბილისში, უპირობოდ აღიარებს საქართველოს, როგორც საკუთარ სამშობლოს, მათი ნაწილისათვის ერთადერთი სამშობლოც კი არის. სამცხე-ჯავახეთში კი სომხური მოსახლეობა ძირითადად იდენტიფიკაციას ახდენს ადგილთან, ჯავახეთთან, შემდეგ სომხეთთან და მხოლოდ შემდეგ ხდება საქართველოს მოქალაქედ აღქმა, თუმცა, როგორც ირკვევა ამ მხრივ აქაც შეინიშნება გარკვეული ცვლილებები (სტეპანიანი 2012).

საქართველოში განსახლებულ სომხურ მოსახლეობაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა საქართველოს, როგორც სამშობლოს მიმართ. რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ თბილისში მცხოვრები სომხებისათვის საქართველო სამშობლოდ აღიქმება, ხოლო სამცხე-ჯავახეთში ჯერ იდენტიფიკაციას ახდენენ ადგილთან – ჯავახეთთან, მერე სომხეთთან და ამის შემდეგ აღიქვამენ თავს საქართველოს მოქალაქედ, თუმცა უკვე ამ შეხედულებებშიც შეინიშნება გარკვეული ცვლილებები (სტეპანიანი 202).

ტერმინი “ქართველი-სომეხი” სომხურ ენაში არსებობს (სომხურად “ვირაჰაი”) და მას უფრო გეოგრაფიული ხასიათი ჰქონდა. ა. სტეპანიანის აზრით, რომელმაც საქართველოში პირველმა შექმნა ორგანიზაცია სახელწოდებით

“ქართველ-სომეხთა გაერთიანება”, ქართველი შეიძლება არამარტო სამოქალაქო ტერმინად იქნას გამოყენებული, არამედ ასევე შეიძლება მას მიეცეს კულტუროლოგიური დატვირთვაც, რადგან ქართველი სომხები, თბილისელი სომხები განსხვავდებიან სხვა ჯგუფებისაგან, მათ შორის იმავე სომხეთში მცხოვრებთაგან და ეს სხვაობა არის როგორც მენტალურ დონეზე ასევე კულტურულ დონეზეც რადგან მაგალითად, თბილისურ სომხურ კულტურაში ქართული კულტურის ელემენტებიც არის (სტეპანიანი 2012).

ენის არ ცოდნის გამო ბერძნებში იყო ერთგვარი გაუცხოების განცდა ქართული სახელმწიფოს და მისი სიმბოლიკის მიმართ. ამგვარი მდგომარეობაა ძირითადად წალკის რაიონში მცხოვრებ ბერძნების გარკვეულ ნაწილში, განსაკუთრებით კი ასაკში მყოფ მოქალაქეებში, რომელთათვის ქართული ენის შესწავლა პრობლემას წარმოადგენს (მიტიტანიდი 2012).

საქართველოს ბერძნების დიდი უმრავლესობა საკუთარ თავს მოიაზრებს ქართული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად. ემიგრირებულ ბერძნებსაც არ სურთ კავშირის დაკარგვა საქართველოსთან. დაბადების ადგილს, სადაც ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარეს, ბერძნებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მათში არის საქართველოს, როგორც – სამშობლოს განცდა, რაც იწყება იმ კონკრეტული სოფლიდან, თუ ქალაქიდან სადაც დაიბადნენ. ბერძნებში ძლიერია წინაპრებისადმი პატივისცემის გრძნობა, რომლებიც საქართველოში არიან დაკრძალულნი. ეს ფაქტორი ბერძნებში ასევე განაპირობებს საქართველოსთან, როგორც მათი წინაპრების საცხოვრებელ ადგილთან და სამშობლოსთან კავშირის აუცილებლობის განცდას. “ჩემთვის და ბევრისათვის სამშობლო იწყება ამ სოფლიდან, წალკის რაიონის სოფელ ავრალოდან. ზოგისთვის დმანისია ასეთი, ზოგისთვის აფხაზეთში, ზოგისთვის ბათუმი, ამიტომ ეს სამშობლოა. აქ ცხოვრობდნენ, უხაროდათ, უყვარდებოდათ, განათლება მიიღეს, მეგობრობდნენ, მუშაობდნენ და ნორმალურ ადამიანს, ბერძენს, თუ ნებისმიერ სხვას არ შეუძლია დაივიწყოს თავისი სამშობლო, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა, – მიუხედავად იმისა სად იმყოფება ახლა, – სადაც დაკრძალულნი არიან მისი წინაპრები, სადაც არის მათი ეკლესიები, ჩვენი ბერძნული ეკლესიები, სადაც არის ის რაც ყველაზე წმინდაა ჩვენთვის – ჩვენი წინაპრების

საფლავები. მამაჩემი დაკრძალულია აქ, ჩემი დაც, როგორ შემიძლია დავივიწყო ეს სოფელი, ეს ქვეყანა?" (იორდანოვი 2012).

ფრაზა – "ქართველი-ბერძენი" საქართველოში მცხოვრები ბერძნებისათვის ნაკლებად მისაღებია, რადგან მათთვის "ქართველი" არის ეთნიკური შინაარსის მატარებელი ტერმინი. მათი ვინაობის განსაზღვრისას ძირითადად გამოიყენება ფრაზა "საქართველოს ბერძნები", როგორც არა ეთნიკური, არამედ – ტერიტორიული კუთვნილების განმსაზღვრელი ტერმინი.

ტერმინი "ქართველი-ასურელი" რესპოდენტის განცხადებით არ არის მისაღები, ვინაიდან სიტყვა "ქართველი" არ აღიქმება მათთვის, როგორც სამოქალაქო ტერმინი და მის ნაცვლად "საქართველოს ასურელები" გამოიყენება (ადამოვი 2012).

რაც შეეხება დამოკიდებულებას ქართული სახელმწიფოს მიმართ, – ქვეყანაში მცხოვრები ასურელები საქართველოს მიიჩნევენ საკუთარ სამშობლოდ. მათთვის მისაღებია სახელმწიფო სიმბოლიკაც. საზღვარგარეთ წასვლის შემთხვევაში მაინც ხშირად ჩამოდიან აქ და უცხო ქვეყნებში ითვლებიან როგორც ქართული-ასურელები. ისინი გარკვეული ნიშნებით განსხვავდებიან სხვა ასურელებისაგან თუმცა ეს ნიშნები მეორე-მესამე თაობაში უკვე იკარგება.

ქართველების და ქართული სახელმწიფოს მიმართ ოსების დამოკიდებულება არ შეცვლილა ომის შემეგაც და დარჩა დადებითი ელემენტები. "შეიძლება ცალკეული ადამიანები არ აღიქვამენ ასე მაგრამ ერთობაში აქ მცხოვრები ოსებისათვის საქართველო მათი სამშობლოა და იცავენ ქვეყნის კანონებს. სახელმწიფო სიმბოლიკასაც ისე აღიქვამენ, როგორც ქართველები. დღევანდელ რელიქვიებთან დაკავშირებით არავითარი პრობლემა არ არსებობს (გაგლოევი 2012).

საქართველოში მცხოვრები ოსები ტერმინს "ქართველი-ოსი" უფრო ეთნიკურ ტერმინად აღიქვამენ და უფრო მიზანშეწონილად მიაჩნიათ ტერმინი "საქართველოს მოქალაქე ოსი" (გაგლოევი 2012).

აზერბაიჯანელებისათვის დღევანდელ პირობებში მისაღებია ტერმინი ”საქართველოს აზერბაიჯანელი” და არა ”ქართველი აზერბაიჯანელი”, ვინაიდან დღეს ეს ტერმინი – ”ქართველი” განიხილება, როგორც ეთნიკური ტერმინი (სულეიმანოვი 2012).

90-იან წლებში საქართველოში მაღალი ნაციონალისტური ფონი იყო, რის გამოც ბევრი აზერბაიჯანელი საქართველოს ქალაქებიდან და რეგიონებიდან გადავიდა აზერბაიჯანში სადაც მათ უწოდებდნენ ”გრაზებს”, რაც წარმოადენს ტერმინ ”ქართველი-აზერბაიჯანელის” შემოკლებულ რუსულ ვარიანტს. დროთა განმავლობაში შეიძლება ამ ტერმინმა სამოქალაქო დატვირთვა შეიძინოს და ჩაანაცვლოს ”საქართველოს აზერბაიჯანელი” (ხალილოვი 2012).

აზერბაიჯანელებში არსებობს მოსაზრება, რომ ამ ტერმინის გამოყენებით ეთნოსს არანაირი საფრთხე არ ემუქრება, რადგან თვლიან, რომ თავად ქართველებშიც არ არის სურვილი ქვეყანაში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა დაკარგონ საკუთარი ეთნიკური მახასიათებლები. ”საქართველოში ქართველის ხასიათში არსებული კეთილმოსურნეობა, ტოლერანტობა არ მისცემს იმის საშუალებას, რომ სხვა ერის შვილებმა თვითმყოფადობა დაკარგონ” (სულეიმანოვი 2012).

”აზერბაიჯანული მოსახლეობის თითქმის 95% განსახლებულია რეგიონებში. ქალაქ თბილისში და რუსთავში სადღაც 5-7% ცხოვრობს. ამრიგად მსოფლმხედველობა, აზროვნება აზერბაიჯანელების დაკავშირებულია – პირდაპირ – მიწასთან, სოფლის მეურნეობასთან. აზერბაიჯანელები ფსიქოლოგიურად არიან საქართველოს ნამდვილი შვილები. შეცდომაა, როდესაც ამბობენ, რომ არ უნდათ ისწავლონ ქართული ენა, ეს დიდი შეცდომაა” (სულეიმანოვი 2012).

აზერბაიჯანელებისათვის საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკა მათი სამშობლოს სიმბოლიკას წარმოადგენს, შესაბამისად დამოკიდებულება მის მიმართ დადებითია (სულეიმანოვი 2012).

საქართველოს აზერბაიჯანელების სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესი ახალი დაწყებულია. ჯერ კიდევ 90-იანი წლების შუა პერიოდშიც კი ადამიანები საჩივარს წერდნენ, როგორც საქართველოს პრეზიდენტის სახელზე, ისე აზერბაიჯანის პრეზიდენტის სახელზე, რადგან იმდენად არ ექცეოდათ ყურადღება, რომ მათთვის სულ ერთი იყო. იცოდა, რომ მოსკოვი აღარ არსებობს, მაგრამ ცდილობდა, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლების დახმარებით მოეხერხებინა პრობლემების მოგვარება (ხალილოვი 2012).

საკუთარ სამშობლოდ მიაჩნიათ საქართველო დუხობორებს. მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე აქვთ სხვადასხვა წმინდა ადგილები და ვინაიდან მათი სიწმინდეები საქართველოში, ჯავახეთშია თვლიან, რომ სიწმინდეების მიტოვება არ შეიძლება (ბეჟენცევა 2012).

§ 5. ინტეგრაციის პროცესის პერსპექტივა და რეკომენდაციები

ენის პრობლემის მოსაგვარებლად უფრო ეფექტური მექანიზმების შემუშავება არის საჭირო, რადგან ენის პროგრამამ, რომელიც სახელმწიფომ შეიმუშავა ის შედეგი არ დადო, რაც მოსალოდნელი იყო. მოსახლეობაში არის ენის შესწავლის სურვილი, მაგრამ სწავლება არაეფექტურად მიმდინარეობს მოსახლეობაში არ არის მაღალი მოტივაცია. (ავაქიანი 2012, სტეპანიანი 2012).

კომპლექსური მიდგომის არარსებობის გამო ახალგაზრდები ეთნიკური ჯგუფებიდან, რომლებმაც უმაღლეს სასწავლებლებში ჩააბარეს, ქალაქებში ქართველი ახალგაზრდებისაგან მაინც იზოლირებულად ცხოვრობენ და ქმნიან ერთგვარ მიკრო-გეტოებს (სტეპანიანი 2012).

ბერძენი რესპოდენტის აზრით 20 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან არ ყოფილა ფინანსური დახმარება ბერძნული კულტურის, ტრადიციების აღორძინების და ბერძნული ენის შესწავლისათვის. საქართველოს ტერიტორიაზე, აფხაზეთში, თბილისში, ბათუმში, იყო გაზეთები, სკოლები,

თეატრები და იმისათვის, რომ ბერძნებმა შეინარჩუნონ თვითმყოფადობა აუცილებელი პირობაა ამ ყველაფრის აღდგენა (იორდანოვი 2012).

საქართველოს სომხების ისეთი წარმომადგენლების შესახებ ინფორმაციის გავრცელება მოსახლეობაში, როგორებიც არიან სერგო ფარაჯანოვი, რუბენ მამულიანი და სხვა სომეხი ეროვნების საზოგადო მოღვაწეები, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი ქართული კულტურის და ქართული საზოგადოების განვითარებაში, ხელს შეუწყობს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში სომხური ეთნიკური ჯგუფის მეტად ინტეგრირებას, რაც თავის მხრივ საქართველოს სომხებში სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებას და გაძლიერებას შეუწყობს ხელს. სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესი არ არის ხელის შემშლელი ეთნიკური იდენტობისათვის, მაგრამ აუცილებელია პირობები იმისათვის, რომ რეგიონებში სადაც კომპაქტურად ცხოვრობს სომხური მოსახლეობა, პიროვნებას ჩამოუყალიბდეს სამოქალაქო ფასეულობები. აუცილებელია საინფორმაციო სივრცეში ჩართვა, ხშირი კონტაქტები ქართულ მოსახლეობასთან.

საქართველოში მცხოვრები ასურელები ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების აუცილებელ პირობად თვლიან სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურობას. მათი აზრით სოფელ ქანდაში, სადაც მოსახლეობის 80% ასურელია აუცილებელია სკოლაში მაინც ისწავლებოდეს ასურული ენა, რაც სახელმწიფოს ნებაზეა დამოკიდებული (ადამოვი 2012).

საქართველოში მყოფი ასურელთა თემი სრულად მაინც არ არის ინტეგრირებული სამოქალაქო საზოგადოებაში. რესპოდენტის აზრით ინტეგრაციაში არ შეიძლება მოიაზრებოდეს მხოლოდ სოციალ-ეკონომიკური ან ენობრივი ინტეგრაცია, საჭიროა სამართლებრივი ინტეგრაცია და ასევე სხვა საკითხების დარეგულირება, რაც დაეხმარება ამ ჯგუფს შეინარჩუნოს საკუთარი იდენტობა, როგორც ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის წარმომადგენელმა (ადამოვი 2012).

საქართველოს ოსებში არსებობს მოსაზრება, რომ მათი რესურსი, ანუ სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მცხოვრები ოსების ფაქტორი არ არის გამოყენებული კონფლიქტურ ცხინვალის რეგიონის მოსახლეობასთან

მოლაპარაკებებში. “ჩვენ, ოსები ვცხოვრობთ აქ და ჩვენი ახლობლები, ნათესავები შვილები, შვილიშვილები, დეიდები, ბიძები ცხოვრობენ იქ, აქ გაკეთდება რამე და ისინიც მიიღებენ და გაიგებენ, რომ ჩვენ აქ ვცხოვრობთ კარგად ან ცუდად და ისინიც გააკეთებენ საკუთარ დასკვნებს. უმჯობესი არ იქნებოდა აქედან დაგვეწყო. აქამდე ჯერ არ მისულა პოლიტიკური აზროვნება.” (გაგლოევი 2012).

საკუთარი უფლება-მოვალეობების ცოდნა, რაც ასევე გულისხმობს საქართველოში არსებული კანონმდებლობის გაცნობას, ეთნიკური ჯგუფებში სამოქალაქო იდენტობის ამაღლებას შეუწყობს ხელს. ამ კუთხით რეგიონებში ადგილზე ადამიანის უფლების დაცვის ორგანიზაციების შექმნა საშუალებას მისცემს მოსახლეობას მიიღოს იურიდიული კონსულტაცია სხვადასხვა მისთვის საჭირო საკითხთან დაკავშირებით.

ურთიერთობების ჩამოყალიბების და ეთნოსთა შორის დაახლოების კარგი საშუალებაა სკოლებში შერეული კონტიგენტების არსებობა. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული ჯავახეთის, ქვემო ქართლის და ასევე სხვა რეგიონების საქართველოს დანარჩენ რეგიონებთან ინტენსიური კომუნიკაცია, ეკონომიკური და კულტურული კავშირების დამყარება უშუალოდ მოსახლეობას შორის ხელს შეუწყობს საქართველოს მრავალეთნიკურ მოსახლეობაში, როგორც ქართველებში ასევე სხვა ეთნიკურ ჯგუფებში სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებას.

ქვეყანაში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი ქართული სახელმწიფოს, თუ ქართული კულტურის განვითარებაში, ასევე ადამიანური ურთიერთობების დონეზე მნიშვნელოვანია იმ სოციალური ურთიერთობების, კეთილმეზობლური ურთიერთობების წახალისება, რომელიც ტრადიციულად არსებობდა დედაქალაქსა თუ სხვა ადგილებში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს შორის. ყოველივე ამის საფუძველს წარმოადგენს განათლების სისტემა. სასკოლო სახელმძღვანელოებში, სასურველია მეტი ადგილი დაეთმოს ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა შესახებ ინფორმაციებს, ფართო

საზოგადოებისათვის ცნობილი გახდეს მათი მნიშვნელოვანი როლი ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებაში.

დასკვნა

ყოველივე აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებში განსხვავებულია სამოქალაქო ინტეგრაციის ხარისხი. სამოქალაქო იდენტობის განცდა ძლიერია ქალაქებში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებში, რომლებიც უფრო აქტიურად არიან ჩართულნი სხვა თანამოქალაქეებთან ურთიერთობებში და რომელთა ცხოვრების სტილი იზოლაციონისტური ხასიათის არი არის.

ამასთანავე ირკვევა, რომ ეთნიკურ ჯგუფებში განსხვავებული მიდგომებია საკუთარი ეთნიკური იდენტობის მარკერების მიმართ. კონკრეტული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა ურთიერთობის ინტენსივობა სხვა ეროვნებების მიმართ ასევე დამოკიდებულია ამ ადამიანების საცხოვრებელ ადგილზე, – ურბანული ტიპის დასახლებაა, თუ არაურბანული.

სამოქალაქო იდენტობის განცდა უფრო მაღალია ეთნიკური ჯგუფების იმ ნაწილში, რომლებიც ფლობენ სახელმწიფო ენას და შესაბამისად აქვთ საშუალება ამ ენაზე მიიღონ განათლება და ინფორმაცია.

რაც შეეხება ეთნიკური ჯგუფების სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით სახელმწიფოს აქტიურობას, ამ ეთნოსების წარმომადგენლები ცალსახად დადებითად აფასებენ სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის განხორციელების მიზნით "შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის" შექმნას, რომელიც მართალია დამუშავებას და სრულყოფას საჭიროებს, მაგრამ მთავარი პროცესისადმი სახელმწიფოს კონსტრუქციული დამოკიდებულებაა.

თითოეული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლის ჩართულობა და აქტიურობა ამ გეგმის შემუშავების პროცესში, შესაძლებელს გახდის გეგმის

წარმატებით განხორციელებას და კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საქართველოს მოქალაქეებში სამოქალაქო იდენტობის ხარისხის ამაღლებას.

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში სამეცნიერო საზოგადოების აქტიური ჩართვა ხელს შეუწყობს საქართველოსა და მსოფლიოში არსებული ინტეგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული გამოცდილებების შესწავლას და ინდივიდუალურად ჩვენი ქვეყნისათვის მისაღები, ეფექტური მოდელის შექმნას. ეთნოლოგიურ მეცნიერებას მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლია სახელმწიფოსათვის ყველა ეთნიკური ჯგუფის მიმართ ინდივიდუალური ინტეგრაციული პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, რაც გულისხმობს ცალკეული ღონისძიებების გატარების აუცილებლობას, სადაც გათვალისწინებული იქნება მათი ეთნოკულტურული მახასიათებლები.

დამოწმებები:

1. აბაშიძე ზ. 2010: აბაშიძე ზ. *ეთნიკური ურთიერთობების პერსპექტივები საქართველოში.* კრებული: უმცირესობების საკითხი საქართველოში. სსიპ. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი. 2010

2. აბაშიძე თ. 2010: აბაშიძე თ. *ერი სახელმწიფოს მშენებლობის საკითხი პოსტსაბჭოთა საქართველოში (1990-2003 წ.წ.),* კრებული: უმცირესობების საკითხი საქართველოში. სსიპ. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი. 2010

3. აბესაძე 1999: აბესაძე ნანული, ეთნიკური პროცესები ქ. ზესტაფონში, ანალები №2, 1999

4. ანდერსონი 2003: ანდერსონი ბ. წარმოსახვითი საზოგადოებანი. გამომცემლობა ”ენა და კულტურა”, თბ. 2003

5. ანჩაბაძე 2008: ანჩაბაძე გ., *”აფხაზები”,* კრებული: “ეთნოსები საქართველოში”, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი: 2008, 46-61

6. აუგსტი 2011: აუგსტი გარი. საქართველოში გერმანელების ისტორიის საკითხები, ”მწიგნობარი” თბ. 2011.

7. ბახია-ოქრუაშვილი 2000: ბახია-ოქრუაშვილი ს. აფხაზთა ეთნოგენეზის საკითხისათვის. (საგვარეულო სალოცავები). კლიო №7. (საისტორიო ალმანახი). "მემატიანე", თბ. 2000წ. გვ. 3-43

8. ბეჟენცევა 2007: ბეჟენცევა ალა, ”დუხობორია” საქართველოს მთებში გადაკარგული რუსული მხარე, თბ. გამომცემლობა ”რუსული კლუბი” 2007

9. გარაყანიძე 1990: გარაყანიძე ი. “*საქართველოში ბერძენთა გადმოსახლების ისტორია (XVIII-XXსს.)”.* ბერძნები საქართველოში. თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990. გვ.28-71.

10. გოგებაშვილი 1952: გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. I, თბ., 1952

11. გოგებაშვილი 1990: გოგებაშვილი ი., რანი ვიყავით გუშინ. თბილისი გამომცემლობა "ხელოვნება", 1990.

12. გუჯეჯიანი 2010: გუჯეჯიანი რ., ქრისტიანული კულტურის როლი ქართული ეთნიკური კულტურის შექმნაში, – კრებული: საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, "უნივერსალი ", თბ., 377-391.

13. გუჯეჯიანი 2013: გუჯეჯიანი რ., ქართველთა ეთნიკური იდენტობისა და რელიგიის ურთიერთმიმართების საკითხები, კრებული: ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობანი საქართველოში: ისტორია და თანამედროვეობა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013

14. დავარაშვილი... 2008: დავარაშვილი ზ., ცაგარეიშვილი თ., *"ებრაელები"* კრებული: ეთნოსები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი: 2008 გვ- 77-89

15. დოდორქელი 2007: გრიგოლ ვახვახიშვილი (დოდორქელი), "წამებაჲ ყოვლად დიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისა, რომელი იწამა სპარსთა მეფისა შაჰაბაზ უსჯულოსა მიერ ქალაქსა შირაზისასა", მწიგნობრობა ქართული, ტ. 3., თბილისი გამომცემლობა "ციცინათელა" 2007.

16. დუნდუა 2009: დუნდუა სალომე, აბაშიძე ზვიად, "ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში", თბ. "ინტელექტი", 2009.

17. დუნდუა 2010: დუნდუა ს. *იდენტობის ფორმირების ძირითადი საკითხები*, კრებული: უმცირესობების საკითხი საქართველოში. სსიპ. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი. 2010

18. ეთნიკურობა 2002: *ეთნიკურობა და ნაციონალიზმი,* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ინსტიტუტთაშორისო სემინარის მასალები. თბ. ინტელექტი, 2002

19. ვახტანგიშვილი 1999: ვახტანგიშვილი თ., *კლასობრივი დაპირისპირება და ეროვნული ერთიანობა საქართველოში 1901-1918 წწ.* კლიო №5, 104-116, თბ. გამომცემლობა "მემატიანე", 1999

20. ვახუშტი ბატონიშვილი 1973: ვახუშტი ბატონიშვილი, "აღწერა სამეფოსა საქართველოსა", ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი, გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", 1973.

21. თაბაგარი... 2011: თაბაგარი გ., ჩაჩუა დ. ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების გაშუქება პრესაში. მონიტორინგის კვარტალური ანგარიში, 1 მაისი-31 ივლისი 2011 წელი. "ინტერნიუსი-საქართველო"

http//ge.boell.org/downloads/Media_Monitoring_Report-Georgian_1_May_31_july.pdf

22. თოთაძე 2006: ანზორ ოსები საქართველოში მითი და რეალობა. თბ. 2006 წელი

23. თოიძე 1991: თოიძე ლ. როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. თბ. 1991

24. თოფჩიშვილი 1997: თოფჩიშვილი რ. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. თბ. 1997

25. თოფჩიშვილი 2007: თოფჩიშვილი რ. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია. თბ. 2007.

26. თოფჩიშვილი 2008: თოფჩიშვილი რ., ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები, "უნივერსალი", თბ., 2008.

27. თოფჩიშვილი... 2010: თოფჩიშვილი რ., ხუციშვილი ქ., გუჯეჯიანი რ., თეორიუილ ეთნოლოგია. თბ. 2010

28. თოფჩიშვილი 2013-ა: თოფჩიშვილი რ., ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები და ეთნოლოგიური მეცნიერება, კრებული : "ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობანი საქართველოში: ისტორია და თანამედროვეობა", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013.

29. იველაშვილი 1999: იველაშვილი თინა. საქორწილო წეს-ჩვეულებანი საქართველოში. "პროგრესი", თბ. 1999.

30. ინალ-იფა 1965: ინალ-იფა შ. დ. Абхазы. სოხუმი 1965წ.

31. ინგოროყვა 1990: ინგოროყვა პ. საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ. "სარანგი" თბ. 1990.

32. კიკვიძე 1976: კიკვიძე ა., ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი და სალიტერატურო მოღვაწეობის ზოგიერთი საკითხი, ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, გვ. 409-422, "მეცნიერება", თბ., 1976

33. კეკელიძე 1956: კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქარტული ლიტერატურეს ისტორიიდან. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ. 1956.

34. კომახია 2008ა: კომახია მ., *"აზერბაიჯანელები"* (თანამედეროვე მდგომარეობა) კრებული: "ეთნოსები საქართველოში", საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი: 2008, გვ. 124-128

35. კომახია 2008ბ: კომახია მ., *"ასურელები"* (თანამედროვე მდგომარეობა) კრებული: "ეთნოსები საქართველოში", საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი: 2008, გვ. 180-182.

36. კონფლიქტებისა... 2010: კონფლიქტებისა და მოლაპარაკების

საერთაშორისო ცენტრი: საქართველოში მოქალაქეთა მონაწილეობის გენდერული და მულტიეთნიკური ასპექტები ICCN, თბილისი 2010.

37. ლეონტი მროველი 1955: ლეონტი მროველი, *"ცხოვრება ქართველთა მეფეთა"*, ქართლის ცხოვრება ტ. I., თბილისი გამომცემლობა "სახელგამი", 1955.

38. ლომსაძე 1975 ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), "მეცნიერება", თბ., 1975

39. ლორთქიფანიძე 2006: ლორთქიფანიძე მ. "რამ გადაგვარჩინა:. – მნათობი. 2006. №3.

40. მაისაშვილი 2010: მაისაშვილი ხ., ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაცია 1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში, თბ., 2010

41. მაისურაძე 1999: მაისურაძე გ. საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIIIსს.), "მეცნიერება" თბ. 1999 წელი.

42. მაჩაბელი 1978; მაჩაბელი ნუნუ. ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, მეცნიერება", თბ., 1978.

43. მელიქიშვილი 1973: მელიქიშვილი გ. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბილისი გამომცემლობა "მეცნიერება", 1973.

44. მღებრიშვილი 1999: მღებრიშვილი ლ, "*ეთნოისტორიული და ეთნოსოცილაური პროცესები შიდა ქართლში"*, კლიო №6. 1999, გვ. 153-154

45. ორბელიშვილი 2007: ბესარიონ ორბელიშვილი, "შესხმაჲ წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელისბარისი და უწყებაჲ წამებისა მათისა", მწიგნობრობა ქართული, ტ. 3., თბილისი გამომცემლობა "ციცინათელა" 2007.

46. პავლიაშვილი 1996: პავლიაშვილი ქ. საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში, თბ,. 1996

47. პატარიძე 1999: პატარიძე ლ., "ერი" სიტყვა და ცნება ისტორიულ პერსპექტივაში, ჟურნალი "ანალები", თბ., 1999 №2

48. რეინტეგრაციის... 2010: რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შესრულების 2010 წლის ანგარიში. http//www.smr.gov.ge/docs/doc51.pdf

49. საბანისძე 2007: იოვანე საბანის ძე, *"წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესი ჰაბოჲსი"*, მწიგნობრობა ქართული, სასულიერო მწერლობა. თბილისი გამომცემლობა "ციცინათელა", 2007.

50. სართანია 2005: სართანია დ. სამოქალაქო თვითშეგნების ფორმირების სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ამოცანები. ს.ს. ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი. ისტორიის კვლევისა და სწავლების მეთოდიკათა ლაბორატორია. თბილისი. 2005.

51. საქართველოს... 2010: საქართველოს ეთნოგრაფია. თბილისი. "უნივერსალი" 2010

52. საქართველოს... 1970: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.

53. საქართველოს... 2003: საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტ.I, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი [ონ-ლაინ წიგნი] თბილისი 2003.

http//www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/census/2002/I%20tomi%20-%20saqarTvelos%20mosaxleobis%202002%20wlis%20pirveli%20erovnuli%20sayovelTao%20aRweris%20Sedegebi.pdf

54. საქართველოს 1920: საქართველოს სიძველენი: ტ. I, მუხლი 1782, თბ. 1920.

55. სიამაშვილი 2010: სიამაშვილი გ. “იდენტობა, ისტორია, ნაციონალიზმი”. უმცირესობების საკითხი საქართველოში. სსიპ. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი. 2010

56. სე 1997: საქართველო, ენციკლოპედია. ტ. 1, თბ. 1997. გვ. 240

57. სმითი 2004: სმითი ე. დ. ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მარიამ ჩხარტიშვილისა. ქართული ტექსტის რედაქტორი რუსუდან ამირეჯიბი-მალენი. თბილისი ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი, 2004

58. სმითი 2008: სმითი ე. დ.. ნაციონალური იდენტობა. რედაქტორი რუსუდან მახათაძე, თარგმნა ლელა პატარიძემ. “ლოგოს პრესი”, თბილისი 2008

59. სონღულაშვილი 2001: სონღულაშვილი ა, *აისორები საქართველოში 1921-1941 წლებში,* ანალები. 2001, №2,

60. სონღულაშვილი 2002: სონღულაშვილი ა. ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში. თბ. 2002

61. სოციალურ... 2004: სოციალურ და პოლიტიკურ ტერნიმთა ლექსიკონი, ცნობარი, თბილისი, “ლოგოს პრესი”. 2004

62. სტალინი 1947; სტალინი ი., მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი, თხზულებანი, ტ. II, თბ. 1947.

63. ფირბარი 2008: ფირბარი დიმიტრი, კომახია მამუკა, “ქურთები საქართველოში” თბ., 2008.

64. ქართული... 1985: ქართული პროზა, ტ. IX, თბ., 1985

65. ქსე 1986: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ.10. თბილისი: 1986.

66. ქვლივიშვილი 2006: ქვლივიშვილი მ. *ქართველთა იდენტობის სტრუქტურები და იდენტიფიკაციის პროცესები XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე.* ცივილიზაციური ძიებანი №4, ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცივილიზაციათა შედარებითი კვლევის ცენტრი, თბილისი 2006

67. ყორანაშვილი 1983: ყორანაშვილი გ., ეთნოფსიქოლოგია და ტრადიციები. თბილისი გამომცემლობა "მეცნიერება", 1983.

68. ყორანაშვილი 1984: ყორანაშვილი გ., ეთნიკური თვითშეგნება და ტრადიციები. თბილისი "მეცნიერება", 1984.

69. შარდენი 1975: – ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975.

70. ძველი... 1963: "ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები", წიგნი I, თბილისი 1963წ.

71. წერეთელი 1910: წერეთელი მ., ერი და კაცობრიობა. თბილისი გამომცემლობა "შრომა", 1910.

72. წერეთელი 1961: წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ.14. თბილისი გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", 1961.

73. წერეთელი 1976ა: წერეთელი კ, არამეული ენა საქართველოში, მნათობი 1976, №6, გვ. 150-157.

74. წერეთელი 1976ბ: წერეთელი კ. "სირიელისა" და "ასურელის" აღმნიშვნელი ეთნიკურ ტერმინები ქართულში, "ივ ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული," თბ., 1976. გვ. 177-178

75. ჭავჭავაძე 1928: ჭავჭავაძე ი., ნაწერების სრული კრებული, ტ. IX, თბ., 1928

76. ჭავჭავაძე 1955: ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, თბ., 1955

77. ჭავჭავაძე 2004: ჭავჭავაძე ილია, "ოსმალოს საქართველო". არა ოდენ ხმლით, საკითხავი ყმაწვილთათვის. ტ. 9. თბილისი გამომცემლობა "ციცინათელა" 2004.

78. ჭიჭინაძე 1990: ჭიჭინაძე ზ. ქართველი ებრაელები საქართველოში. ტფილისი 1904. "მეცნიერება", "კოოპერატივი არმაზი-89", 1990.

79. ხინჩაგაშვილი 2007: შოთა ხინჩაგაშვილი: რელიგიური და კულტურული იდენტობის პრობლემები კავკასიის ხალხებში, თბილისი პოლიტოლოგიის ინსტიტუტი 2007.

80. ხუციშვილი 1987: ხუციშვილი მ., საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში, თბ., 1987

81. ჯავახიშვილი 1998: ჯავახიშვილი ივ. დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველო-სომხეთის ურთიერთობებში (XIX-XXსს.) თბ. 1998.

82. ჯალაბაძე 2008: ჯალაბაძე ნ., *"რუსები"*, კრებული: ეთნოსები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი: 2008, გვ. 194-204.

83. ჯანიაშვილი 2008ა: ჯანიაშვილი ლ, *"აზერბაიჯანელები"*, კრებული: ეთნოსები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი: 2008, გვ. 111-124

84. ჯანიაშვილი 2008: ჯანიაშვილი ლ, *"ეთნოკულტურული პროცესები საქართველოში"* კრებული: ეთნოსები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი: 2008, გვ. 7-23

85. ჯაოშვილი 1984: ჯაოშვილი ვახტანგ, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბ. ”მეცნიერება”, 1984.

86. ჯაოშვილი 1996: ჯაოშვილი ვახტანგ, საქართველოს მოსახლეობა, თბ. ”მეცნიერება”, 1996.

87. ჯუანშერი 1955: ჯუანშერი, *“ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა”*. ქართლის ცხოვრება, ტომი I, თბილისი გამომცემლობა “სახელგამი”, 1955.

88. **ჯაფარიძე 2009: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, გამომცემლობა ”ალილო”, თბ., 2009**

უცხოენოვანი ლიტერატურა

89. ანჩაბაძე 1959: Анчабадзе З. В. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.) Сухуми, 1959.

90. ანჩაბაძე 1976: Анчабадзе З. В Очерк этнической истории Абхазского народа. Сухуми 1976г.

91. ახალაძე 1999: ახალაძე ლ. Эпиграфические памятники Абхазии: Разыскания по истории Абхазии/Грузия: Тбилиси 1999г. ст. 363-375

92. ბღაჟბა 1967: ბღაჟბა ხ. Из истории письменности в Абхазии. თბ.1967წ.

93. გელნერი 1991: Геллнер Э. Нации и национализм. – М. Прогресс, 1991.

94. თოიძე 1999: ლ. თოიძე. К вопросу о политическом статусе Абхазии (1921-1931гг.): Разыскания по истории Абхазии/Грузия: Тбилиси 1999г. ст. 291-313

95. ერიქსონი 1996: Эриксон Э. Идентичность юность и кризис. М.,1996.

96. ლორთქიფანიძე 1999: Лорткипанидзе М. «Абхазское царство». Разысскание по истории Абхазии/Грузия: Тбилиси 1999

97. მუსხელიშვილი 1999: მუსხელიშვილი დ. Исторический статус Абхазии в грузинской государственности. Разыскания по истории Абхазии/Грузия: Тбилиси 1999г. ст. 115-155.

98. ჯანაშია 1960: ჯანაშია ნ. ს. Стать-и по етнографии абхазии. სოხუმი. 1960წ.

99. პაიჭაძე 1999: პაიჭაძე გ. Абхазия в составе Российской империи (1810-1917гг.): Разыскания по истории Абхазии/Грузия: Тбилиси 1999г. ст. 215-239

100. ჟორჟოლიანი 1999: ჟორჟოლიანი გ. Исторические и политические корни конфликта в Абхазии/Грузия. Разыскания по истории Абхазии/Грузия: Тбилиси 1999г. ст. 409-446.

101. ტიშკოვი 1997: Тишков В.А. Очерки теории и политики этничности в России – М., «Русский мир», 1997.

102. ჩანდრა 2005: Chandra Kanchan, What is Ethnic identity and does it matter?, 2005

ინტერვიუები:

103. ადამოვი 2012: ადამოვი დავით, საქართველოს ასირიელთა ეროვნული კონგრესის ხელმძღვანელი. ინტერვიუ ჩაწერილია 2012 წლის აგვისტოში.

104. ავაქიანი 2012: ავაქიანი მიხეილ, საქართველოს სომეხთა ეროვნული კონგრესის ხელმძღვანელი, ინტერვიუ ჩაწერილია 2012 წლის აგვისტოში.

105. აუგსტი 2012: აუგსტი გარი, საქართველოს გერმანელთა ასოციაცია "აინუნგის" ხელმძღვანელი, ინტერვიუ ჩაწერილია 2012 წლის აგვისტოში.

106. ბეჟენცევა 2012: ბეჟენცევა ალა, საქართველოს რუს ქალთა ასოციაცია "იაროსლავა"-ს ხელმძღვანელი. ინტერვიუ ჩაწერილია 2012 წლის სექტემბერში.

107. გაგლოევი 2012: გაგლოევი თენგიზი. საქართველოს ოსთა ასოციაციის ხელმძღვანელი. ინტევიუ ჩაწერილია 2012 წლის აგვისტოში.

108. იორდანოვი 2012: იორდანოვი კირიაკ, საქართველოს ბერძნული სათვისტომოთა კავშირის გამგეობის წევრი, ინტერვიუ ჩაწერილია 2012 წლის აგვისტოში.

109. მირზოევი 2013: მირზოევი აგიტ: ინტერვიუ ჩაწერილია 2012 წლის აგვისტოში:

110. მიტიტანიდი 2012: პლატონ მიტიტანიდი. ინტერვიუ ჩაწერილია 2012 წლის აგვისტოში.

111. სტეპანიანი 2012: სტეპანიანი არნოლდ, საერთო-სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველოს" თავჯდომარე, ინტერვიუ ჩაწერილია 2012 წლის აგვისტოში.

112. სულეიმანოვი 2012: სულეიმანოვი სულეიმან: საქართველოს აზერბაიჯანელთა კავშირის ხელმძღვანელი. ინტერვიუ ჩაწერილია 2012 წლის აგვისტოში.

113. ხალილოვი 2012: ხალილოვი ზაურ, სამოქალაქო ინგეგრაციის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი; ინტერვიუ ჩაწერილია 2012 წლის აგვისტოში.

გაზეთები:

114. 24 საათი 2006: "ქართულს პროფესორები გვიკითხავენ მაგრამ არ გვესმის", გაზ. *24 საათი*, 15 აგვისტო, 2006, №182(1334), ჩანართი: განათლება, გვ. 1.

115. საქართველოს რესპუბლიკა 2006: "საქართველოს ასურელები: თვითმყოფადობის შენარჩუნების პრობლემები", გაზ. *საქართველოს რესპუბლიკა,* 7 ივლისი 2006, გვ. 6.